




1239

2013

Handwritten notes in Georgian script:
საქართველოს
საქართველო
საქართველოს
საქართველო
საქართველოს
საქართველო
6/12-2000



საქართველოს საქართველო

2000

საქართველოს საქართველო

ISSN 1512-0880

№1 (50)-2013

საქართველოს

ბიბლიოთეკა



პირველი ნომერი – ბიბლიოთეკაში
2000

რელაქსიის მისამართი:
თბილისი ვუკედის ქ.
№18, ბ. 16
ტელ 223-02-98
297-16-83



ქურნალის რელაქსია:
ადექსანდრე ღორია
- მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი
- მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
გუდნარა სცურუა
- სამეცნიერო-მეთოდური და
კორექსონდენცებთან მუშაობის
რედაქტორ-კოორდინატორი



ინლსაწარმო „ალი“
დამფუძნებლები: საქართველოს
პარლამენტის იდია ქავჭავაძის
სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკა; საქართველოს
საბიბლიოთეკო ასოციაცია.



ქურნალი გამომდის წელიწადში ოთხჯერ

საქართველოს ბიბლიოთეკა № 1 (50) – 2013

216

შინაარსი

ორმოცდამეათე.....5

საიუბილეო ნომერი

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ გამოქვეყნებული სტატიები სამეცნიერო კვლევითი ასპექტების შესახებ..... 6

ზოგი რამ სტატისტიკიდან.....6

ოფიციალური განყოფილება

იუნესკოს საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი7

ჩვენი ბიბლიოთეკები, წარსული და აწმყო

ციცინო ჯინჯინაძე – ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა - მიღწევები და წარმატებები 10

საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები

რუსუდან დანელია – ელექტრონული რესურსებით მომსახურება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 12

ღვაწლმოსილ ფროფესიონალთა სახეები

ჟუჟუნა გამდლიშვილი-კარიჭაშვილისა – 25 წელი ერთ ბიბლიოთეკაში..... 14

კორესპონდენციები

მზია აბრამიშვილი – „დავითობა“ ბიბლიოთეკაში..... 15

ნანა ოქროპირიძე – მოსწავლეთა ხელით გაცოცხლებული ზღაპრების გმირები 16

ცისანა ქოჩეჩაშვილი – თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის მოღვაწეობა (2012) 17

ლალი გოქაძე – ბიბლიოთეკართა სატნოების სახლი..... 20

მზია ტოგონიძე – სოციოლოგიური გამოკვლევა თბილისის №42 ბიბლიოთეკაში 21

ბიბლიოთეკარის და მკითხველის

ნანა ჯაფარიძე – პატარა ანის ოცნება 23

ღირსეული წინაპრები

ალექსანდრე ლორია – კულტურულ-საგანმანათლებლო და წიგნის საქმის დიდოსტატი ზაქარია ჭიჭინაძე – 160..... 24

ნანა ხომერიკი – ნოდარ დუმბაძე - 85 29

დათო კოტორაშვილი – კონსტანტინე გამსახურდიას ესთეტიკური ავტობიოგრაფიის – ანუ „სადაც მარადიული მზე ანათებს“ 31

მაია მიქაბერიძე – კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებთა რუსული გამოცემები 32

ბიბლიოთეკარის დასახმარებლად

ინგა ფილაური-ლორია – სახელმძღვანელო დებულებები კომენტარებით..... 34

მეთოდური დამუშავება

გურამ თაყნიაშვილი – საბიბლიოთეკო ფონდების შემოწმება 37

უცხოეთის ბიბლიოთეკები

ირინა ლორია – წიგნი ყველგან განვითარების საწინდარია..... 40

გვესაუბრება მკითხველი

საქმიანი შემოთავაზება.....42

დარბის სახელმწიფო მოღვაწე

გურამ თაყნიაშვილი – ლ. ბ. ხავეკინას წვლილი ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებაში..... 43

ინფორმაცია

წრფელი გულით ნათქვამი სტრიქონები.....45

წიგნი საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებისათვის.....46

დაულალავი შრომის შედეგი46

მრავალმხრივ ინტერესთა ნიშნით.....48

რევიუ

დავით გიგინეიშვილი – „ფავორიტი ქალის“ პრემიერა პარიზის ოპერაში 50

ვულოცავთ.....52

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები52

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 1 (50) – 2013**СОДЕРЖАНИЕ**

Пятидесятый 5

Юбилейный номер

Статьи, опубликованные в журнале „Библиотека Грузии“ по научно-исследовательском аспекте. 6

Кое-что из статистики 6

Официальный раздел

Манифест публичных библиотек ЮНЕСКО 7

История наши библиотеки, прошлое и настоящее

Цицино Джинджихадзе – Научная библиотека Кутаиси – достижения и успехи 10

Библиотечные технологии

Русудан Данелиа – Обслуживание электронными ресурсами в национальной парламентской библиотеке Грузии 12

Лица (Обрезы) заслуженных профессионалов

Жужуна Гамдлишвили – 25 лет в одной библиотеке 14

Корреспонденция

Мзия Абрамишвили – „Давитоба“ в библиотеке 15

Нана Окропиридзе – Герои сказок, оживлённые руками учащихся. 16

Цисана Кочечашвили – Деятельность литературного салона главной библиотеки Тбилиси (2012) 17

Лали Гокадзе – благотворительный для библиотекарей дом 20

Мзия Тогонидзе – Социологическое исследование в библиотек № 42. 21

Библиотекарь и читатель

Нана Джапаридзе – Мечта маленькой Анни 23

Достойные предшественники

Александр Лория – Великий мастер культурно-просветительного и книжного дела 24

Нана Хомерики – Нодар Думбадзе – 85 29

Давид Которашвили – Автопортрет Константина Гамсахурдиа или „Там, где светит

вечное солнце“	31
Мая Микаберидзе – Русские издания произведений Константине Гамсахурдиа	32
В помощь библиотекарю	
Инга Пилаури – Рекомендации с комментариями	34
Методическая обработка	
Гурам Такниашвили – Проверка библиотечных фондов	37
Зарубежные библиотеки	
Ирина Лория – Книга везде залог развития	40
Беседует читатель	
Деловое предложение	42
Знаменитые деятели отрасли	
Гурам Такниашвили – Вклад Л. Б. Хавкиной в деле развития библиотековедения	43
Информация	
Строки, сказанные искренно	45
Книга для специалистов библиотечной отрасли	46
Результат неумолимого труда	46
Со знаком многосторонних интересов	48
Ревю	
Давид Гигинеишвили – „Фаворитка“ – премьера в парижской опере	50
Поздравляем	52
Хроника	
Хроника библиотечной жизни Грузии	52

THE GEORGIAN LIBRARY N1 (50)-2013

Contents

Fiftieth	5
Anniversary Issue	
The articles, published in the „Georgian Library“ about scientific-research aspect	6
Something from statistics	6
Official Department	
UNESCO Public Library Manifesto	7
Our Library's History, Past and Present	
Tsitsino Jinjikhadze — Electronic service in the National Parliamentary Library of Georgia	10
Honoured Professionals' Faces	
Jujuna Gamdlisvili – 25 years in the same library	14
Correspondences	
Mzia Abramishvili – „Davitoba“ in the library	15
Nana Okropiridze – The tales' heroes, revived by the pupils' hands	16
Tsisana Kochechashvili – Tbilisi central library literature salon's activity (2012)	17
Lali Gokadze – Librarians' charity house	20
Mzia Togonidze – Sociologic research in Tbilisi Library № 42	21

librarian and Reader

Nana Japaridze – Little Ann's dream	23
---	----

Worthy Ancestors

Alexandre Loria – Cultural – educative and book business master	24
Nana Khomeriki – Nodar Dumbadze – 85 bibliographic sketches	29
David Kotorashvili – K. Gamsakhurdia's autoportrait or „ where the eternal sun is shining.“	31
Maia Mikaberidze – K. Gamsakhurdia's works' russian publications	32

To Help the Librarian

Inga Pilauri – The guidelines with comments	34
---	----

Methodical Treatment

Guram Takniashvili – Library funds' control	37
---	----

Foreign Libraries

Nrina Loria – Book always precondition of development	40
---	----

Reader is Speaking

Business offer	42
----------------------	----

The celebrated men of the sphere

Guram Takniashvili – L. Khavkina's role in library development	43
--	----

Information

The lines, mentioned with sincere heart	45
The book for the library specialists	46
Tireless work's result	46
In sign of many-sided interests	48

Review

David Gigineishvili – „The Favourite is a Woman“ premiere in Paris Opera	50
Congratulations	52

Chronicle

The chronicle of Georgian library life Addition, remarks	52
--	----

ორმოსდაგათა

12 წელი შესრულდა, რაც საქართველოში პირველი საბიბლიოთეკო პროფესიული ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ დაარსდა. პირველსავე ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალის პროგრამა და განისაზღვრა მისი პროფილი. ჟურნალი მრავალთემატურია და მრავალმხრივი მკითხველი ჰყავს მხედველობაში.

ჟურნალს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ აქვს როგორც პროფესიული, ისე ზოგად-კულტურული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სტატიები; ისინი განთავსებული იყო ისეთ რუბრიკებში, როგორცაა: ოფიციალური დოკუმენტები, კვლევა-ძიება, ღირსეული წინაპრები, პროფესია და პროფესიონალები, ჩვენი ბიბლიოთეკების წარსული და აწმყო, უცხოეთის ბიბლიოთეკები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ურთიერთობები, საბიბლიოთეკო კონტაქტები, წიგნი და მკითხველი, საბიბლიოთეკო დოკუმენტების ორგანიზაცია, საძიებო საშუალებები, ბავშვთა კითხვის თავისებურებანი, საბიბლიოთეკო კადრები, მეთოდური სამსახური, მოგონებები, იუბილეები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, მწერალი ბიბლიოთეკის სტუმარი, სტუდენტური სიტყვა, რეცენზიები, ინფორმაციები, კორესპონდენციები, ჩვენი მხატვრული შემოქმედება, ქრონიკა, საცნობოდ საკითხავი და სხვ. ბიბლიოთეკების დასახმარებლად ყოველი წლის ბოლოს ქვეყნდება მომავალი წლის საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების კალენდარი.

განსაკუთრებით უხვად იბეჭდებოდა მასალები საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებისა და გამოჩენილ მოღვაწეთა შესახებ, სასკოლო ბიბლიოთეკებზე, კორესპონდენციები, რომლებშიც მოცემული იყო ამა თუ იმ ბიბლიოთეკის საქმიანობის ასახვა, გამომხაურებები საბიბლიოთეკო კვირეულების ჩატარებასთან დაკავშირებით.

ჟურნალმა არაერთი მეცნიერული ნაშრომი გამოაქვეყნა ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფმცოდნეობის, საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის, წიგნმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, ენათმცოდნეობის, ტერმინოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის და სხვა თემატიკის ამსახველი.

ჟურნალის 50 ნომერში გამოქვეყნებულია დაახლოებით ოთხასამდე ავტორის ნაშრომი, სტატია, გამოსხაურება, რეცენზია, ინფორმაცია, კორესპონდენცია, მიმოხილვა, შეტყობინება, მხატვრული ნაწარმოები... ჟურნალი აქტიურად გამოეხმაურა ყველა მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს; არც სოციალურ-საზოგადოებრივი მოვლენები დარჩენია უყურადღებოდ, რომლებიც საბიბლიოთეკო საქმეს ეხებოდა, იყო კრიტიკული შენიშვნებიც – სახელმწიფოს მიერ „საბიბლიოთეკო კანონის“ დარღვევის, კულტურის სამინისტროს, განათლების სამინისტროს არასწორი გადაწყვეტილების მიღების, სხვა-

დასხვა დარღვევების, საბიბლიოთეკო სისტემის დაშლის, სასკოლო ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარების მიმართ უყურადღებობის ფაქტებთან დაკავშირებით.

დაარსების 10 წლისთავთან დაკავშირებით, ჟურნალმა დანვრილებით გააშუქა თავისი მოღვაწეობის ამსახველი სტატია, რომელშიც სრულყოფილადაა წარმოდგენილი ის ღვაწლი, რაც მან ამ ხნის განმავლობაში გასწია (იხ.: „საქართველოს ბიბლიოთეკა“, 2010, №3).

დღეს უკვე 50-ე ნომრის გამოსვლას ვზეიმობთ. ამ პერიოდში ბევრი იყო სიხარული, მაგრამ არც წყენა გვაკლდა. ბევრი შეცდომაც გაგვეპარა, ბევრი რამ, რისი განხორციელებაც გვსურდა, ვერ შევძელით, მაგრამ იმ პირობებში, რომელშიც ამ წლებში ქართული ჟურნალისტიკა იმყოფებოდა, განსაკუთრებით ჩვენი ჟურნალი, ის, რომ არ ჩავვივარდა არც ერთი ნომერი, ყველა თავის დროს გამოდიოდა და შევძელით მკითხველისათვის სრულყოფილად გადაგვეშალა საბიბლიოთეკო ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენები და ინფორმაციით უზრუნველგვეყო, ნამდვილ მოქალაქეობრივ გმირობას წარმოადგენდა.

ჟურნალს არც ახლა აქვს დაღმწეული ცხოვრება – სახსრების სიმცირე, მხარდამჭერთა გულგრილობა, ჩვენი მომხმარებელი ბიბლიოთეკების მასობრივი დახურვა, სარედაქციო კოლეგიის წევრთა დაფანტვა და სხვა ბევრი რამ, აძნელებს მუშაობას. მუშაობა გაძნელებულია იმიტაც, რომ რედაქციას არა აქვს თავისი ბინა, ბიუჯეტი, გადაადგილების საშუალება. ყველაფერი კეთდება მხოლოდ ენთუზიაზმით და რამდენიმე ორგანიზაციის, კერძოდ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის (პრეზიდენტი ი. ლარიბაშვილი), თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის (გენ. დირექტორი ც. კალმახელიძე), ბათუმის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკის (დირექტორი გ. მახარაძე) ზოგი სარაიონო ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკისა და არაერთი კერძო პირის მხარდაჭერით.

მიუხედავად ძნელად დასაძლევ სირთულეებისა, ჟურნალი მაინც დროულად გამოდის, ვრცელდება, დარგის სპეციალისტები კმაყოფილებას გამოთქვამენ და გულწრფელად ითხოვენ, ჟურნალმა არ შეწყვიტოს არსებობა და განაგრძოს გამოცემა.

ჩვენი ჟურნალის მესვეურები მზად არიან სრულიად უანგაროდ იღვანონ, რათა ჟურნალი დროულად გამოდიოდეს, კვლავ იყოს მრავალთემატური, საინტერესო და მიმზიდველი. ეს დიდადაა დამოკიდებული ჩენი თანამდგომთა და მკითხველ საზოგადოებაზე, იმ მასალებზე, რომლებსაც ისინი გვანვდიან, ჩვენი რედაქციის კარები ღიაა ყველასათვის, და ყველა მსურველს ვინვევთ, მონაწილეობა მიიღოს ჩვენს საქმიანობაში.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“

გამოქვეყნებული სტატიები სამეცნიერო კვლევითი ასპექტების შესახებ

ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ მრავალთემბურ ორგანოა, მაგრამ ერთი ჩამოყალიბებული მიმართულებით: ბიბლიოთეკა-ნიგნი-ბიბლიოგრაფია-ინფორმაცია-საგამომცემლო საქმე, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ადგილი ეთმობა ისეთ თემატიკას, როგორცაა კითხვის ფილოსოფია და ტექნოლოგია, ბავშვთა ნიგნიერების პრობლემები, პედაგოგიური ასპექტები კითხვის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, კითხვის ფსიქოლოგია, ბიბლიოთეკათმცოდნეობითი, ბიბლიოგრაფთმცოდნეობითი, მეთოდური დამუშავება და ა. შ.

ჟურნალში ქართველ მეცნიერებთან ერთად, როგორც არიან პროფესორები: აკად. მ. ზაალიშვილი, რ. სურგულაძე, ლ. ბერძენიშვილი, ბ. ცხადაძე, ფ. სიხარულიძე, ი. სიხარულიძე, გ. სარაჯიშვილი, ნ. გომართელი, რ. დაუშვილი, გ. შენგელია, ნ. გაბლიშვილი, ა. დიასამიძე და სხვ., მონაწილეობენ აგრეთვე უცხოელი მკვლევარები: შტეფან ბიუტნერი, სტივენ ჯონსი, გორან ბერსტამი, ენგელბერტ პლასმანი, მერლენ დე შმიტი, ოსტინ ჯერსილი, შეილა იტნერი და სხვ. საკვლევ-მეთოდური წერილების ავტორები არიან დარგის თვალსაჩინო სპეციალისტები: გ. თაყნიაშვილი, ა. ლორია, ნ. მელქაძე, ი. ფილაური-ლორია, ი. ლარიბაშვილი, ნ. ჩხენკელი, თ. ჩხენკელი, ლ. ყაულაშვილი, ს. პულუზაშვილი, ო. ოსაძე, ნ. მჭედლოშვილი და სხვ.

განსაკუთრებით რთულ და საპასუხისმგებლო

განყოფილებებს წარმოადგენს ჟურნალის ის ნაწილები, სადაც შექდება სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციები. ამ სფეროში უმეტესად მოღვაწეობენ როგორც საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული დარგის თეორეტიკოსები და მეთოდისტები, ასევე ინფორმატიკოსები, არქივმცოდნენი, პედაგოგიკოსები, ფსიქოლოგები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, სოციოლოგები, მუზეუმცოდნენი, პოლიგრაფები, ჟურნალისტები, ხელოვნებათმცოდნენი, კულტუროლოგები, მენეჯმენტები და სხვ.

ავტორთა უდიდესი ნაწილი უხვად მიუთითებს ციტირებულ და გამოყენებულ ლიტერატურას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბ. ცხადაძის რამდენიმე ნარკვევი, სადაც 100-ზე მეტი დასახელებაა მოცემული, ც. წერეთლის სტატიებში სულ 76 დასახელებაა მოხმობილი, შ. ბიუტნერის სტატიაში - 18 დასახელება, რ. დაუშვილისაში - 18, გ. სარაჯიშვილის - 32, ა. დიასამიძის - 30, და სხვ. დასახელებები გაბნეულია სხვადასხვა ნომერში და რამდენიმე სტატიის ჯამურ მონაცემს შეიცავს. რაც შეეხება ცალკეულ გამოკვლევებს, საშუალოდ 8 დასახელებას შეადგენს, ნაჩვენებია აგრეთვე კომპიუტერული მასალებიც.

ჟურნალი დიდ ყურადღებას უთმობს მეცნიერული ლიტერატურის ინფორმაციასა და რეცენზირებას, რითაც ჟურნალი გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს მეცნიერ-მკვლევართათვის, ასევე პოპულარულია ის სხვადასხვა მომიჯნავე დარგის სპეციალისტებს შორისაც.

ზოგი რამ სტატისტიკიდან

თუ გადავხედავთ ჟურნალის სტატისტიკურ მონაცემებს, ის შთაბეჭდვად გამოიყურება. ამ სტატისტიკური მონაცემებით შეიძლება შევიქმნათ შთაბეჭდილება ჟურნალის მოცულობაზე, მის თემატიკურ მრავალფეროვნებაზე, მასალის ხასიათზე, ავტორთა შემადგენლობაზე.

სტატისტიკის დანიშნულება სწორედ იმაშია, რომ მოგვცეს ანალიზის საშუალება, რის საფუძველზეც შეგვეძლება გამოვიტანოთ დასკვნები და შედეგები შევაფასოთ.

ჟურნალი ნელინადში 4-ჯერ - კვარტალში ერთხელ გამოდის.

12 წლის განმავლობაში, სულ გამოვიდა 50

ნომერი; მთლიანობაში მათ შეადგინეს 3.250 გვერდზე მეტი. ჟურნალში გვერდების რაოდენობა არ ყოფილა თანაბარი, ის მერყობდა 32-სა და 98-ს შორის. საშუალოდ თითოეულ ნომერზე მოდის 64-65 გვერდი. საერთოდ, ნომინალურად გვერდები ზოგ შემთხვევაში საგრძნობლად განსხვავებული რაოდენობისაა. ყველაზე მცირე ნომერმა, როგორც ვხედავთ, შეადგინა 32 გვერდი (2011, №4), ყველაზე დიდი ნომერი შეიცავს 98 გვერდს (2004, №3); ყველაზე პოპულარული მაჩვენებელია 60 გვერდი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, ჟურნალი დაახლოებით 60-65 გვერდი-

ანია, რაც სავსებით ნორმალური და მისაღებია იმ პირობებში, რომელშიც ის არის.

ერთი ნომრის მხოლოდ დაბეჭდვის ხარჯები დაახლოებით 560–დან 830 ლარს შორის მერყეობს, წელიწადის განმავლობაში ეს შეადგენს საშუალოდ 3.000 ლარს. რაც შეეხება ტირაჟს, ჟურნალი 250 ერთეულიდან 450 ერთეულს შორის მერყეობს. ეს სხვადასხვაობები გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, სახსრების ოდენობითა და ბიბლიოთეკების რაოდენობით; ეს უკანასკნელი კატასტროფულად შემცირდა საჯარო ბიბლიოთეკების მასობრივად შემცირების გამო. საწყის პერიოდში ტირაჟები განისაზღვრებოდა 1200–1400 ცალის ოდენობით. (ამჟამინდელი მონაცემები აღებულია ბოლო 5 წლის მიხედვით).

მრავალთემიანობა, რაც დამახასიათებელია ჟურნალისათვის, აშკარად მოითხოვს მრავალრუბრიკიანობას. რუბრიკების რაოდენობა სულ 130–მდეა. მაშასადამე, თითოეულ ნომერში საშუალოდ 20–მდე რუბრიკის მასალა იყრის თავს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გვხვდება პარალელური ე. წ. „სინონიმური“ რუბრიკები, როცა მსგავსი შინაარსის რუბრიკები სხვადასხვაგვარადაა ფორმირებული.

ჟურნალი გამოირჩევა ავტორთა დიდი რაოდენობითაც. მასში მონაწილეობენ როგორც პროფესიონალი ჟურნალისტები, ისე საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები, მეცნიერ-მკვლევარები, პედაგოგები, სტუდენტები, მოსწავლეები, სხვა მკითხველები. ბევრი მათგანი სისტემატურად აწვდის ჟურნალს თავის ნაშრომებს. ჟურნალში მონაწილე ავტორთა რაოდენობა 390–ს აღწარბებს.

დიდი რაოდენობით ქვეყნდებოდა სტატიები

ბავშვთა კითხვისა და საბიბლიოთეკო მომსახურების შესახებ. ჟურნალებში 40–მდე სპეციალური სტატიაა, დაბეჭდილი ამ მიმართულებით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კორესპონდენციებს შორის, განსაკუთრებით საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით, უმრავლესობა ბავშვებთან მუშაობის საკითხებს იხილავს, გამოდის, რომ საბავშვო თემატიკას უდიდესი ადგილი ეთმობა ჟურნალში. ფაქტობრივად, ყოველ ჟურნალში ვხვდებით მასალას ბავშვთა კითხვასა და მათ მომსახურებასთან დაკავშირებით.

საერთოდ, ჟურნალის გამოცემათა შორის განსაკუთრებით დიდი ადგილი კორესპონდენციებს უჭირავს, რომლებიც დაახლოებით 25–30%–ს შეადგენს.

ჟურნალი თბილისის გარდა, ვრცელდება საქართველოს მუნიციპალიტეტების მთავარ ბიბლიოთეკებში. ჟურნალის დაარსებიდან მას სისტემატურად იძენენ და სემინარებზე იხილავენ: ზუგდიდის, სენაკის, ქუთაისის, თელავის, ბორჯომის, გურჯაანის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, რუსთავის, ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს, კასპის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ამბროლაურის, ონის, ჭიათურის, საჩხერის, წყალტუბოს, სამტრედიის, აბაშის, მარტვილის, წალენჯიხის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ბათუმის მუნიციპალიტეტების ცენტრალური ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობით.

ჟურნალი დიდ ადგილს უთმობს მეთოდურ-ინსტრუქციული ხასიათის პუბლიკაციებს, სადაც რეკომენდაციის სახით იბეჭდება სტატიები ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: საბიბლიოთეკო დოკუმენტების ჩამონერა, დაცვა, შემონახვა, შეფასება, ბიბლიოთეკების აღდგენა, ფონდების სისტემატიზაცია და სხვა.

ოფიციალური განცხადება

„საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი“ ჩვენს ჟურნალში თავდაპირველად 2001 წელს გამოქვეყნდა პირველ ნომერში, ბროშურად გამოცემული ეს დოკუმენტიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ხოლო მოთხოვნა მასზე ახლაც დიდია, ამიტომ რედაქციამ გადაწყვიტა, განმეორებით გამოაქვეყნოს მისი ახალი რედაქცია.

ინფორმაციის საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი

გზა უამეცნეობისაკენ

თავისუფლება, კეთლდღეობა და განვითარება საზოგადოებისა და

ცალკეული პიროვნებების ძირითადი საკაცობრიო ფასეულობანია. მათი

მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კარგად ინფორმირებული

მოქალაქეების მიერ თავიანთი დემოკრატიული უფლებების გამოყენებით

და საზოგადოებაში აქტიური როლის შესრულებით. დემოკრატიის

განვითარებაში კონსტრუქციული მონაწილეობა დამოკიდებულია

როგორც განათლების დონეზე, ისევე ცოდნის, იდეების, კულტურისა და ინფორმაციის შეუზღუდავ მიღებაზე. საჯარო ბიბლიოთეკა, როგორც ცოდნის შექმნის ადგილობრივი კერა, უზრუნველყოფს ინდივიდისა და სოციალური ჯგუფების კულტურის დონის ამაღლების, ცოდნის მუდმივი განახლებისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების ძირითად პირობას.

ეს მანიფესტი გამოხატავს UNESCO-ს რწმენას, რომ საჯარო ბიბლიოთეკა

წარმოადგენს განათლების, კულტურისა და ინფორმაციის სასიცოცხლო ძალასა და ადამიანთა გონების მეშვეობით მშვიდობისა და სულიერი კეთილდღეობის მიღწევის აუცილებელ ფაქტორს.

ამიტომ UNESCO ყოველმხრივ ხელს უწყობს და ურჩევს ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფალთ დახმარება გაუწიონ და აქტიურად ჩაერთონ საჯარო ბიბლიოთეკების განვითარებაში.

საჯარო ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა არის ინფორმაციის ადგილობრივი ცენტრი, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის მკითხველისათვის ყველა სახის ინფორმაციასა და ცოდნას.

საჯარო ბიბლიოთეკები უზრუნველყოფენ მომსახურებას ყველასთვის, განურჩევლად ასაკისა, რასისა, სქესისა, ეროვნებისა, ენისა თუ სოციალური მდგომარეობისა. განსაკუთრებული მომსახურებითა და მასალებით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი ის მკითხველები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ გამოიყენონ ჩვეულებრივი მომსახურება და მასალები, მაგალითად ენობრივი უმცირესობანი, ინვალიდები, საპატიმროებსა და საავადმყოფოებში მყოფი ხალხი.

ყველა ასაკობრივმა ჯგუფმა უნდა შეძლოს

თავისთვის საჭირო მასალების მოპოვება. ფონდები და მომსახურება უნდა მოიცავდეს როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ყველა შესაძლო სახის მასალებს, ასევე ტრადიციულსაც. მაღალი ხარისხი და ადგილობრივი პირობების გათვალისწინება უნდა წარმოადგენდეს მომსახურების საფუძველს.

მასალები უნდა ასახავდეს როგორც საზოგადოების განვითარების ამჟამინდელ ტენდენციებს, ასევე კაცობრიობის წარსულ მონაპოვარს.

ფონდები და მომსახურება არ უნდა წარმოადგენდეს იდეოლოგიური, პოლიტიკური თუ რელიგიური სახის ცენზურისა, თუ კომერციული ზენოლის საგანს.

საჯარო ბიბლიოთეკის დანიშნულება

საჯარო ბიბლიოთეკის მომსახურების ბირთვის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციასთან, წიგნიერებასთან, განათლებასთან და კულტურასთან შემდეგია:

1. ადრეული ასაკიდან ბავშვებში კითხვის ჩვევების განვითარება და განმტკიცება;
2. ყველა დონეზე, როგორც ინდივიდუალური თვითგანათლების, ასევე ოფიციალური განათლების ხელშეწყობა;
3. ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისთვის;
4. ბავშვებისა და მოზარდების წარმოსახვითი

და შემოქმედებითი უნარის განვითარების ხელშეწყობა;

5. კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნების, მეცნიერების მიღწევებისა და ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის უზრუნველყოფა;
6. ყველა სახის საშემსრულებლო ხელოვნების, როგორც ჩანერილი ნიმუშების, ასევე მის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
7. კულტურათმორისი დიალოგისა და კულტურული მრავალფეროვნებისა და თავისებურებების ნახალისება და



- ხელშეწყობა;
- 8. ზეპირსიტყვიერ ტრადიციათა ხელშეწყობა;
- 9. მოქალაქეების ყველა სახის საზოგადოებრივი ინფორმაციით უზრუნველყოფა;
- 10. ადგილობრივი საწარმოების, გაერთიანებებისა და სხვა ჯგუფების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა;

- 11. საინფორმაციო და კომპიუტერული განათლებისა და შესაბამისი ჩვევების განვითარება;
- 12. ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის საგანმანათლებლო საქმიანობისა და პროგრამების ხელშეწყობა, მათში მონაწილეობა და საჭიროების შემთხვევაში ასეთი საქმის წამოწყება.

დაფინანსება, კანონმდებლობა და ძსელი

საჯარო ბიბლიოთეკის მომსახურება ძირითადად უნდა იყოს უფასო. საჯარო ბიბლიოთეკის საქმიანობა არის სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობისა და მზრუნველობის ობიექტი. იგი უნდა იყოს განმტკიცებული კანონმდებლობით და ფინანსდებოდეს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. საჯარო ბიბლიოთეკა უნდა იყოს კულტურის, ინფორმაციით უზრუნველყოფის, ნიგნიერების გავრცელებისა და განათლების ნებისმიერი გრძელვადიანი სტრატეგიის აუცილებელი კომპონენტი.

ბიბლიოთეკების ერთიანი სახელმწიფოებრივი კოორდინაციისა და თანამშრომლობის მიზნით საკანონმდებლო სტრატეგიულ გეგმებში უნდა განისაზღვროს ბიბლიოთეკების სახელმწიფო ქსელის შექმნა და განვითარება, შეთანხმებული სტანდარტების საფუძველზე. საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი დაკავშირებული უნდა იყოს როგორც ეროვნულ, რეგიონალურ, კვლევით და სპეციალურ ბიბლიოთეკებთან, ასევე სკოლების, კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებთან.

საქმიანობა და მართვა

მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული საჯარო ბიბლიოთეკების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს მიზნებს, პრიორიტეტებსა და მომსახურების ფორმებს, ადგილობრივი საზოგადოების მოთხოვნათა გათვალისწინებით. საჯარო ბიბლიოთეკები ეფექტიანად უნდა იყოს ორგანიზებული და მასში დაცული უნდა იყოს მომსახურების პროფესიული სტანდარტები. უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანამშრომლობა შესაბამის პარტნიორებთან, მაგალითად, მკითხველთა ჯგუფებთან და სხვა სპეციალისტებთან, როგორც ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზედაც. მომსახურება უნდა იყოს ფიზიკურად ხელმისაწვდომი საზოგადოების ყველა წევრისთვის. ეს მოითხოვს როგორც საბიბლიოთეკო შენობების მკითხველისათვის მოხერხებულ ადგილას განლაგებას, კარგ სამკითხველო და სასწავლო პირობებს, ასევე

შესაბამის ტექნოლოგიებსა და მკითხველთათვის ხელსაყრელ სამუშაო საათებს. გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე იმ მკითხველთა მომსახურება, რომელთაც არ შეუძლიათ ბიბლიოთეკაში მისვლა. საბიბლიოთეკო მომსახურება უნდა ითვალისწინებდეს ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა განსხვავებულ მოთხოვნილებებს. ბიბლიოთეკარი წარმოადგენს აქტიურ შუამავალს მკითხველსა და ინფორმაციის წყაროს შორის. ბიბლიოთეკართა პროფესიული განათლება და მისი მუდმივი ამაღლება აუცილებელია შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფისათვის. ბიბლიოთეკის გარეთ საზოგადოების საინფორმაციო მოთხოვნილებების შესწავლა და დაკმაყოფილება, აგრეთვე მკითხველებისთვის საგანმანათლებლო პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ მოქალაქეების მიერ ბიბლიოთეკების საინფორმაციო რესურსების სრული გამოყენება.

ციცინო ჯინჯისაძე

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მენეჯერი

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა - მიღწევები და წარმატებები

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ 2012 წელს მეოთხედ უმასპინძლა ტრადიციულ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც ოქტომბრის თვეში გაიმართა. კონფერენცია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წლისთავს მიეძღვნა და თემატიკაც შესაბამისად განისაზღვრა: შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ – საქართველოს ოქროს ხანის სიმბოლო (პოემის კულტურულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებები, ენა, მხატვრული სახეები, ხელნაწერი გამოცემები, თარგმანები).

კონფერენცია მუშაობდა სამ სექციად: ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის მიმართულებით.

მონაწილეებმა მიმოიხილეს პოემის იდეურ-ფილოსოფიური

მსოფლმხედველობისა და ენობრივ-სემანტიკური მნიშვნელობები, ასევე

იმსჯელეს ფართო საზოგადოებისათვის ჯერაც უცნობ საკითხებზე.

საქართველოს ბიბლიოთეკებისა და უმაღლესი სასწავლებლების

წარმომადგენლებთან ერთად, კონფერენციაში მონაწილეობდნენ უცხოელი სტუმრებიც: როლფ ცაილერი (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის დასავლეთ საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელი), ჰაზიმ მოჰამედ ჰუსეინი (ბალდადის უნივერსიტეტი), მუჰარჰამ ახმეტოვი, სალმან სულეიმანოვი (ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი), საიდ მულიანი (ისპაჰანის უნივერსიტეტი).

კონფერენციას განსაკუთრებული ემოციური მუხტი შესძინა ფერეიდნელი ქართველის, პროფესორ საიდ მულიანის სტუმრობამ. მან აუდიტორიას

„ვეფხისტყაოსნის“ სპარსული თარგმანები წარუდგინა.

2012 წელს ბიბლიოთეკამ თავისი ღირსეული მესაძირკვლის, ანტონ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 165 წლის იუბილე აღნიშნა. ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ – რიტა წაქაძემ ისაუბრა ანტონ ლორთქიფანიძის პიროვნებასა და მის ღვაწლზე. ძალზე საინტერესო აღმოჩნდა მის მიერ რამდენიმე წლის მანძილზე ძველ პრესასა და არქივებში მოძიებული მასალა.

ფაქტობრივად, საზოგადოებამ მიიღო ანტონ ლორთქიფანიძისა და მისი მეუღლის, ელენე ყიფიანის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სრულყოფილი ნაშრომი.

27 ოქტომბერი ანტონ ლორთქიფანიძის დაკრძალვის დღეა, ამიტომაც ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ამ თარიღთან დაკავ-

შირებით, პატივი მიაგეს ანტონ ლორთქიფანიძის საფლავს და მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდიც გადაიხადეს. საფლავი ამ დრომდე დაკარგულად ითვლებოდა.

„რამდენიმე წელი ვეძებდით ანტონ ლორთქიფანიძის საფლავს. ჩვენს მიერ მოპოვებული ცნობების მიხედვით, საფლავი ქუთაისში, გორის უბანში არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გალავანში უნდა ყოფილიყო, მაგრამ გულდასმით ძებნის



მიუხედავად, საფლავი მაინც ვერ ვიპოვეთ, რადგან საფლავების ქვებზე წარწერები სიძველისაგან მთლიანად გადაშლილი დაგვიხვდა.

საფლავის პოვნაში დიდი დახმარება გაგვიწია მწერალმა თემურ ამყოლაძემ. ფაქტობრივად, მან დაგვაკვლიანა. „ივერიაშიც“ მოვიძიეთ საგაზეთო წერილი, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ ანტონ ლორთქიფანიძე თბილისიდან ჩამოსვენების შემდეგ, მისი მეუღლის გვერდით დაასაფლავეს. ეს უკანასკნელი შიგ ეკლესიაში იყო დაკრძალული. მართალია, საფლავები არ ჩანს, რადგან ზემოდან იატაკია გადაგებული, მაგრამ ტაძარში ამის დამადასტურებელი დაფა

არსებობს. ჩვენი დიდი სურვილია, რომ სამომავლოდ ტაძარში დაიდგას დაფა, სადაც იქნება ცნობა ანტონ ლორთქიფანიძის შესახებ – ამბობს ქალბატონი რიტა ნაქაძე.

ეს ფაქტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქუთაისისათვის, არამედ ქართული ეროვნული კულტურის ისტორიისათვის. ანტონ ლორთქიფანიძე და მისი მეუღლე, ელენე ყიფიანი (დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი), ცნობილი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. ბიბლიოთეკის გარდა, მათ დიდი წვლილი მიუძღვით ქუთაისის დრამატული თეატრისა და ქართული გიმნაზიის, დღევანდელი II საჯარო სკოლის, დაარსებაში.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მიღწევები ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში აღნიშნულით არ შემოიფარგლება.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები ტრადიციულია და მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენდა საამაყოდ, კონფერენცია სულ




უფრო მასშტაბური ხდება – ტრადიციულ მომხსენებლებს წელს ახალი სახეებიც შეუერთდა. კონფერენციების პარალელურად, სამეცნიერო კრებული „წელიწდეულიც“ აგრძელებს გამოსვლას.

უკვე დავასრულეთ და გამოსაცემად მზადდება ჟურნალ „განთიადის“ ბიბლიოგრაფია. ვფიქრობ, რომ ეს ნაშრომი დიდად წაადგება ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას.

ცალკე გამოვყოფ ბიბლიოთეკის ფონდების ციფრულ ფორმატში გადაყვანის პროცესს, რომლისთვისაც ბიბლიოთეკამ ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა „კოჰა“ შეიძინა. ელექტრონული კატალოგები საშუალებას მოგვცემს, მკითხველთა მომსახურების პროცესი კიდევ უფრო სწრაფი და დახვეწილი გახდეს.

გავხსენით საბავშვო განყოფილება, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, ასევე საქართველოში ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, ბიბლიოთეკაში ფუნქციონირება დაიწყო ამერიკულმა კუთხემ.


თუმცა, იმასაც დავამატებ, ყველაზე საინტერესო პერსპექტივები წინ გველოდება. წლევანდელი წელი საიუბილეოა. ქუთათურთა უძველესი წიგნსაცავი 140 წლის ხდება – განაცხადა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა ნარგიზ ჩოგოვაძემ.



რუსუდან დანელია

საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
განყოფილების უფროსი

ელექტრონული რესურსებით მომსახურება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში დაიწყო მძლავრი საზოგადოებრივი მოძრაობა ადამიანების თანასწორუფლებიანობის, ზოგადსაკაცობრიო იდეალების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების, აგრეთვე ყოველი ადამიანის უზრუნველყოფილი ცხოვრების დასამკვიდრებლად. მაშინვე აღინიშნა, რომ ეს პროცესი მოითხოვს დაუშრეტელი პოლიტიკური ნების გამოვლენასა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას, რამაც თავისუფლების გარდა, უნდა მისცეს ადამიანს თავისი ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალის სრულად გამოვლენის საშუალება. მაგრამ მალზე მოკლე დროში გაირკვა, რომ მხოლოდ პოლიტიკურ ნებასა და საკანონმდებლო ბაზას არ მოაქვს სასურველი შედეგი, აუცილებელია მესამე კომპონენტი — საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა გათვითცნობიერებას მიმდინარე პროცესებში. აქედან გამომდინარე, დაიწყო პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, კავშირგაბმულობისა და მონაცემთა ბაზების განვითარების ყოველმხრივი ხელშეწყობა. მაგრამ არც ამან უზრუნველყო სრულყოფილი დემოკრატიის ჩამოყალიბება და ყოველი ადამიანის უზრუნველყოფილი ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ დასახული მიზნები სრულად

ვერ იქნა მიღწეული, ბიძგი მიეცა მოულოდნელ და ახალ ფენომენს — შეიქმნა საზოგადოებრივი ფენა, რომელიც დაკავებული იყო ინფორმაციის მოპოვება — დამუშავებითა და გავრცელებით. ამ ფენამ საბოლოოდ გამოიწვია ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმოების მძლავრი ინდუსტრიის შექმნა, რომელმაც უზრუნველყო ინფორმაციის ფართომასშტაბიანი მიმოცვლა-გავრცელება და საფუძველი ჩაუყარა ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. XX საუკუნის მეორე ნახევარში მიღებულმა გამოცდილებამ ცხადყო: თუ XX საუკუნის საზოგადოების არსებობა-განვითარება ეყრდნობოდა ზოგადსაკაცობრიო იდეალების საკანონმდებლო უზრუნველყოფას, XXI საუკუნის საზოგადოების არსებობა-განვითარება უნდა ეყრდნობოდეს ამ იდეალების საინფორმაციო უზრუნველყოფას; თუ XX საუკუნის საზოგადოება ცდილობდა პირობების შექმნას ყოველი ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალის გამოსავლენად, XXI საუკუნის საზოგადოება მიზნად უნდა ისახავდეს ყოველ ადამიანში შესაბამისი უნარის აღზრდას. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ წარმოქმნა არა მხოლოდ ავტომატიზირებული მართვა, ელექტრონული კომერცია თუ დისტანციური განათლება, არამედ იმოქმედა თვით ადამიანსა და მთლიანად საზოგადოებაზე — მის ცნობიერებაზე, ფასეულობებსა და მიზნებზე, რითაც საფუძველი ჩაეყარა სავსებით ახალ საზოგადოებრივ ფორმაციას — საინფორმაციო საზოგადოებას.

იმისათვის, რომ შეიქმნას ინფორმაციაზე დაფუძნებული საზოგადოება, რომლის ყველა წარმომადგენელს საშუალება ექნება ისარგებლოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დადებითი შედეგებით და განვითარების ახალი შესაძლებლობებით, აუცილებელია სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი რესურსების გამოყენებას, როგორცაა ინტერნეტი.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის

მანმილზე, საზოგადოებამ უამრავი ინფორმაცია და გამოცდილება დააგროვა. დღეს, თანამედროვე საზოგადოება ინფორმაციის უდიდეს გარემოში ცხოვრობს. ინტერნეტის არსებობამ კიდევ უფრო გაზარდა საინფორმაციო ველი და მასზე მოთხოვნილება. ასევე შეიცვალა ბიბლიოთეკის როლი და ფუნქციაც. დღეს ბიბლიოთეკა აღარაა მხოლოდ წიგნსაცავი.

თანამედროვე ბიბლიოთეკა გადაიქცა საინფორმაციო ცენტრად და ვალდებულია ხელი შეუწყოს ინფორმაციული საზოგადოების შექმნასა და განვითარებას. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი ყოველდღიური ყოფა დამოკიდებული გახდა ინფორმაციის მიღებაზე. დღევანდელ ადამიანს ჰაერით სჭირდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მაგრამ ამვე დროს მას არ აქვს საკმარისი დრო. ის განიცდის დროის დეფიციტს. ამიტომ საჭირო ხდება არსებული ინფორმაციის დახარისხება, სხვადასხვა საინფორმაციო საძიებო სისტემების შექმნა, რათა უმოკლეს დროში მიიღოს ინფორმაციულმა საზოგადოებამ სასურველ კითხვაზე პასუხი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მრავალი წლის მანძილზე მუშაობს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების საკითხებზე. მისი ინტერნეტ ვებგვერდი (www.nplg.gov.ge) გახდეს. ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებით მომსახურების განყოფილება კი ხელს უწყობს ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას ინტერნეტის საშუალებით უახლესი ინფორმაციის მიღებაში. განყოფილებამ თავისი განვითარების გზა გაიარა. ამ სახის მომსახურება, (ლაპარაკია ელექტრონულ რესურსზე) ბიბლიოთეკაში დაიწყო „ეკონომიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, სპეც. სახეებისა და ტექნიკური საინფორმაციო წარმოების დაკომპლექტების, დამუშავებისა და მომსახურების განყოფილების“ ბაზაზე. მაშინ განყოფილებაში ორი კომპიუტერი იყო. მკითხველს შეეძლო ესარგებლა ლოკალური ქსელით და „კოდექსის“ ბაზით. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, განყოფილებას რამდენჯერმე შეეცვალა სახელი. ჯერ გადაკეთდა „სამართლისა და ბიზნეს ინფორმაციის განყოფილებად“; შემდგომ „სპეციალურ კოლექციებისა და ინტერნეტით მომსახურების განყოფილებად“; შემდეგ „ელექტრონული რესურსების განყოფილებად“, ხოლო 2006 წელს კი, ამჟამინდელი სახელი ეწოდა. 1997 წლიდან წლების განმავლობაში ვთანამშრომლობდით IREX-ის ორგანიზაციასთან. ამ ორგანიზაციის დახმარებით ჩვენი განყოფილება ღებულობდა უფასო ინტერნეტით სარგებლობის უფლებას მკითხველისათვის და აქვე აწარმოებდა კომპიუტერთან და ინტერნეტთან მუშაობის სწავლებას ნებისმიერი მოქალაქისათვის უფასოდ.

2006 წლის 4 ივლისიდან განყოფილებამ გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით კვლავ განაგრძო მოქალაქეთა უფასო ინტერნეტით მომსახურება, რასაც მომხმარებელთა მხრიდან დიდი ინტერესი მოყვა. ამჟამად თავად ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს თავის მკითხველს უფასო ინტერნეტით. მიუხედავად იმისა, რომ დღეს თითქმის ყოველ მეორე ოჯახში არის კომპიუტერი და ინტერნეტი, განყოფილების აქტუალობას მნიშვნელობა არ დაუკარგავს. დარბაზში 18 კომპიუტერია. მკითხველს ერთი საათი ეძლევა სამუშაოდ. ყოველდღიურად 100-მდე მკითხველი სარგებლობს ჩვენი მომსახურებით. ჩვენთან მოსულ მკითხველს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგებით, საქართველოს საკანონმდებლო „კოდექსი“-ის ბაზით, სხვადასხვა ელექტრონული ლექსიკონებითა და ცნობარებით, ბიბლიოთეკის ციფრული კოლექციით. ასევე მსოფლიო ბიბლიოთეკების კატალოგებით და ბოლოს ნებისმიერი ინტერნეტ რესურსით. ჩვენთან შეგიძლიათ ისარგებლოთ სამეცნიერო შრომების „თავისუფალი ხელმისაწვდომობა“ – OPEN ACCESS-ით, რომელიც მოიცავს მსოფლიო სამეცნიერო ჟურნალებისა და წიგნების უცხოენოვან ციფრულ ბაზებს. ასევე, განყოფილება მუშაობს „ქართველი ავტორების ცნობარზე“ (www.nplg.gov.ge.bios.ka). ეს ცნობარი მოიცავს საქართველოში მოღვაწე და უცხოეთში მცხოვრები ქართველი ავტორების ბიოგრაფიულ და ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს. ცნობარში მოსახვედრად ნებისმიერ წიგნის ავტორს შეუძლია გაეცნოს ამ ინტერნეტ საიტს და თავად შეავსოს ელექტრონული ანკეტა, ასევე შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს მიმართონ ელექტრონული რესურსებით მომსახურების განყოფილებას და წერილობით მიანოდონ საჭირო ინფორმაცია. დღეის მონაცემებით ცნობარში 715 ავტორის ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული მონაცემია შეტანილი. ჩვენ ვთვლით, რომ ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, კერძოდ კი ელექტრონული რესურსებით მომსახურების განყოფილებამ, გარკვეული დახმარება გაუწია ჩვენს მომხმარებელს კომპიუტერთან მუშაობისა და ინტერნეტით სარგებლობის უნარების ჩამოყალიბებაში. ყოველწლიურად მკითხველთა რაოდენობა იზრდება. მაგალითად, 2012 წელს ჩვენი განყოფილების მომსახურებით 25 230 მკითხველმა ისარგებლა. ეს შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ მოქალაქეთა დაინტერესება საკმაოდ მაღალია. მომსახურების გაუმჯობესებისთვის სამომავლოდ ვაპირებთ ინტერნეტ დარბაზის გაფართოებას და ახალი ინოვაციების შეთავაზებას ბიბლიოთეკის მკითხველებს.

ჟუჟუნა გამდლიშვილი-კარიჭაშვილისა

№42 ბიბლიოთეკის მკითხველი

25 წელი ერთ ბიბლიოთეკაში

ქალბატონი შურა ბერიშვილი-მეტრეველისა 25 წელიწადია მუშაობს ნაძალადევის რაიონის №42 ბიბლიოთეკაში, მაგრამ ამ პროფილით მისი სამუშაო სტაჟი გაცილებით დიდ დროს მოიცავს.

ქალბატონი შურა თავისი საქმის პროფესიონალია, „ნიგნის ტრფიალი“, არაჩვეულებრივი პიროვნება და კეთილშობილი ადამიანი.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ის დაბა უნერის სასოფლო კლუბის გამგედ მუშაობდა. შემდეგ თბილისში გადმოვიდა და ერთ-ერთი საქალაქო ბიბლიოთეკის თანამშრომელი გახდა. 1988 წლიდან დღემდე იგი ჩვენს საყვარელ ბიბლიოთეკაში მუშაობს და დაუზარებლად, მისთვის ჩვეული ერთგულებით და სიდინჯით გვემსახურება მკითხველებს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ სისტემის დირექციამ მას №42 ბიბლიოთეკის გამგეობა შესთავაზა, მაგრამ ქალბატონმა შურამ თავისებური თავმდაბლობით უარი განაცხადა ამ თანამდებობაზე, რაც ჩვენს დროში საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა.


მიაჩნდა, რომ ეს მას მკითხველებთან ცოცხალ და უშუალო ურთიერთობაში ხელს შეუშლიდა; ქალბატონ შურას ხელში ათიათასობით მკითხველს გაუვლია, მისი მადლიერია ოჯახების მთელი თაობები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში არიან ამ ბიბლიოთეკის მკითხველები. იგი საყოველთაო სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს. იმ მძიმე პერიოდში, როდესაც სიცივეში, უსინათლობასა და მატერიალური გაჭირვების დროს ბიბლიოთეკა წარმოადგენდა ჩვენთვის ერთ-ერთ ნათელ წერ-

ტილს, ქალბატონი შურა თავისი სითბოთი და კეთილი ღიმილით ჩვენს ცხოვრებას ალამაზებდა.

ამ მხრივ არც ჩემი ოჯახია გამონაკლისი. ნიგნისა და ცოდნისადმი სიყვარული ტრადიციად მოგვდევს და ჩემი ოჯახის თაობები: შვილები, შვილიშვილები და ახლა უკვე შვილთაშვილებიც ამ ბიბლიოთეკის ერთგული და აქტიური მომხმარებლები არიან. დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემს აზრს ქალბატონი შურა მეტრეველის შესახებ იზიარებს მკითხველთა მრავალი თობა და სისტემის ის თანამშრომლები, რომელთანაც მას ოდესმე ურთიერთობა ჰქონია.

ქალბატონი შურა თავისი მაგალითით სტიმულს აძლევდა და აძლევს ბიბლიოთეკაში მომუშავე ყველა ძველ და ახალ თანამშრომელს.

ქალბატონო შურა! კიდევ დიდხანს გაგყოლოდეთ ის უშრეტო ენერჯია და სიყვარული ნიგნისა და ბიბლიოთეკისადმი, რომელსაც დღესაც თქვენთვის ჩვეული სიდინჯით და პროფესიონალიზმით მაგალითს გვაძლევთ ჩვენ, თქვენს ერთგულ მკითხველებს და უსაზღვრო სიყვარულს გვინერგავთ თქვენი კეთილშობილური პროფესიისადმი.



კორესპონდენციები

მზია აბრამიშვილი

თბილისის 30-ე საჯარო ბიბლიოთეკის გამგე

„დავითოზა“ ბიბლიოთეკაში

*„დავითმა ისევე შექმნა საქართველო, ვითარცა ღმერთმა სამყარო“.
მატიანე*



ახალი წლის და შობის დღესასწაულის გასვლის შემდეგ, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ფილიალები კვლავ შეუდგნენ ჩვეული რიტმით მკითხველთა მომსახურებას და 2013 წლის დაგეგმილი შეხვედრების და ღონისძიებების მონაწილეობა-ჩატარებას.

სწორედ ამიტომ, 2013 წლის 8 იანვარს 30-ე და 61-ე საჯარო ბიბლიოთეკების თანამშრომლებმა მეტრომშენის დასახლებაში მდებარე 30-ე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოაწყვეს ღონისძიება სათაურით – „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დიდი მეფის, უდიდესი ეროვნული და სახელმწიფო მოღვაწის დავით აღმაშენებლის ხსენებას და დაბადების დღის მოახლოვებას, რომელსაც 8 თებერვალს ვზეიმობთ.

30-ე და 61-ე ბიბლიოთეკების თანამშრომლებმა: ლიზა ბარბაქაძემ, ქეთო მალრაძემ, მარინა ნადირაშვილმა, ვიოლეტა ხახუტაშვილმა და მარინა გოცაძემ მკითხველებთან ერთად მომზადებული პროგრამა წარმოადგინეს.

სალამო გახსნა 30-ე ბიბლი-

ოთეკის გამგემ მზია აბრამიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დავითის ღვანლზე და უდიდეს როლზე საქართველოს ისტორიაში. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე 61-ე ბიბლიოთეკის გამგე ლილი კაკულია-ფანჩულიძე.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის მკითხველები. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები მიძღვნილი დიდი მეფისადმი.

ღონისძიებას მრავალი სტუმარი დაესწრო.

ისან-სამგორის რაიონის ბიბლიოთეკების კოორდინატორმა ნატო გალუსტაშვილმა შეაჯამა ბიბლიოთეკების მუშაობა და იმედი გამოთქვა, რომ ჩვენი ბიბლიოთეკები კვლავ დიდი მონდომებით გააგრძელებენ მკითხველთა დამეგობრებას, უფრო მეტად შეაყვარებენ წიგნს ბავშვებს, რაც ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დიდი ოცნებაა.

სალამო სტუმრებმა კმაყოფილების გრძნობით დატოვეს და იმედი გამოთქვეს კვლავ მრავალი ურთიერთშეხვედრებისა.



ნანა ოქროპირიძე

76-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე

მოსწავლეთა ხელით გასოსხლებული ზღაპრების გმირები



გასული წლის 6 დეკემბერს თბილისის 76-ე საჯაროს სკოლის ბიბლიოთეკაში დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა წარმოადგინეს ზღაპრებისა და იგავ-არაკების პერსონაჟთა ნახატების გამოფენა. მოსწავლეები მ. სალხინაშვილი, ს. ბერიძე, ქ. შიუკაშვილი, ნ. გოგრიჭიანი, ლ. რაინაული, ნ. სერგია, ე. ჯანიკაშვილი, მ. თორღვაძე, ლ. ათუაშვილი, ლ. შალამბერიძე, ნ. აიოიანი და ნ. ხშიიანი დიდი ხალისით ყვებოდნენ ზღაპრებს და იმავე დროს აჩვენებდნენ




კიდევ ამ ზღაპრების მიხედვით შესრულებულ საკუთარ ნახატებს. მოსწავლეებმა საკუთარი ფანტაზიით ხორცი შეასხეს ზღაპრების გმირებს. თხრობას თან სდევდა მხატვრული გამოსახვის ისეთი მანერა, რომელიც ბავშვებში ალტაცებასა და ცხოველ ინტერესს იწვევდა.

ლონისძიების დროს მოენყო ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ სკოლისათვის გადაცემული საბავშვო ლიტერატურის წარდ-

გენა – განხილვა. ლონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი გ. გრძელიძე, სასწავლო ნაწილის გამგე ლ. კობესაშვილი, პედაგოგები მ. აბაშვილი, ე. ჭიკაძე, მ. ოქროპირიძე, ლ. მერკვილაძე, ნ. ღვინიაშვილი. ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: ნ. ღვინიაშვილმა, გ. ინაშვილმა და მ. ფაცაცამ. ლონისძიებას ესწრებოდნენ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ლორია და პასუხისმგებელი მდივანი გ. თაყნიაშვილი; ა. ლორიამ მოსწავლეებს გადასცა საკუთარი



წიგნები, წაუკითხა ამ წიგნებიდან საბავშვო ლექსები. ლონისძიება მოამზადა ბიბლიოთეკარმა ნ. ოქროპირიძემ, რომელსაც აქტიურად ეხმარებოდნენ პედაგოგები და უფროსი კლასის მოსწავლეები. ლონისძიებამ ემოციურად ჩაიარა და დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრეთა შორის.



ცისანა ქოჩიაშვილი

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტ. სალონის ხელმძღვანელი

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის მოღვაწეობა (2012)

2012 წელს ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ საქმიანობა ტრადიციულად წარმართა – ახალი წიგნების პრეზენტაციები, მწერლებთან შეხვედრები, ხელოვნების ნიმუშების გამოფენები, საიუბილეო თარიღების აღნიშვნები.

რამდენიმე ღონისძიება მიეძღვნა გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო წელიწადს. მათ შორის აღსანიშნავია თბილისის ბიბლიოთეკების მკითხველთა და სალონის წევრთა სტუმრობა პოეტის მემორიალურ ბინა-მუზეუმში მისი გარდაცვალების დღეს. პოეტის სამუშაო კაბინეტსა და საექსპოზიციო დარბაზებში სტუმრებს მასპინძლობდნენ გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატები, აკადემიკოსები ნოდარ ტაბიძე და ვახტანგ ჯავახიძე. აქვე გამართულ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს უძღვებოდნენ მუზეუმის დირექტორი ნატო გაბისონია და ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი ცისანა ქოჩიაშვილი. პოეტებმა ეთერ აფაქიძემ, შოთა ტოგონიძემ, მანანა ზაზიკაშვილმა, ახალგაზრდა ავტორებმა ალექო ჯავახიძემ, ალა ისპირიანმა, ლელა თოთაძემ საკუთარი ლექსები უძღვნეს იუბილარ პოეტს; მსახიობმა ლამზირა ჩხეიძემ მისეული ოსტატობით წაიკითხა გალაკტიონის ლექსები. შეხვედრას ესწრებოდნენ მწერალთა კაშვირის თავმჯდომარის მოადგილე რეზო მიშველაძე. მეორე დღეს „გალაკტიონის სტუმრები“ მთაწმინდაზე ეახლნენ პოეტის საფლავს და ყვავილებით შეამკეს.

23 მარტს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მცირე დარბაზში ჩატარდა შეხვედრა ახალგაზრდა შემოქმედთან ალექო ჯავახიასთან („დაჟინებითა ფიქრი ფიქრზე მოდის, გროვდება“), რომელიც აზრთა ჭიდილის, კამათის ატმოსფეროში წარიმართა და დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ავტორმა მსმენელებს თავისი ნააზრევი გაუზიარა ცხოვრების, მოვლენების, შემოქმედის დანიშნულების შესახებ, წაიკითხა საკუთარი ლექსები, ლიტერატურული ჩანახატები. ა. ჯავახიას ლექსები წაიკითხეს, აგერთვე, მისმა მეგობრებმა, ხოლო წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის დირექტორმა, დეკანოზმა მირიანმა (სამხარაძე) მას შემოქმედებითი გზა დაულოცა და სასარგებლო

რჩევები მისცა.

18 აპრილს მთავარ ბიბლიოთეკაში გამართული ფოლკლორის საღამო „ნანა, შვილო, ნანინა“, სანოტო კრებულის „აკვნის ნანას“ 2001 წლის გამოცემას მიეძღვნა. კრებული, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეში ნამღერი ნანების 90-მდე ნიმუშს აერთიანებს, მსმენელებს მისმა შემდგენელმა, ეთნომუსიკოლოგმა ნინო კალანდაძემ წარუდგინა და რამდენიმე ნანაც (ხევსურული, ინგილოური) შეასრულა. საღამოს „ნანების“ შესანიშნავი შესრულებით ალამაზებდნენ ანსამბლ „ინანას“ წევრები მარინა კოლხიდაშვილის ხელმძღვანელობით. დაუვიწყარია ცნობილი მსახიობის ლამზირა ჩხეიძის მიერ წაკითხული ინგილოური „ნანაც“.

უხვად იყო დატვირთული თბილისის ბიბლიოთეკების ტრადიციული კვირეული, რომელიც დანესებულ ჩარჩოებს გასცდა და აპრილ-ივნისშიც გაგრძელდა...

კვირეულის პირველი დღე „ერთი ლექსის ზეიმით“ გაიხსნა და მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდულ ბიბლიოთეკასთან ერთად, ამავე ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა. ზეიმში სხვადასხვა თაობის ცნობილი პოეტები, ახალგაზრდა და ნორჩი ავტორები მონაწილეობდნენ (თემურ ჩალაბაშვილი, ჯუბა ლებელი, შოთა ტოგონიძე, მარინა თექეთმანიძე, ოთო ფალიანი, ალა ისპირიანი, ლელა თოთაძე, თათია ტოტოჩავა და სხვები). ზეიმი მუსიკალური ჰანგებით გააღამაზა თეატრალური უნივერსიტეტის მომღერალთა ჯგუფმა, აგრეთვე ვაკე-საბურთალოს რაიონის საჯარო სკოლების მკითხველ-შემსრულებლებმა, გოგონათა ფოლკლორულმა ჯგუფმა ნინო ქავთარაძის ხელმძღვანელობით.

მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდული ბიბლიოთეკისა და „საგულისონის“ ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა მირზა გელოვანის 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელზეც საგანგებოდ იყვნენ მოწვეულნი თიანეთის მემორიალური ბინა-მუზეუმის დირექტორი ციცო გაბიდაური, პოეტი-ჯარისკაცის ახლო ნათესავები, თიანეთის მხატვრული კოლექტივები. სტუმრები ბიბლიოთეკას საიუბილეო მოძრავი გამოფენით ესტუმრნენ. საღამოს მშვენებად იქცა მომღერალი ღები — ზვიად-

ურების მიერ შესრულებული მთის სიმღერები. საიუბილეო საღამო აკურთხა მეუფე თადეოზმა.

კვირეულის ერთი დღე — 26 აპრილი ქართულ ფოლკლორს დაეთმო, რომელზეც მოწვეული სტუმრები ინტერესით გაეცნენ ფოლკლორული ანსამბლის „შავნაბადას“ (ხელმძღვანელი დათო ცინცაძე) და ბანკი „კონსტანტას“ ერთობლივ პროექტს — „მრავალხმიანი საქართველო“. ნაჩვენებ იქნა მათ მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმები — „ჩაკრულო“ კოსმოსში და „ღვინო და მრავალჟამიერი“.

მოენყო ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრის (ანზორ ერქომაიშვილი) მიერ გამოცემული წიგნებისა და სანოტო კრებულების გამოფენა.

საღამოს სტუმრებს თავისი წიგნი „ლადო აღნიშვილი“ წარუდგინა რუსთავის პედაგოგმა და მკვლევარმა ციური ბერიძემ.

საღამოზე მრავლად იყო წარმოდგენილი ქართული ფოლკლორის როგორც ზეპირსიტყვიერი, ისე მუსიკალური ნიმუშები (ლამზირა ჩხეიძე, ოთო ფალიანი, ნინო ზვიადაური). ცალკე უნდა აღინიშნოს გოგონათა ფოლკლორული, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „სათანაო“, რომელიც ბიბლიოთეკას ესტუმრა ინგლისში გამგზავრების წინააღმდეგ. აღტაცებულმა მსმენელებმა გზა დაულოცეს და წარმატებები უსურვეს მათ.

8 მაისს მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოეტ ზურაბ მამულაშვილის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც უძღვებოდა სალონის ხელმძღვანელი ცისანა ქორჩიაშვილი. ბატონი ზურაბის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საუბრისა და „რჩეული ლექსების კრებულის“ წარდგენის შემდეგ, მისი შემოქმედება საინტერესოდ წარმოადგინეს სხვადასხვა თაობის პოეტებმა (ოთო ფალიანმა, ჯარჯი შუქიაურმა, იოსებ ტაოხმა, გიორგი მოსიაშვილმა, შოთა ტოგონიძემ, გივი სიხარულიძემ, მსახიობებმა იზა ვეფხვაძემ და ჯემალ მელქაძემ).

სტუმრებს სამადლობელი სიტყვით მიმართა და ახალი ლექსები გააცნო იუბილარმა, რომელსაც მთავარი ბიბლიოთეკის სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა.

ბიბლიოთეკის კვირეულის შედეგების შეჯამება და საზეიმო დახურვის ცერემონია 30 აპრილს გაიმართა თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში. საზეიმო განწყობა, რომელიც თბილისის მოსწავლეთა სასახლის ბიჭუნათა ფოლკლორულმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი კახა შაკიშვილი) შექმნა, გააცხოველა ქ. თბილისის მერიის (შოთა მალლაკელიძე) მიერ მთავარი ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების ხელმძღვანელთა ერთი ჯგუფის

დაჯილდოებამ. მათ გადაეცათ საპატიო სიგელები, დიპლომები, მედლები „ქართული კულტურის დესპანი“, „ქართული კულტურის ამადარი“ და მთავარი ბიბლიოთეკისაგან ფულადი პრემიები.

ლიტერატურული სალონის მოწვევით, მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის ქალბატონ ციალა კალმახელიძის მეცადინეობით და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრალურ დარბაზში 15 მაისს გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური წარმოდგენა „ჩვენი ოტია“, რომელიც ოტია იოსელიანის ხსოვნას მიეძღვნა. სპექტაკლი წარმოადგინა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრმა (ხელმძღვანელი, სცენარის ავტორი და მთხრობელი იზა ვეფხვაძე). აქვე იქნა ნაჩვენები ცნობილი ჟურნალისტიკა და კინორეჟისორის გივი ვეფხვაძის დოკუმენტური ფილმი „ოტია იოსელიანი“. მაყურებელთა თხოვნით, ორი დღის შემდეგ მისი განმეორებითი ჩვენება გაიმართ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს მიეძღვნა ლიტერატურული სალონისა და თბილისის სულხან ცინცაძის სახელობის ხელოვნების სკოლის (დირექტორი ლია მავზარაშვილი) ერთობლივი ღონისძიება „ჩვენ ვკითხულობთ ბარათაშვილს“. აღნიშნული ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია სკოლის მოსწავლეებმა შესანიშნავი შესრულებით წარმოადგინეს მოხუცთა თავშესაფარ „კათარზისში“ (18 მაისს), გალაკტიონის მემორიალურ ბინა-მუზეუმში და თავად მთავარ ბიბლიოთეკაში (ეს უკანასკნელი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს — 1 ივნისს გაიმართა). თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ ხელოვნების სკოლის აღნიშნული კომპოზიციის მონაწილე დეკლამატორები და მუსიკოს-შემსრულებლები მხატვრული ლიტერატურით დააჯილდოვა.

ლიტერატურული სალონის ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია შეხვედრა მწერალთან და მთარგმნელთან ნინო რამიშვილთან (13 ივნისი). ახალგაზრდა შემოქმედმა წარმოადგინა ორი სერიოზული ნამუშევარი: საქართველოს ეროვნული აკადემიის მიერ გამოცემული ვაჟა-ფშაველას ლექსებისა და მოთხრობების თარგმანები ინგლისურ ენაზე და უილიამ შექსპირის სონეტების ქართული თარგმანები (რედაქტორი ზაზა კაციაშვილი). დამსწრე საზოგადოება ინტერესით გაეცნო ავტორის საკუთარ ლექსებსაც.

„თბილისობა-2012“-ის მრავალ ღონისძიებათა

შორის, „რიყის ბაღის“ ამფითეატრის სცენაზე 5 ოქტომბერს გამართულ ახალგაზრდა ლიტერატორთა შეხვედრებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს „საგულისონის“ მეგობარმა ახალგაზრდა პოეტებმა: ლელა თოთაძემ, ოთარ ფალიანმა, ნინო და მარიამ ქამუშაძეებმა, სოფო სირაძემ, თათია ტოტოჩავამ, ალა ისპირიანმა.

ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნას მიეძღვნა 28 ოქტომბერს მთავარ ბიბლიოთეკის ინციატივით — ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახალხო თეატრის წარმოდგენა „საქართველოს შიშველი სატევარი“ (სცენარის ავტორი, რეჟისორი და წამყვანი იზა ვეფხვაძე), რომელიც გაიმართა საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების“ დარბაზში, მას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, სასულიერო პირები. წარმოდგენა გაჯერებული იყო დოკუმენტური კინო-კადრებით, ქართული სიმღერებით, რომელსაც ასრულებდნენ ხარაგაულიდან საგანგებოდ ჩამოსული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის წევრები (ხელმძღვანელი თ. კიკნაძე). თბილისის მოსწავლეთა ეროვნული სასახლის ხელმძღვანელთა თხოვნით, წარმოდგენა განმეორებით შედგა „პიონერ-ფილმის“ დარბაზში.

მთავარი ბიბლიოთეკის 104-ე წლისთავს მიეძღვნა ქართული ნაქარგობის ნიმუშების გამოფენა, რომელიც მთავარ ბიბლიოთეკაში მოეწყო. საკუთარი შემოქმედება წარმოადგინეს თვითნასწავლმა მხატვრებმა: დალი ხაჭაპურიძემ, მარინე კოლხიდაშვილმა, ლიანა ანიაშვილმა და ლიანა დუდუშაურმა. გამოფენამ დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. დაიხურა მარინე კოლხიდაშვილის ანსამბლის გამოსვლით.

მესხეთის სახელმწიფო თეატრის მიერ თბილისის მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრის სცენაზე 29 სექტემბერს წარმოდგენილ სპექტაკლს („ქეთევანი“), ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემიის ლაურეატის რეჟისორ ლია სულუაშვილის მონვევით, თითქმის სრული შემადგენლობით დაესწრნენ ლიტერატურული სალონის წევრები.

მთავარ ბიბლიოთეკაში 8 ნოემბერს ორიგინალური ფორმით ჩატარდა პოეტისა და სიმღერების ავტორის გურამ ჭავჭავანიძის ლექსთა კრებულის („სიყვარულის მომდერალი“) პრეზენტაცია. ავტორი სტუმრებს მიეგება როიალთან თავისივე ლექსებზე შექმნილი სიმღერებით. სადამოსესტუმრნენ და სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, ჯანსუღ

ჩარკვიანმა, რევაზ მიშველაძემ; ბაბუის ლექსები ნაიკითხეს პოეტის შვილიშვილებმა.

ლიტერატურულმა სალონმა მოაწყო ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი მოძრავი გამოფენა, როგორც მთავარ, ისე მირზა გელოვანის ახალგაზრდულ ბიბლიოთეკებში, რაც ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმთან ერთად განხორციელდა. მთავარმა ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყო იმ თანამშრომლებს, რომელთაც საიუბილეო თარიღები შეუსრულდათ მიმდინარე წელს.

ლიტერატურული სალონის აღნიშნული და ყველა სხვა ღონისძიება ხალხმრავლობით, თვალსაჩინო დოკუმენტებით და სარეკლამო მასალებით, მონაწილეთა სამახსოვრო სუვენირებითა და წიგნებით დაჯილდოებით, ფოტო და ვიდეო გადაღებებით აღინიშნებოდა.

სიამოვნებით უნდა მოვიხსენიოთ ცნობილ მეცნიერთა, მკვლევართა, შემოქმედთა, მედია-საშუალებების აქტიური თანადგომა და მონაწილეობა სალონის ღონისძიებებში (მხატვარი რეზო ადამია, მსახიობები ლამზირა ჩხეიძე, ელდინო სალარაძე, ჯემალ მელქაძე, პოეტები მზია ხეთაგური, თემურ ჩალაბაშვილი, ეთერ აფაქიძე, მანანა ზაზიკაშვილი, მწერალთა კავშირის წარმომადგენლები – მაყვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე, ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი პოეტი მარინა თექთუმანიძე, რადიო-ჟურნალისტი ივანე ჯაფარიძე, „არტსალონ-ეკას“ ხელმძღვანელი ეკა კაპანაძე, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი ნატო გაბისონია, აკადემიკოსები ნოდარ ტაბიძე, ვახტანგ ჯავახიძე და სხვა). სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება ახალგაზრდა შემოქმედთა და მკითხველთა დაინტერესება ლიტერატურულ სალონთან მეგობრობით, ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილით.


უანგარო მეგობრობას გვინვედა სრულიად საქართველოს გაზეთი „რაეო“ (მთავარი რედაქტორი გია პაპუაშვილი, მოადგილე – რამინ ჭელიძე), რომლის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა სალონის წევრთა მიერ მომზადებული მასალები.

მთავარი ბიბლიოთეკის (გენერალური დირექტორი ციალა კალმახელიძე) მხარდაჭერა და თანადგომა სალონისათვის საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ იმედი გვაქვს, 2013 წელს იგი კიდევ უფრო გაიზრდება.

ლალი გოქაძე

თბილისის №57 საჯარო ბიბლიოთეკის გამგე

ბიბლიოთეკართა სათნოების სახლი



ვერ მალავდნენ, რადგან საზღვარგარეთ ბიბლიოთეკართა სათნოების სახლები არ არსებობს, თუმც იქ უამრავი სახის სათნოების სახლი არის.

სახლის მონყობას, მატერი-ალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და წესრიგში მოყვანას ციალა კალმახელიძესთან ერთად, ხელი შეუწყო ქალაქის მაშინდელმა მერმა ვანო ზოდელავამ, კულტურის სამმართველოს უფროსმა დათო ოქიტაშვილმა და გენერალური დირექტორის მოადგილემ ზურაბ მაჭარაშვილმა.

ეს კეთილშობილური იდეა, თავის დროზე გაშუქებულ

ამ კეთილშობილური და სასარგებლო საქმის სულისჩამდგმელი და ინიციატორია ქალაქ თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების გენერალური დირექტორი ქალბატონი ციალა კალმახელიძე. მაგარმ მისი ინიციატივა ქალაქის ბიბლიოთეკართა გაერთიანებულ კრებაზე განუხორციელებელი დარჩებოდა, რომ არა დიდი მხარდაჭერა და მონდომება ქალაქის მერიისა.

კრების გადაწყვეტილებით, აღნიშნულ სახლს დაეთმო ელიას მთაზე მდებარე გალაკტიონ ტაბიძის სახ. ბიბლიოთეკის სამსართულიანი შენობის მესამე სართული, რომლის მეორე სართულზე დღესაც ფუნქციონირებს გალაკტიონ ტაბიძის სახ. №26 ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურება ელიას მთის რაიონის მოსახლეობას, როგორც უფროსებს, ასევე ბავშვებს. ამ ბიბლიოთეკის თანამშრომლები არიან სათნოების სახლში მცხოვრები ბიბლიოთეკარები.

აღსანიშნავია, რომ სათნოების სახლს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ თბილისში ჩამოსული გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების უცხოელი სტუმრები, რომლებიც აღფრთოვანებულიყვნენ რჩებოდნენ, გაოცებულ

იქნა პერიოდულ პრესაში, გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“ (2002 წლის 2 აპრილი), და 13 აპრილი გაზეთი „თბილისი“, 2002 წლის 2 თებერვალი და 2002 წლის 28 თებერვალი. ციტატა პრესიდან: „ელიას მთაზე ერთ მეტად კეთილშობილურ საქმეს ეყრება საფუძველი. ქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა ციალა კალმახელიძემ გვითხრა, რომ ბიბლიოთეკის მესამე სართულზე სათნოების სახლი იქნება უმწეო, უბინაო, გაჭირვებული ბიბლიოთეკარებისათვის, რომლებიც მთელი



თავისი შეგნებული ცხოვრება ბიბლიოთეკა-სა და წიგნებს ემსახურებოდნენ. ქ-ნი ციალა მადლობას უხდის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით (2002 წლის 21 აპრილი, №79) ვანო ზოდელავასა და დავით ოქიტაშვილს, რადგან მათი ქველმოქმედებით ძალზე კარგი სამომავლო საქმე გაკეთდა“.

დღეისათვის ამ სახლში ცხოვრობს 20 ბიბლიოთეკარი. ისინი აქ ისევე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში, რადგან მათ აქ ყოველგვარი პირობა გააჩნიათ, უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავენ ქალბატონ ციალა კალმახელიძისა და მაშინდელი ქალაქის მთავრობის მიმართ. აქ ის ადამიანები არიან, რომლებიც ზოგი ბინის მოლოდინისა და ზოგიც გაჭირვების გამო უსახლკაროდ დარჩნენ. ისინი არ კარგავენ იმედს, რომ დღევანდელი მთავრობა გააგრძელებს დაწყებულ საქმეს, გვერდში

ამოუდგება ქალბატონ ციალა კალმახელიძეს და დაუკანონებენ ბიბლიოთეკართა სათნოების სახლს ქალაქ თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანებას, რითაც სამართალი იზეიმებს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის, რომ როდესაც ამ სახლში ბიბლიოთეკართა პირველი ნაკადი შემოვედით, იდეა, რომელიც ჩაგვესახა, ეს იყო შენობის წინ მდებარე ეზო გაგვენმინდა, გაგვესუფთაებინა და გაგვეშენებინა პატარა სკვერი და მისთვის გვეწოდებინა 9 აპრილს დაღუპულთა უკვდავსაყოფად მათი სახელი. ამ იდეით კარგ ტრადიციას ჩავუყარეთ საფუძველი: აღნიშნულ ბაღში ყოველი წლის 9 აპრილს ხეხილის თითო ნერგი და ყვავილი დაირგვება და ეს პატარა საჩუქარი იქნება მცხოვრებთათვის, კიდევ უფრო გაშენდება და აყვავდება იქაურობა.

მზია ტომონიძე

სოციოლოგიური გამოკვლევა თბილისის №42 ბიბლიოთეკაში



ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ 2012 წლის მე-4 ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მკითხველებს ვპირდებოდით №42 ბიბლიოთეკაში ჩატარებული სოციოლოგიური შუალედური კვლევის მიმდინარეობის

შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. საინტერესო და მისაბაძია ის ფაქტი, რომ ამ ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის ეკა ლაპიაშვილის საკუთარი ინიციატივითა და ენთუზიაზმით ჩატარდა კონკრეტული ბიბლიოთეკის მკითხველთა კითხვადობისა და ბრუნვადობის კოეფიციენტების გამოკვლევა. გამოკვლევა მიმდინარეობდა 2012 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით. რადგან ასეთი გამოკვლევა ჩვენს ბიბლიოთეკაში პირველად ტარდებოდა, კვლევის მიმდინარეობის სისწორისა და დამაჯერებლობის შესახებ

ინტერვიუერმა საჭიროდ ჩათვალა შემდგომი შედეგების სისწორის დასადასტურებლად შუალედურ სემინარზე თავისი ინიციატივის გასაუღერებლად მოგვეწვია საბიბლიოთეკო საქმის კვლევის სპეციალისტი ალექსანდრე ლორია და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკამცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილების უფროსი გურამ თაყნიაშვილი, რომლებმაც მათთვის ჩეული პროფესიონა-





მხატვრული ლიტერატურით – 56%, 15–15% იყენებს ენციკლოპედიებს, ცნობარებს, გზამკვლევებს და ისტორიულ ლიტერატურას, 10% ხელოვნების მოყვარულია (მუსიკა, კინო, თეატრი, მხატვრობა, არქიტექტურა); 1% კითხულობს რელიგიურ ლიტერატურას, 1% – ფილოსოფიურსა და ფსიქოლოგიას, 1% – საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს.


დაბალი პროცენტი, ინტერვიუერის აზრით, გამოწვეულია ბიბლიოთეკაში თანამედროვე ლიტერატურის უქონლობით. შეკითხვაზე – კმაყოფილები


ლიზმითა და შემართებით მოისმინეს ქალბატონი ეკა ლაპიაშვილის მოხსენება და ანალიზი სოციოლოგიური კვლევის შედეგების შესახებ.

2012–2013 წლებში გამოიკითხა 10–დან 14 წლამდე მკითხველთა ნაწილი, აქედან 70% გოგონა და 30% ვაჟი. კითხვაზე – რა სიხშირით დადისართ ბიბლიოთეკაში, რესპონდენტთა 45%–მა უპასუხა, რომ დადის ყოველდღე, 40% – კვირაში ერთხელ, 10%–კვირაში სამჯერ და 5% – თვეში ერთხელ. საინტერესოა პასუხები შეკითხვაზე – რა სახის ლიტერატურით სარგებლობთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ხშირად ამ ასაკის მკითხველები სარგებლობენ

არიან თუ არა საბიბლიოთეკო მომსახურებით და ბიბლიოთეკაში არსებული ფონდით, რესპონდენტთა 60%–მა გამოთქვა კმაყოფილება. ინფორმაციის ძირითადი წყაროს დასახელებისას მკითხველები უპირატესობას წიგნს ანიჭებენ. ანკეტურ მონაცემებში გვანტერესებდა წიგნის ყიდვის სიხშირე, 70%–საოჯახო ბიბლიოთეკის შესავსებად. ყველაზე დატვირთული დრო ბავშვების მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობისას არის დღის 14–დან 17 საათამდე. ამ შუალედში ბიბლიოთეკა ყველაზე ინტენსიურად არის დატვირთული.

ქალბატონ ეკა ლაპიაშვილის ინფორმაცია სემინარის მონაწილეებმა დიდი ინტერესითა და ყურადღებით მოისმინეს, მიუხედავად საერთოდ დადებითი შთაბეჭდილებისა, სემინარზე გამოითქვა მოსაზრებები ანკეტური შეკითხვების გაფართოების შესახებ, რაც მომხსენებელმა დადებითად შეაფასა და შემდგომი სოციოლოგიური გამოკვლევების გაგრძელებისას





გამოთქმული მოსაზრებები აუცილებლად გათვალისწინებული იქნება.

განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ეკა ლაპიაშვილისა და ბატონ ალექსანდრე ლორიას დისკუსიამ. ეს თანამშრომლობა, იმედია, მომავალშიც ნაყოფიერად გაგრძელდება.

სოციოლოგიური გამოკვლევის მსვლელობის პერიოდში ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაში მარინა სამადაშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო თამარ მეფის წლისადმი და დავით

ალმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი გამოფენები, რომლებმაც სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებზე დადებითად იმოქმედა.

სემინარის ერთ დადებით მხარედ მიგვაჩნია ისიც, რომ ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ ჩვენს მიერ მოწვეული ნაძალადევის რაიონში მდებარე წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის საპატრიარქო სკოლა-პანსი-

ონისა და 129-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარები - ქალბატონები მარი ჯიჯავაძე და ლილი ხუციშვილი. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს და საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს სემინარის მონაწილეებს. აღნიშნულ სკოლებთან ბიბლიოთეკის თანამშრომლობა წლებს მოიცავს და ასეთი კოორდინაცია ნაყოფიერ შედეგებს იძლევა მკითხველთა მომსახურების გააქტიურებაში.

ბიბლიოთეკარი და მკითხველი

ნანა ჯაფარიძე

№129-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

პატარა ანის ოცნება

დროს ცვლის დრო, წამს-წამი... მიჰქრიან დღეები, წლები თითქოს ყოველთვის ერთი ჩვეულებრივი დღეა, მაგრამ მაინც არაჩვეულებრივი, იმიტომ, რომ რაღაც განსაკუთრებული აღიბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში.

თბილისის №129-ე საჯარო სკოლის სამსართულს აივლით, დერეფანს მარჯვნივ გაუყვებით და შეაღებთ იმ ოთახის კარს, სადაც ბიბლიოთეკაა. დიდ, ნათელ ოთახში თაროებზე ანბანის მიხედვით ჩამწკრივებული წიგნები მადლიანად იცქიერებიან და თითქოს იხვეწებიან: მე წამიკითხე-მეო. ამას ვერ გაიგებ, ვერც დაინახავ, ეს უნდა იგრძნო... ზედაპირული მიდგომით, ნახევარი გული-



თა და სულით ვერ შეიცნობ წიგნების იდუმალ თხოვნას... უბრალოდ, ძალიან უნდა გიყვარდეს შენი საქმე, წიგნი, მკითხველები... მომღიმარი სახე, თბილი დახვედრა, სიმყუდროვე - ყველა პირობა უნდა შექმნა იმისთვის, რომ მოზარდებმა წიგნი შეიყვარონ და ცოდნის ძიების სურვილი დაიკმაყოფილონ.

ზარის წკრიალი გაკვეთილის დასრულებისა და მკითხველთა სტუმრობის მაუწყებელიც არის. დასვენება ისე არ ჩაივლის, რომ მოსწავლეთა ფუსფუსმა არ აახმიანოს ბიბლიოთეკა და მისი ხელგაშლილი, კეთილი მასპინძელი ლილი ხუციშვილი. მოზარდები ათვალისწინებენ, იქექებიან უურნალ-

გაზეთებსა და წიგნებში, ირჩევენ სასურველ ლიტერატურას, ფურცლავენ, მოქცევის წესებიც კარგად იციან: იცავენ სიჩუმეს, მორიდებით ეწერებიან, ეხმარებიან ერთმანეთს.

ერთხელ მაგიდას პატარა გოგონა მიჯდომოდა. დიდი ლურჯი თვალებით აკვირდებოდა ბიბლიოთეკარს.

– ანი, შენ ჩემი ხშირი სტუმარი ხარ! ალბათ ბევრი თავისუფალი დრო გაქვს, თან წიგნებიც

ძალიან გიყვარს!

– არა, დრო არ მაქვს, წიგნები კი მართლა ძალიან მიყვარს და თან ბიბლიოთეკარი მინდა გამოვიდე!... იცით მე თქვენ დაგხატეთ! – უთხრა პატარამ და ნახატი აჩვენა.

შემთხვევით შევესწარი ამ ამბავს. პატარა ანი გოცირიძემ წრფელი გულით განაცხადა საიდუმლო ოცნება. ლილის სახეზე გაცოცხლებასთან ერთად დიდმა სიყვარულმაც გაიელვა...

ღირსეული წინაპრები

ალექსანდრე ლორია


კულტურულ-საგანმანათლებლო და წიგნის

საქმის დიდოსტაბი ზაქარია ჭიჭინაძე – 160

(ბიოგრაფიული ეტიუდი)

„ზაქარია ჭიჭინაძე – ძელქვა ჩვენის ეროვნული სულისა“... (გ. ტაბიძე)

მე-19 საუკუნის დასასრული ის ეპოქაა, როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად ჭირდებოდა საყოველთაო წიგნიერი გარემოს შექმნა, რომ სამუდამოდ არ მოწყვეტილიყო კულტურის ევროპული განვითარების გზას. ამისათვის საჭირო იყო კულტურულ-საგანმანათლებლო ატმოსფეროს სრული გარდაქმნა და განვითარება, კულტურის, ხელოვნებისა და მწერლობის მსოფლიო მიღწევების გაცნობა, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ვითარების შეცნობა და გააზრება, გარკვევა იმ მოვლენებში, რაც ქვეყნად ხდებოდა, წვდომა იმ სიმაღლეებისა, რასაც ახალი დროება ითხოვდა, დაუფლება იმ




სიახლეებისა, რაც ინერგებოდა საყოველთაოდ ახალი საუკუნის დამდეგს. ყოველივე ამის მიღწევა კი წიგნის საქმის აქტივიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სხვა ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით იბრძვის საქართველოში რეფორმაციული სულისკვეთების დანერგვისათ-

ვის, უპირველეს ყოვლისა, წიგნის საქმის, მისი გამოცემისა და გავრცელებისათვის. ამ დარგის მოღვაწეთა შორის უპირველესია ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძე. მან არაერთი მსოფლიოში ცნობილი ახალი სახელი გაახშირნა საქართველოში, არაერთი ახალი ტერმინი გააცნო საზოგადოებას, არაერთ ახალ მოძრაობას შეეხო, არაერთი ახალი, ჯერ უცნობი მწერალი დაანახა მკითხველებს. სწორედ ამას უსვამს ხაზს გალაკტიონ ტაბიძე, როდესაც ზაქარია ჭიჭინაძეზე წერს: „... მას ეკუთვნის საქართველოში პირველი წერილი კარლ მარქსზე... პირველმა ახსენა ახალი სახელები საქართველოში: პრუდონი, ლუი ბლანი, რობერტ ოუენი, სენ-სიმონი, ფურიე...“ (1).

როგორც გ. ტაბიძე თავის გამოკვლევაში „ზაქარია ჭიჭინაძე“, 1922 წერს:

ზაქარია „თანამშრომლობდა საქართველოს ყველა გაზეთში და მათში დაბეჭდილი მასალები იქნება რამდენიმე ტომი. რიცხვი ამ გაზეთებისა უდრის რამდენიმე ათას ნომერს, ზაქარია ჭიჭინაძის კალამს ეკუთვნის ორას ორმოცდაათამდე წიგნი. ამ რიცხვში დაბეჭდილია მხოლოდ ას თორმეტი, დანარჩენი კი, მეტად ძვირფასი მასალა, ჯერ კიდევ დაუბეჭდავია (2). (სხვადასხვა მკვლევარნი სხვადასხვა ოდენობას ასახელებენ).



ეს ბიოგრაფიული ცნობა, ცხადია, სპონტანური, მაგრამ მეტად საგულისხმო. დღეს არავის შეუძლია მთელი სიღრმით შეაჯამოს ზ. ჭიჭინაძის გამოცემათა ოდენობა და თემატური სიმრავლე, როცა, ჩვენდა სამარცხვინოდ, ხელთ არა გვაქვს ამ დიდი მოღვაწის არც სრულყოფილი ბიბლიოგრაფია და არც ბიოგრაფიული ცნობარი, რომლებიც სრულ წარმოდგენას მოგვცემდა მის შემოქმედებით მემკვიდრეობაზე.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ („ქსე“) ცნობით, ზაქარია ჭიჭინაძე დაიბადა 1853 წ. თბილისში, ხოლო გ. ტაბიძის მიხედვით – 1854 წ. 8 თებერვალს. იგი მეხუთმეტე შვილი იყო საკმაოდ ღარიბი ოჯახისა. მამა ახალგაზრდობაში წამოსულა რაჭის სოფ. ხოტევიდან და უკან არასოდეს მიბრუნებულა. თბილისში შეერთო ცოლი, შეიძინა ბინები და აქ აღესრულა, დედამამ მშრომელი, კეთილსინდისიერი ადამიანები იყვნენ. ძველი კარაბადინების მცოდნე დედა, უშურველად მკურნალობდა დაავადებულთ, როგორც ჩანს, ზაქარიას მოგონებები 8 წლის არაკიდან იწყება, როცა ის მთანმინდის სკოლაში მიაბარეს, სადაც მან წერა-კითხვის საფუძვლიანად შესწავლა დაიწყო. იმ დროს მასთან ერთად სწავლობდა შემდეგში ყაჩაღობით განთქმული ტატო წულუკიძე, რომელთანაც ზაქარიას ჩხუბი მოუვიდა რამდენადაც ტატო მდიდარი კაცის შვილი იყო, ამ შემთხვევის გარჩევის დროს სკოლის დირექტორმა ამ უკანასკნელს დაუჭირა მხარი, ზაქარია კი იძულებული გახდა, სხვა სკოლაში გადასულიყო, მშობლებმა ის ირაკლის სახელობის სასწავლებელში მიაბარეს. სწორედ ამაზე ითქმის: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, – აქ მასწავლებლობდა ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი, რომელსაც ზაქარია თავისი ცხოვრების გზის გამკვალავად მიიჩნევს. სწორედ მისი წყალობით შეიყვარა პატარა ზაქარიამ ისტორია და გეოგრაფია, დაინტერესდა ფოლკლორით, ოღონდ ვერ იტანდა მათემატიკას, რაც იმის მიზეზი გამხდარა, რომ ამ სკოლიდანაც დაითხოვეს. სავსებით დამოუკიდებლად შეუდგა ცხოვრებას, მთელი დღის განმავლობაში ქუჩებსა და ბაზრებში ხეტიალობდა, სახლში საღამოს ბრუნდებოდა და გათენებამდე უჯდა წიგნებს. წაიკითხა სახარება, „ვეფხისტყაოსანი“, საღდაციდან შოულობს პერგამენტზე ნაწერ წიგნებს და იმათ უკირკიტებს. ეტყობა, მშობლები კარგად ამჩნევდნენ ამ ჯიუტ, მოუხელთავ ბიჭში ნიჭს და არ სურდათ ბავშვი უსწავლელი დაეტოვებინათ. იგი ახლა ქაშვეთის სკოლაში მიიყვანეს, მაგრამ აქაც თავს ანებებს სწავლას და ამიტომაც იძულებულს

ხდიან, საკვირაო სკოლაში განაგრძოს სწავლა. მაგრამ მან მხოლოდ რამდენიმე თვე დაჰყო აქ და 13 წლის ასაკში სავსებით ანებებს თავს სკოლას თვითგანათლებაზე გადადის და ამგვარად იმდიდრებს გონებას. მაგრამ ისეთ ხელმოკლე ოჯახში, რომელშიც ის ცხოვრობდა, ცხადია, ასე უქმად ვერ დააყენებდნენ და სხვადასხვა ხელოსანთან უწევს მუშაობა. მერე თამბაქოს ქარხანაშიც ცდის ბედს, სასტუმროში მსახურობს მოსამსახურედ, მიუხედავად ადგილიდან ადგილზე გადასვლა-გადმოსვლისა, არასოდეს არ კარგავდა დროს, წიგნები არ ეკითხა. თანდათან წიგნი იქცევა მისი სულიერი მოთხოვნების წყაროდ.

თითქოს ღვთის წყალობით, ერთხელ ქუჩაში გადაეშალა „დროება“ და გულისყურით შესდგომოდა კითხვას ბედად იქვე 5 ქართველი ტიტანი ერთად შეკრებილიყო: აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი და კირილე ლორთქიფანიძე. მათ შენიშნეს კითხვით გატაცებული 15 წლის ახალგაზრდა და, ცოტა არ იყოს, გაოცებულნი დარჩნენ. თბილისის ქუჩებში ასეთი სურათის ნახვა ახალი, ჯერ უნახავი რამ იყო და სერგეი მესხი დაურიდებლად გამოელაპარაკა ყმანვილს. როცა გაიგო, რომ მას ეს გაზეთი შინ აქვს გამოწერილი, დაინტერესდა ამ ყმანვილით, და დაიახლოვა კიდეც. ამის წყალობით ზაქარიას კიდეც უფრო გაუცხოველდა წიგნებისადმი ინტერესი. სწორედ წიგნების დიდმა სიყვარულმა მიიყვანა ის ერთ-ერთ წიგნსაცავში სამუშაოდ, მაგრამ აქაც ვერ დაჰყო დიდხანს ამ მოუსვენარი სულის ადამიანმა. ცხოვრება და ოჯახი უღმობლად ითხოვდა მისგან, საკუთარი სახსრები ეძია. იგი კახეთში გაჰყვა ერთ ტყის მცველს სამუშაოდ და თან უამრავი წიგნი წაიღო. აქ მან 7–8 თვე დაჰყო და თბილისში დაბრუნების შემდეგ სამსახური დაიწყო საცენზურო კომიტეტში.

სავსებით სხვა ატმოსფერო დახვდა: აკრძალული ლიტერატურა მრავლად იყო როგორც რუსული, ისე ქართული და ფრანგული ჟურნალ-გაზეთები. გაორმაგებული ინტერესით ეწაფება მათ. როგორც ცნობილია, ზაქარია სისტემატურად ამარაგებდა მისი ახლობელი წრის ადამიანებს აკრძალული ლიტერატურით.

უკვე 19 წლის ახალგაზრდა, სავსებით მომწიფებულია, რომ თვითონ ჩაებას შემოქმედებით შრომაში. ამ დროს ის ნათლად ხედავს, რა ჭირდება ქართველ ხალხს განათლების თვალსაზრისით, მის ინტერესგამახვილებულ გონებას, რა წყურია ქართველი კაცის სულს, ცდილობს გაბედულად თქვას სათქმელი, თავისი ნვლილი შეიტანოს მასის განვითარების საქმეში, და იწყებს პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1972 წლიდან

ქვეყნდება მისი წერილები გაზეთ „დროებაში“. ძირითადად იყენებს ფსევდონიმს „მთანმინდელი“. გარდა ამისა, აქვეყნებს სტატიებს „შავსელის“ ფსევდონიმით.

სხვათა შორის, ამ პერიოდში, და კარგა ხანს შემდეგაც, რუსეთის იმპერიაში ძალიან გავრცელდა ფსევდონიმების გამოყენება. ოხრანკისაგან შერისხულ ადამიანებს სურთ, თვალში არ მოხვდნენ პოლიციურ სამეთვალყურეო ორგანოებს და მალავენ თავიანთ ნამდვილ ვინაობას. გარდა ამისა, სხვადასხვა მოსაზრებითაც ხდება ეს, რაც საბოლოოდ, ტრადიციად იქცა.

სერგეი მესხი აქეზებდა ნიჭიერ ახალგაზრდას, ხელს უწყობდა, ეწერა და ებეჭდა. ამიტომაც იგონებდა ზაქარია ყოველთვის მას, როგორც მასწავლებელს. ამან შემოქმედებითად ისე მოალონიერა და წაათამამა ახალგაზრდა კაცი, რომ მალე (1875 წ.) უკვე თავისი წიგნების გამოცემას შეუდგა.

ზაქარიას კარგად ესმოდა, რა დიდი გარღვევა იყო წიგნიერების სფეროში. განსაკუთრებით აწუხებდა ხელნაწერთა უმოწყალოდ განიავება. მიზნად დაისახა, რასაც წააწყდებოდა, უეჭველად მოეპოვებინა და ეზრუნა მის დაცვაზე. როგორც გ. ტაბიძე გვაუწყებს, მან 1875 წლიდან 1878 წლამდე დაახლოებით 500–ზე მეტი ხელნაწერი შეკრიბა. როცა რაიმე ახალს გამოავლენდა, გაზეთ „დროებაში“ აცხადებდა. ის ხედავდა, რამდენად მძიმე ვითარება იქმნებოდა იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობდა ქართული წიგნის მაღაზიები, რაც იყო, იქ უმეტესად ქართულ წიგნს ძნელად თუ იპოვიდი. ამიტომაც მან მაღაზიების გავრცელებაზეც დაიწყო ზრუნვა.

მის მიზანს წარმოადგენდა რა წიგნების ფართოდ გავრცელება, თავად გახსნა წიგნების მაღაზია ქაშვეთთან და ვაჭრობა დაიწყო, ზოგჯერ ურიკათიც კი გაჰქონდა წიგნები ბაზარზე. მას მუდამ გარს ეხვეოდნენ ახალგაზრდები. ბევრ წიგნს უფასოდ ურიგებდა მათ. არასოდეს ერიდებოდა აკრძალულ ჟურნალ–გაზეთების ფარულად გავრცელებას. ჟურნალების – „კოლოკოლის“, „სოვრემენიკის“ და სხვა მსგავსი გამოცემების პირველი გამავრცელებელი საქართველოში სწორედ ზაქარია ჭიჭინაძე იყო. ის სოციალ–დემოკრატიის რიგებს მიეკუთვნებოდა, მანამდე ხალხოსანს წარმოადგენდა და ცდილობდა, ახალგაზრდებს შორის გავრცელებინა ეს იდეები. ამან განაპირობა ის, რომ მან მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკურ–ეკონომიკური მსოფლმხედველობის უდიდესი ფიგურების შესახებაც გამოსცა წიგნები, რამაც დიდად შეუწ-

ყო ხელი ქართველი მოწინავე ახალგაზრდების გაცნობიერებას. იგი გაბედულად ავრცელებდა რევოლუციურ იდეებს. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გააქტიურების დროს ზ. ჭიჭინაძე საქართველოში გულმოდგინედ მუშაობს იდეოლოგიური კუთხით – აწყობს არალეგალურ კრებებს, რევოლუციურ წრეებს აწვდის საჭირო მასალას, ამგვარი წრეები სწრაფი ტემპით ვრცელდება მთელ საქართველოში. აქ პირველად მისგან გაიგონეს სიტყვა „ამხანაგო“. ის იმგვარი კრებების ნამდვილი ინიციატორი იყო, რომლებიც არალეგალურად იმართებოდა მის ბინაში. აქაურობა ხომ ნამდვილი მექა იყო მუშათა მოძრაობის ცნობილი პირებისათვის, აგრეთვე მრავალი ლატაკი მუშისა და უსახლკაროსათვის. ისიც კია ცნობილი, რომ ერთხელ ერთი უბინაო ოჯახი დროებით შეასახლა თავის ბინაში, იმათ კი არამც თუ ქირა გადაუხადეს, სულაც ჩამოართვეს იგი და დაისაკუთრეს. ვის არ უსარგებლია ზაქარიას ბინით. აქ მცირე ხნით უცხოვრიათ ნიკო ნიკოლაძეს, ეგნატე ნინოშვილს, მაქსიმ გორკსა და სხვ.

საერთოდ, ზაქარიას კეითლშობილება ზღვარს იყო გადასული, მაგრამ იგი ამას ნაკლებად აქცევდა ყურადღებას და თავდადებით მოღვაწეობდა – წერდა, აქვეყნებდა, ასალებდა წიგნებს, მართავდა თავის სტამბას და თვითონვე ბეჭდავდა თავის ნაშრომებს, გამუდმებით კრებდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს, თქმულებებს, აგროვებდა ხელნაწერებს, საინტერესო ამბებს. საგულისხმოა მის მიერ გამოქვეყნებული ზეპირად გავრცელებული ისტორიების პოპულარიზაცია. დაუფასებელია მისი წყალობით შემორჩენილი სახალხო მთქმელთა შემოქმედება. ბევრ მათგანს თვითონ იცოდა, ზოგი – გადმოცემით ჰქონდა განაგონი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მის მიერ დაარსებული სერია – „ხელოსნების ნაწერი ლექსები“. ბევრს მოგზაურობდა და სადაც კი წააწყდებოდა ღირებულ ფოლკლორულ მასალას, ხელიდან არ უშვებდა, შემდეგ აქვეყნებდა გაზეთში, ზოგს ცალკე წიგნად გამოსცემდა. ცნობილია მის მიერ გამოქვეყნებული „ქართული ხალხური სიმღერები“, ლექსები, რომლებიც იმღერებოდა იმ დროს. ცნობილია მისი წიგნი „სახალხო ლეგენდები“, რომელმაც ქართველ ხალხს ბევრი საინტერესო რამ შემოუწახა.

ზაქარიას გამოცემული აქვს ქართული სახალხო წიგნების მოკლე ისტორია; ეს ნარკვევი განსაკუთრებით საყურადღებოა ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით. მან გამოაქვეყნა ხალხისთვის ხელმისაწვდომად ბროსე–ჩუბინაშვილის „ქართლის ცხოვრება“ (ორ წიგნად), რომელიც მეცნიერთა განსაკუთრებული აღიარების საგ-

ნად იქცა, დაბეჭდა აგრეთვე პარიზის ისტორიული ქრონიკა, მის მიერ ან მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით არაერთი ცნობილი ავტორის ნაშრომი გამოქვეყნებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მის მიერ საქართველოში ბატონყმობის ფაქტობრივი მდგომარეობის მასალების (დოკუმენტების) ასახვა, და აგრეთვე მრავალი ისტორიული ამბის გამოცემა პატარა-პატარა ნიგნებში.

როგორც „ქსე“ აღნიშნავს, მართალია, ისინი „არ იყო კრიტიკული, მაგრამ აკმაყოფილებდა იმ დოკუმენტური მასალების პოპულარიზაციის ინტერესებს. ამავე ინტერესებს ემსახურებოდა ზ. ჭიჭინაძის მრავალრიცხოვანი (120-ზე მეტი) ნარკვევი და წერილი საქართველოს პოლიტიკ., სოც., ეკონ. და კულტურის ისტორიის საკითხებზე“. სხვათა შორის, ლ. ასათიანი ერთგან წერს: „გასაოცარ მრავალმხრივობას და ინტერესთა მრავალფეროვნებას თავისი უარყოფითი მხარე ჰქონდა. იმ ურიცხვ საკითხთა შორის, რომელზედაც უნერია და უშრომია ზაქარია ჭიჭინაძეს, არც ერთი არ არის დამუშავებული და შესწავლილი მკაცრ მეცნიერულ საფუძველებზე...“ მიუხედავად ამისა, ავტორს მიაჩნია, რომ „ეს თხზულებები ბევრ შემთხვევაში შეიცავენ საინტერესო, მდიდარსა და ხშირად ძვირფას ფაქტიურ მასალას შესაფერი დარგის მკვლევარებისთვის“ (3).

ჩვენი აზრით, ზ. ჭიჭინაძე თავის თავს უფრო გამომცემელ-პოპულარიზატორად და პუბლიცისტად თვლის, ვიდრე მეცნიერ-მკვლევარად. პირადად მქონია შემთხვევა ზ. ჭიჭინაძის ერთ-ერთი მხილველი პირისაგან (ნ. ლორთქიფანიძე) გამეგო, ზაქარია თუ რა ზედაპირულად ეპყრობოდა ბევრ თავის ქვეშაორიტი მიგნებას და სულაც არ აქცევდა ყურადღებას მოტანილი მასალის ადრესირებას. როგორც ცნობილია, ზ. ჭიჭინაძე გვარწმუნებს, რომ 1763-1769 წლებში საქართველოში გამოდიოდა გაზეთის მაგვარი ფურცლები - „ბრძანება და უწყება“, რომელიც დაიხურა და 1783 წელს გაფართოებული სახით დაიწყო გამოცემა „ლეპორტის“ სახელით (4). როდესაც უკითხავთ, უკვე მოხუცისათვის, თუ სიადან აქვს მას ეს ცნობა, ჩაფიქრებულა და უთქვამს, რომ მას ეს არ ახსოვს, მაგრამ ეს გაზეთი ხელთ რომ მეჭირა, ნამდვილიაო. ეს არ უნდა იყოს კატეგორიულად გამორიცხული იმ პირობების გათვალისწინებით, რაც იმ პერიოდში არსებობდა საქართველოში (5).

ზაქარიას არ დარჩენია არც ერთი მოვლენა და საკითხი, რომელიც თანამედროვეთათვის საგულისხმო არ ყოფილიყო. მის მიერ ბევრი რამ პირველად იქნა გახმოვანებული. მაგალი-

თად, მისი წიგნი „ქართველი გრიგორიანები“, რომელიც შავსელის ფსევდონიმით გამოქვეყნდა, ზოგ მხარეში ქართველი მოსახლეობის გაგრიგორიანობის ფაქტებს აშუქებდა. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სომეხ მეცნიერთა და პუბლიცისტთა ერთ ნაწილში. ზაქარიას გამყალბებლობას აბრალებდნენ, მაგრამ ეს ნაშრომი იმდენად არის აღვსებული ფაქტობრივი მასალით, რომ ძნელია, ზაქარიას დებულებები უტყუარად არ მიიჩნიო. მან პირველმა გააშუქა საკითხები ქართველ კათოლიკეთა შესახებ, ასევე მან პირველმა მოუყარა თავი ცნობებს ქართველ გმირ ქალებზე და ცალკე წიგნად გამოსცა. მან ერთ-ერთმა პირველმა აქტიურად დაიწყო მოღვაწეობა ახალშემოერთებულ აჭარაში წიგნიერი გარემოს განვითარების საქმეში. 1889-1892 წლებში რამდენჯერმე იმოგზაურა აჭარაში. ურთიერთობას ამყარებდა ე. წ. „მუსულმან ქართველებთან“, ზოგან, როცა ამას საქმე მოითხოვდა, მათი გულის მოსაგებად იმათებურად ლოცულობდა ჯამეში, ემეგობრებოდა აქაურ მოწინავე ადამიანებს, ჩაჰქონდა მრავალი წიგნი უფასოდ დასარიგებლად, მოსწავლეებს უფასოდ გადასცემდა სახელმძღვანელოებს. „... მალე ზაქარია ეფენდი“ აჭარელ მასპინძელთა სასურველი სტუმარი გახდა და ქართველი მაჰმადიანები ერთმანეთს ეცილებოდნენ მას მასპინძლობაში“ (6).

ზ. ჭიჭინაძე ერთ პირად წერილში წერს: „...წელს აჭარაში მივალ, 17 ათასი წიგნი მიმაქვს თან მათთვის... ვნახოთ, საქმე როგორ წავა. იმედია, რომ ქართული ანბანი მათში მოიფინება“ (7).

ზაქარია ჭიჭინაძის აჭარაში მოღვაწეობაზე იმდენი მასალა მოიპოვება, ნამდვილად საჭიროა ამ თემაზე განსაკუთრებულად გამოქვეყნდეს გამოკვლევა.

ზაქარიას შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გამოკვლევები წიგნისა და პერიოდულ გამოცემათა შესახებ. ამ მხრივაც ის ერთ-ერთი პირველია საქართველოში წიგნმცოდნეთა შორის. მისი დამსახურება საგამომცემლო საქმიანობაში ხომ განუზომელია. მას გამოცემული აქვს ბევრი ჩვენი ქართველი მოღვაწის ნაშრომები როგორც თავის, ისე სხვადასხვა სტამბებში. დაუფასებელია მის მიერ შედგენილი ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ნაშრომი. „ზ. ჭიჭინაძის დამსახურებაა, რომ სამუდამოდ არ დაიკარგა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების მაიკო ორბელიანისეული კრებული“ (8).

ზ. ჭიჭინაძე 200-ზე მეტი წიგნის ავტორია, შემდგენელი და გამომცემელი, 100-ზე მეტი ორიგინალური ბროშურაა (9). იგი წერდა საქარ-

თველოს ისტორიაზე, ეთნოგრაფიაზე, ქართულ სტამბებზე, გამომცემლებზე, ქართული წიგნისა და პერიოდიკის ისტორიაზე, მაჰმადიან ქართველებზე, ქართველ გრიგორიანებზე, ქართველ კათოლიკეებზე, ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებზე, მეცენატებზე, მსოფლიოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოძრაობის წარმომადგენლებზე, ხალხურ მოღვაწეებზე, ქართველ გმირ გლეხებსა და გმირ ქალებზე და სხვ. „რიცხვი არა აქვს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ წიგნებს“ (10). იგი თანამშრომლობდა თითქმის ყველა გამომცემლობასთან. იოსებ იმედაშვილი მას „სამშობლო მწიგნობრობის პაპას“ უწოდებს (11).

1922 წელს ქართველმა საზოგადოებამ გულთბილად აღნიშნა მისი მწიგნობრულ-ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი. ამავე წლის 3 თებერვალს გაზ. „ტრიბუნაში“ მწერალთა საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაცხადებინა მოწოდება ამ თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით; გამოსცა ცალკე ფურცლებიც საზოგადოებისათვის დასარიგებლად, რომელშიც ზ. ჭიჭინაძეზე ნათქვამია: „იგი გაპიროვნებული ტრადიციისა ჩვენი 19 საუკუნის კულტურისა. იგი მუდამ სუნთქავდა ქართული წიგნის მაღაზიების ჰაერით. მისი ტიპიური ბიბლიოფილის სახე მარად ანთებულია ქართული წიგნისადმი სიყვარულითა და თვითონაც წიგნია ცოცხალი.“

ნიშანდობლივია ერთი მოვლენა: ზაქარია ჭიჭინაძის საიუბილეოდ შერჩეულ იქნა 1922 წლის 23 აპრილი. დღეს სწორედ 23 აპრილი გამოცხადებულია წიგნის საერთაშორისო დღედ. ნამდვილად ბედნიერი დამთხვევაა!

ზაქარია ჭიჭინაძე გარდაიცვალა 1931 წლის 27 დეკემბერს. ქართველმა ხალხმა მას მთანმინდის პანთეონში მიუჩინა სამუდამო სავანე.

მიუხედავად ამგვარი დიდი პატივისა, ჩვენ ვალში ვართ ამ დიდი მოღვაწის წინაშე. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენ არა გვაქვს სრული ნუსხა მისი შემოქმედებისა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ 1922 წელს მისი შემოქმედების 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ „დაბეჭდილ წიგნების სიას“. სრულად არ გვაქვს აღწერილი მის მიერ გამოცემული წიგნები, არ გაგვაჩნია მისი სრულყოფილი ბიოგრაფია; ამის გამო ჩვენი თანამედროვე თაობა სრულფასოვნად არ იცნობს ამ დიდ მოღვაწეს. ჩვენი აზრით, საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით უნდა გამოსცეს ბიობიოგრაფიული საძიებელი, რომელიც ამომწურავად ასახავს

ზაქარია ჭიჭინაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობას. ვფიქრობთ, აუცილებელია, გამოიცეს მისი ძირითადი ნაწარმოებების კრებული, ან სულაც თხზულებანი; ბევრი რამ, რის შესახებაც წერდა ზაქარია ჭიჭინაძე, დღესაც აქტუალურია და ისტორიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო.

ზაქარია ჭიჭინაძის შესახებ საკმაოდ დაწერილი და დაბეჭდილი, მაგრამ მისი ღვაწლის სრულყოფილად საჩვენებლად ეს სულაც არ არის საკმარისი. უმჯობესი იქნება ერთიანი სრული მონოგრაფია იქნეს შექმნილი.

ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობის უკეთესად გაცნობისათვის, დაინტერესებულ მკითხველებს ვთავაზობთ რამდენიმე წყაროს, რაც მცირე ნაწილია მასზე არსებული ლიტერატურისა: ასათიანი ლ. რჩეული ნაწერები: ტ. 1: – თბ., 1958; გოგოლაძე ვ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან. – თბ., 1963; იმედაშვილი ი. ჩემი ცხოვრების წიგნი. – თბ., 1978; მაცაბერიძე ვ. ქართული სახალხო წიგნების შემდგენელ – გამომცემელი. – თბ., 1977; ნანიტაშვილი ლ. ქართული წიგნის ამაგდარნი. – თბ., 1985; რამიშვილი ა. ზაქარია ჭიჭინაძე // საისტორიო მოამბე. – 1960; სახოკია თ. ჩემი საუკუნის ადამიანები. – თბ., 1969; ტაბიძე გ. ზაქარია ჭიჭინაძე // თხზულებანი თორმეტ ტომად: ტ. XII. – თბ., 1975; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 11. – თბ., 1987.

დამონმებული ლიტერატურა:

1. ტაბიძე ვ. თხზულებანი 12 ტომად: ტ. 12; წერილები, სიტყვები, დღიურები, ჩანაწერები, პირადი წერილები, პოემის პროზაული ტექსტები. – თბ., 1975. – გვ. 23.
2. იქვე.
3. ასათიანი ლ. რჩეული ნაწერები: ტ. 1. – თბ., 1958. – გვ. 333.
4. ჭიჭინაძე ზ. ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია. – თბ., 1916. – გვ. 61–64.
5. ლორია ა., გურგენიძე ნ. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში: (1921 წლამდე). – თბ., 1974. – გვ. 141.
6. რამიშვილი ა. ზაქარია ჭიჭინაძე // საისტორიო მოამბე. – 1960, №11–12, – გვ. 661.
7. მაცაბერიძე ვ. ქართული სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელი. – თბ., 1977. – გვ. 79.
8. ნანიტაშვილი ლ. ქართული წიგნის ამაგდარნი. – თბ., 1985. – გვ. 81.
9. იქვე. – გვ. 74.
10. ტაბიძე ვ. – დასახელებული სტატია. – გვ. 50
11. იმედაშვილი ი. ჩემი ცხოვრების წიგნი. – თბ., 1978: – გვ. 262.

ნანა ხომერიკი

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო
ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე

ნოდარ დუმბაძე - 85

(ბიბლიოგრაფიული ეტიუდი)



ნოდარ ვლადიმერის-ძე დუმბაძე დაიბადა 1928 წლის 14 ივლისს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. მამა – ვლადიმერ ივანეს-ძე დუმბაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის მაიაკოვსკის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი იყო, დედა – ანა ივანეს-ასული ბახტამე – დიასახლისი. 1937 წლის რეპრესიების პერიოდში მამამისი დააპატიმრეს, ხოლო დედა გადაასახლეს. ნოდარი თავდაპირველად სწავლობდა თბილისის მე-15 საშუალო სკოლაში, რომელიც არ დაუთავრებია, რადგან საცხოვრებლად ბებიასთან და ბაბუასთან ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზენობანში გადავიდა.

1945 წელს ნოდარ დუმბაძემ დაასრულა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლა და თბილისში დაბრუნდა სწავლის გასაგრძელებლად. შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაამთავრა. ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი ასისტენტად მუშაობდა უნივერსიტეტის ლაბორატორიაში.

1956-1957 წლებში მან გამოსცა იუმორისტული მოთხრობების სამი კრებული. 1957 წელს სამსახური მიატოვა, რათა მთელი დრო მწერლობისათვის მიეძღვნა. სხვადასხვა ჟურ-

ნალთან თანამშრომლობის პარალელურად, დუმბაძე კინოსცენარებსაც წერდა. იმავდროულად იბეჭდებოდა მისი იუმორისტული მოთხრობებიც.

1966 წელს საკავშირო კომკავშირული პრემიის ლაურეატი გახდა. 1967-1972 წლებში იყო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი. 1972 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი და სსრკ-ის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, ასევე – ჟურნალ „მოლოდია გვარდია“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მცირეფორმიანი მოთხრობების ჟანრში მწერალმა გვიან სცადა კალამი: მისი პირველი მოთხრობები – „დიდრო“, „ძალი“, „უმაღური“ – 1973 წლით თარიღდება. სწორედ ამ მოთხრობებისათვის, რომან „თეთრ ბაირალებთან“ ერთად, მიენიჭა მას რუსთაველის პრემია (1975). მომდევნო წლებში ზედიზედ გამოაქვეყნა „მზე“, „კორიდა“, „ნუ გააღვიმებ“, „მონატრება“, „დედა“, „ჩიტი“, „სისხლი“, „HELLADOS“. ეს მოთხრობები, გარდა უკანასკნელისა, ცალკე წიგნად გამოსცა „მერანმა“ 1976 წელს „ათი მოთხრობის“ სახელწოდებით.

1950 წლიდან მისი ლექსები და იუმორისტული მოთხრობები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. მოთხრობების პირველი კრებული „სოფლელი ბიჭი“ დასტამბა გამომცემლობა „ხელოვნება“ 1961 წელს. ამავე წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა საბავშვო პოემა „მანანას წერილი“, და ლექსთა კრებული „დაილოცოს“, რომელიც პრემირებულ იქნა საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ.

„ცისკრის“ პირველსავე ნომერში დაიბეჭდა 29 წლის ნოდარ დუმბაძის იუმორისტული მოთხრობები. 1957 წელს იგი გახდა ჟურნალ „ცისკრის“ ლიტერატურული მუშაკი. 1957- 1962

ნლებში მუშაობდა ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილედ. 1962-1965 წლებში ნევრია კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო კოლეგიისა, ხოლო 1965 წელს რედაქტორობს ჟურნალ „ნიანგს“. 1973 წელს მას ირჩევენ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად. 1981 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ხელისუფლებამ დიდად დააფასა ნოდარ დუმბაძის ღვაწლი: 1966 წელს იგი დააჯილდოვა „საპატიო ნიშნის ორდენით“, 1971 წელს – შრომის წითელი დროშის ორდენით, 1978 წელს – ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

მწერალს აღიარება პირველივე რომანებმა მოუტანა. 1980 წელს ლენინური პრემია მიენიჭა ნაწარმოებებისათვის: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ - 1960წ., „მე ვხედავ მზეს“ - 1962წ., „მზიანი ღამე“ - 1967წ., „ნუ გეშინია დედა!“ - 1971წ., „თეთრი ბაირალები“ - 1973წ., „მარადისობის კანონი“ - 1978 წ.

ნაწარმოებების ნათელმა ოპტიმიზმმა, თანამედროვე ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ღრმა წვდომამ, თხრობის ლირიზმმა და განუმეორებელმა იუმორმა განაპირობა მწერლის პოპულარობა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. დუმბაძის თხზულებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, მოლდავურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, პოლონურ, იაპონურ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე.

იაპონელმა ენათმეცნიერმა იასუჰირო კოჯიამ იაპონურად თარგმნა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (2004). ნოდარ დუმბაძის დრამატურგია ნათარგმნია აფხაზურად, ოსურად. ინდოელმა მთარგმნელმა ბენი ფრანცისიმ ინდურად თარგმნა მოთხრობა „თალიკო“. გამომცემლობა „რადუგამ“ არაბულ ენაზე გამოსცა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (1985). ჩინურ ენაზე ითარგმნა „მარადისობის კანონი“ და „თეთრი ბაირალები“ (1984). კრისტიანე ლიხტენფელდმა 1984 წელს გერმანულად თარგმნა „მარადისობის კანონი“. 1982 წელს გამოვიდა სვეტლანა დელმოტის მიერ ნათარგმნი „მარადისობის კანონი“.

დუმბაძის ოთხივე რომანი გადაკეთდა პიესებად. დაიდგა საქართველოსა და უცხო ქვეყნების სცენაზე. ლადო მესხიშვილის სახ. თეატრის სცენაზე დაიდგა ნ. დუმბაძის მოთხრობები: „დიდრო“, „ხაზარულა“. თბილისის აზერბაიჯანულ თეატრში „თეთრი ბაირალები“. გადაღებულია კინოფილმები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (1962 წ. რეჟისორი თენგიზ აბულაძე); „მე ვხედავ მზეს“ (1965წ. რეჟ. ლანა

ლოლობერიძე); „გზა მშვიდობისა, ჯაკო!“, („ნუ გეშინია, დედას!“ მიხედვით 1972 წ. რეჟ. მერაბ კოკოჩაშვილი). „კუკარაჩა“ (1982 წ. რეჟისორი ქეთი დოლიძე), „თეთრი ბაირალები“ – „მზიანი ღამის“ მიხედვით.

1960 წლის 25 ნოემბერს მარჯანიშვილის თეატრში გიგა ლორთქიფანიძემ დადაგა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ნოდარ დუმბაძემ ქართულ თეატრში მოიტანა სრულიად ახალი სამყარო. დ. კლდიაშვილის შემდეგ არც ერთ მწერალს ისე ღრმად არ უგრძვნია „ცრემლიანი სიცილის“ ქართული ფენომენის თავისებურება, როგორც ეს ნოდარ დუმბაძემ იგრძნო. მან ქართულ სცენაზე მთავარი გმირივით შემოიყვანა სოფელი, გზა გაუხსნა ახალ ტენდენციას, – ლირიკულ კომედიურ ჟანრს.

მწერალმა თავის ნაწარმოებებში გვიჩვენა ქართული სოფლისა და ჩვენი ხალხის თავდადება დიდი სამამულო ომის განსაცდელში („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), („მე ვხედავ მზეს“), დახატა სტუდენტთა ცხოვრება ომის დამთავრების შემდეგ („მზიანი ღამე“), თვალწინ დაგვიყენა ქართველ მესაზღვრეთა ყოფა მშვიდობიან პერიოდში („ნუ გეშინია, დედა“), ძლიერი ფსიქოლოგიური წვდომით გვიჩვენა ახალგაზრდა კაცის ზნეობრივი სახე („თეთრი ბაირალები“), დაგვიხატა ადამიანთა თანადგომა, სიკეთე და მაღალი მორალი („მარადისობის კანონი“), გვიჩვენა მზის სიმბოლიკა, როგორც უმაღლესი სიკეთისა და კაცთმოყვარეობის გამოხატულება („მე ვხედავ მზეს“, „მზე“, „ძალღი“, „უმაღური“, „ჰელადოს“, „მარადისობის კანონი“, „კუკარაჩა“...). „სიცილი ნოდარ დუმბაძისათვის თვითდამკვიდრების ისეთივე ბუნებრივი ფორმაა, როგორც მხედართმთავრისთვის ომი ან ჩიტისთვის – ფრენა“, – წერდა გურამ ასათიანი.

მის ბიოგრაფიას ზებრასავით გასდევს შავ-თეთრი ზოლები. შემოქმედებით ტრიუმფებს, აღიარებას, ხალხის სიყვარულს, წინ უმლოდა ოჯახური ტრაგედიები – მამის დახვრეტა – დედის გადასახლება. უზარმაზარი აღიარება მოუტანა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონმა“. და... დაეღუპა 5 წლის ბიჭუნა ზაზა... მერე იყო სამგზის ინფარქტი – 41 წლის ასაკში და ინფარქტებს შორის სიძის, მწერალ ჯემალ თოფურიძის დაღუპვა, მანამ მეუღლის დგომა სიკვდილის პირისპირ.

მიუხედავად ტრაგიზმით სავსე, არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლისა — მწერალი სავსე იყო ოპტიმიზმით, იმედითა და რწმენით, როცა ამბობდა – „აუცილებლად მოვა უკეთესი მთქმელი, შევა ერის სულიერ ტა-

მარში, მივა მის ყველაზე დიდ სალოცავთან და წმინდა და მალალ სანთელს დაანთებს. ესაა სწორედ ერის სულიერი ცხოვრების მარადისობის კანონი“.

ნოდარ დუმბაძე გარდაიცვალა 1984 წელს. დაიკრძალა მისივე ინიციატივით აშენებულ საბავშვო ქალაქ მზიურში. 2009 წლის 14 სექტემბერს მისი ნეშტი მთაწმინდაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს. ნოდარ დუმბაძე მეოთხედი საუკუნის შემდეგ ავიდა მთაწმინდაზე, წავიდა დროსთან,

ბრძოლაში გამარჯვებული. მთელმა საქართველომ გააცილა უკანასკნელ გზაზე, შემოდგომის მზით განათებულ ცრემლიან დღეს. მისი ნატანჯი, დაღლილი სხეული მშობლიურმა მიწამ ჩაიხუტა.

ნოდარ დუმბაძე თავისი გახმაურებული რომანებით და ბრწყინვალე მოთხრობებით პირნათლად მიუვიდა წინაპრებს, შთამომავლობას კი სიკეთის უძლეველობის რწმენა და ურთიერთმემყნარებლობის თხოვნა დაუტოვა.

დათო კოტორაშვილი

კონსტანტინე გამსახურდიას ესთეტიკური

ავტობიოგრაფი

ანუ „სადაც მარადიული მზე ანათებს“

ნახევარი საუკუნის წინ ხშირად დავსწრებივართ ახალგაზრდები საქართველოს მწერალთა კავშირში ჩატარებულ ღონისძიებებს. ბედნიერი ვართ, რომ უშუალოდ მოგვისმენია ჩვენი ბუმბერაზი მწერლების გამოსვლებისათვის. რაღაც განსაკუთრებულს მოგველოდით ხოლმე, როცა შევიტყობდით, რომ სიტყვის თქმას აპირებდა დიდი კონსტანტინე გამსახურდია. წინასწარ ვგრძნობდით, რომ იგი ცეცხლს შეუნთებდა პაექრობას... სამახსოვრო გამოდგა მისი გამოსვლა მწერალთა კავშირში ზუსტად 50 წლის წინ, 1963 წლის გაზაფხულზე.



გვახსოვს და მუდამაც უნდა გვახსოვდეს მისი შეგონებანი, „სამოდროი“. უფლებამოსილი ბრძანდებოდა, რომ ექადაგნა მალალი ტრიბუნდანი:

„... ყველას ახსოვდეს: მწერალს, მხატვარს, რეჟისორს, არტისტს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, რომ სადაც დიდი, უანგარო პატრიოტიზმი და კეთილშობილი გრძნობა არაა, ყოველივე ტალანტი უქმია.

ყველამ უნდა იცოდეს: ჩვენი ხალხი ისე დაბრძენდა, რომ არავის არ შეიყვარებს, ვინც ამ სიყვარულის ღირსი არაა, რადგან უსაზმნო ქაღილი როდი ჰქმნის ამინდს, არამედ დიდ

ტალანტთან შეუღლებული კეთილშობილება. იგიც ცხადია, არასოდეს არავის მოუხვეჭია თავის ერის დიდი პატივისცემა, ვისაც გულში არ სდებია უანგარო სიყვარული თავისი ერისადმი. ეს უეჭველად უნდა დაიმახსოვრონ დიდმა და მცირემ, რადგან უანგარო სიყვარული ის ელექსირია, რომელიც „ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

ამ მარადიულმა ჭეშმარიტებამ და მისი შემოქმედებისადმი დიდმა სიყვარულმა შთამაგონა, კიდევ ერთხელ შევხვნიანებულიყავ მომწესხველ ძალას დიდოსტატის კონსტანტინეს სიტყვისას, სადაც მარადიული მზე ანათებს.

დიდი მწერლის ესთეტიკური ავტობიოგრაფიკული თითქმის ყველა მის ნაწარმოებში იჩენს თავს. მაგალითად რამდენიმე ამონარიდის მოტანა შეგვიძლია... „დიონისეს ღიმლიდან“: „სიტყვაქმნადობის საკითხი ერთ-ერთი უმთავრესთაგანია, განსაკუთრებით პოეტური პროზის საუფლოში. ლექსიკური მასალის მხრივ, მე სავსებით შეგნებულად, უხვად დავესესხე „ვისრამიანის“ მთარგმნელს, საბას, ჩვენს დიდ ჰაგიოგრაფებს და მთარგმნელებს. მე შემოვუშვი ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტყვა, სამაგიეროდ ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კა-

ხურიდან და მეგრულ-გურული ენაკავებიდან ნასესხები სიტყვები...”

„დიდოსტატის მარჯვენიდან“: „ერთხელ კიდევ გადავიკითხე „დიდოსტატის მარჯვენა“ და მხოლოდ რამდენიმე დაბოლოება შევცვალე... დიდი საქართველოს ჩვენება განვაცხადე თანადროული რომანის მიხედვით... ხომ აუცილებლად დიდია რუსთაველი და თანავარსკვლავედი მისი, მაგრამ არანაკლებად საამაყო ჩვენთვის ბოლნისი, ჯვრის, სვეტიცხოველის, წრომის, ბედეას, მარტვილის, თილვას და გელათის დიდოსტატები. მე ვწუხდი, რომ ასეთი შედეგების ხუროთმოძღვრებს დავინყებინა ჩრდილი მოჰყვენოდათ სახეზე. ამიტომაც წავატანე ხელი კონსტანტინე არსაკიძისათვის მკლავის მოკვეთის მშვენიერ ლეგენდას...”

„ვაზის ყვავილობიდან“: „კარგად ვიცი, რა

უცნაურად დაალექტრონებს ხოლმე მწერლის სიტყვა მილიონ ადამიანთა გულებს“...

„მთვარის მოტაცებიდან“: „ათასზე მეტი ღამე ვზივარ, ვზივარ და ვითხრობ განთიადიდან განთიადამდე, თამაშითა და ბრძოლით ვწერ ჩემი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამბავს. მესმის, თუ როგორ სუნთქავს, ლაპარაკობენ და მოძრაობენ ჩემივე გმირები ჩემში და განვიცდი უმძიმეს ორსულობას შემოქმედებისას... ვღელავ და ვძრწი მათ მაგივრად“.

კონსტანტინე გამსახურდიას ყველა ნაწარმოებში ჩანს მისი დიადი სული, მისი გრძნობები და განცდები, რაც ნათლად მეტყველებს მის პიროვნულ თავისებურებაზე.

დათო კოტორაშვილი

სეკორძულას ჩქერალებში

(კონსტანტინე გამსახურდიას)

სეკორძულას ჩქერალებში
საღვთო მადლმა ჩაიხედა...
თორემ უმტკვროდ, უარაგოდ
ასცდებოდა მინას მცხეთა?!
თუ არ ძალა განგებისა,
რომ განარჩევს ბედით ყოველს,
სხვა რამ ძალა ააგებდა
ასე კარგად სვეტიცხოველს?!...
თუ არ შარი, შური შავი
ჯალათად რომ უდგას ამ ქვეებს,
სხვა რა განამარჯვენებდა
მცხეთის ასე კარგად ამგებს?!
ყველას უხეკორძულია,
სად ღვთის თვალი ტრიალებდა,

თორემ ამდენ ქვათა ქორალს
ტაძრად აახმიანებდა?!
და, ვაი თუ, სხვათა მკვლავნიც
უსულგულოდ ვფანტეთ ქარად,
მაშინ ქცეულა ქვეყანა
მოძმეთ მკლავის ქავის კარად,
გულთა ჩვენთა საკვნესად და
მტერთა ჩვენთა გასახარად,
ხეკორძულა... ხეკორძულა...
უხეკორძულია რამდენს...
კვლავაც იხეკორძულებენ,
ღვთის წყალობა მადლად აძევს,
მწამს, რომ კვალი ანგელოზის
ყველა ტაძარს მეკვლედ გასდევს.

მანია მიქაბერიძე

კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებთა რუსული გამოცემები

კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებიდან რუსულ ენაზე ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი გამოცემა არის „ხოგაის მინდი“, რომელიც თარგმნა ბ. ემხვარმა. წიგნი 1939 წელს დაიბეჭდა თბილისში სერიით „ქართული მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკა“. მიუხედავად იმისა, რომ 10100-იანი ტირაჟი იმ დროისათვის არცთუ მცირე იყო, ამ ნაწარმოებისადმი ინტერესმა მოლოდინს გადააჭარბა. მაგრამ ეს მაინც საქართველოში გამოცემული

წიგნი იყო და რეალურად,

მწერლის მხატვრული ნიჭის შეფასება და დაფასება მხოლოდ ამ მცირე გეოგრაფიულ არეალში იყო შესაძლებელი.

კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც ნიჭიერი შემოქმედის სახელი საბჭოთა კავშირში გახმაურდა მას შემდეგ, როცა მისი თხზულებების გამოცემა დაიწყო მოსკოვში, საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში. ყველაზე მეტჯერ რუსულ ენაზე გამოიცა რომანები „დიდოსტა-



ტის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“. ეს თხზულებები მათი შექმნიდან მალევე ითარგმნა რუსულად და გამოქვეყნდა მე-20 საუკუნის 40-იან წლებში, მე-2 მსოფლიო ომის პერიოდში. „დიდოსტატის მარჯვენა“ 1944 წელს გამომცემლობა „გოსლიტიზდატმა“ გამოსცა მოსკოვში, ხოლო „დავით აღმაშენებელი“ 1945 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“. ამავე პერიოდში (1944-1945 წწ) ამ რომანს პარალელურად მოსკოვში გამომაგალი ჟურნალი „ნოვი მირ“-იც ბეჭდავდა.

ომის დროს, როცა საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ეკონომიკური რესურსი მიმართული იყო სამხედრო სფეროსკენ, დიდტანიანი რომანების გამოცემა, ერთი შეხედვით, გაუგებარი იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ისტორიული რომანების გამოცემა საბჭოთა ხელისუფლების პროპაგანდისტულ სქემაში ჩაჯდა. საბჭოთა ხალხის პატრიოტული გრმობების გაღვივებისათვის, ხელისუფლების დავალებით, ისტორიულ თემატიკაზე იღებდნენ ფილმებს (გავიხსენოთ, თუნდაც „ალექსანდრე ნეველი“ და „გიორგი სააკაძე“), დგამდნენ სპექტაკლებს, წერდნენ მუსიკალურ ნაწარმოებებს და ა.შ.

კ. გამსახურდიას ამ რომანებს რუსულად გამოქვეყნებისთანავე მოჰყვა დიდი ინტერესი მკითხველთა შორის. საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხები რუსული თარგმანის საშუალებით ეცნობოდნენ ერთ ბედქვემ მყოფი სხვა ხალხის ისტორიასა და კულტურას. მრავალი ადამიანისთვის აღმოჩენა გახდა ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული და ისტორიული წარსული. მართალია, სტალინის კულტის პერიოდში საქართველო და ქართველი ხალხი განსაკუთრებული სიბლით იყო გარემოცული, მაგრამ ყველაფერ ამას კონკრეტულ აკლდა. უმეტეს შემთხვევაში, საბჭოთა ადამიანებისათვის საქართველო ინყებოდა სტალინით და სტალინითვე მთავრდებოდა. კ. გამსახურდიას რომანებმა კი სრულიად სხვა კუთხით გააცნო საქართველო საბჭოთა და არა მარტო საბჭოთა ხალხს. ამ რომანების წაკითხვა უკვე შეემლო რუსული ენის მცოდნე უცხო ქვეყნების მოქალაქეებსაც, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ საბჭოთა კავშირში დაბეჭდილ ლიტერატურას.

უამრავ დადებით გამოხმაურებასთან ერთად

გამოქვეყნდა კრიტიკული წერილებიც, რომელთა შორის თავისი სიმწვავეთ გამოირჩეოდა რუსი კრიტიკოსის, ვიქტორ შკლოვსკის რეცენზია, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ზნამიას“ 1945 წლის მე-9 ნომერში.

ვ. შკლოვსკის სტატიაში იმდენი აბსურდული ბრალდება იყო, რომ მის საპასუხოდ კ. გამსახურდიამ სპეციალური წერილი დაბეჭდა: „ჟურნალ „ზნამიას“ რეცენზიის საპასუხოდ“. („მნათობი“, 1946, N 5/6). ყველაზე მთავარი ბრალდება რუსი კრიტიკოსის სტატიაში ის იყო, რომ თურმე ამ რომანებში არ იყო ასახული რუსეთისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობა. იგი წერდა: გამსახურდიას რომანები ჩაკეტილია, არასტუმართმოყვარეა. რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ რუსეთი საერთოდ არაა ნახსენები“ (Романы Гамсахурдиа замкнуты, не гостиприимны... В романе „Десница великого мастера“ Русь вовсе не упомянута).

ამათ გარდა, ვ. შკლოვსკის სტატიაში კიდევ მრავალი სხვა მცდარი აზრია გამოთქმული, რომლებიც ნათლად აჩვენებდა, რომ რეცენზენტს ზერეულე წარმოდგენა ჰქონდა არა მარტო საქართველოს, არამედ თვით რუსეთის ისტორიაზეც. იგი მოითხოვდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ასახვას ისეთ ეპოქაში, რომელშიც არავითარი ურთიერთობა ამ ქვეყნებს არ ჰქონდათ. ქართველი მწერალი ისტორიული საბუთების მოხმობითა და რკინისებურ ლოგიკაზე დაყრდნობით ზედიზედ აბათილებს რუსი კრიტიკოსის მოსაზრებებს.

კ. გამსახურდიას განსაკუთრებული აღმფრთხილება გამოუწვევია ვ. შკლოვსკის სიტყვებმა, რომლებსაც იგი პროვოკაციას უწოდებს: „Россия не должна хлопотать о месте в романах Гамсахурдиа, это место принадлежит ей по истории“. – აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა რუსი კრიტიკოსის ტიპური რუსული იმპერიული აზროვნება, რომელც გულისხმობს, რომ რუსეთს ყველა ხალხის (მით უმეტეს დაპყრობილი ხალხის) ისტორიაში სამართლინად ეკუთვნის საპატიო ადგილი.

ვ. შკლოვსკის გარდა, კ. გამსახურდიას კიდევ რამდენიმე რუსი ლიტერატორის (ა. ანტონოვსკაია, გოლცევი, ტარასენკო) უსაფუძვლო და




უსამართლო კრიტიკის მოგერიება მოუხდა.

საბედნიეროდ, კ. გამსახურდიას შემოქმედებას სხვა, ობიექტური შემფასებლებიც ჰყავდა და სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ქართველი მწერლის ნაწარმოებები რუსულ ენაზე სხვადასხვა დროს მრავალჯერ გამოიცა როგორც საქართველოში, ასევე მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

რუსულენოვანი მკითხველებისათვის კ. გამსახურდიას ნაწარმოებებიდან ყველაზე

პოპულარული აღმოჩნდა რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ (მთარგმნელი ფ. თვალთვამე), რამაც განაპირობა მისი გამოცემების ასეთი სიხშირე და საკმაოდ დიდი ტირაჟები. თუ კრებულებს არ მივიღებთ მხედველობაში, რუსულ ენაზე ცალკე გამოცემის სახით მხოლოდ თბილისში ოთხჯერ – 1943, 1955, 1959 და 1963 წლებში დაიბეჭდა „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელთა საერთო ტირაჟმა შეადგინა 242000 ეგზემპლარი. ჩვენი ინფორმაციით, ეს რომანი ამდენჯერვე, თუ მეტჯერ არა, გამოიცა მოსკოვში: გამოცემლობა „გოსლიტიზდატმა“ 1959 და 1963 წლებში, „იზვესტიამ“ 1961 წელს, ხოლო „ხუდოჟესტვენაია ლიტერატურამ“ 1991 წელს, საერთო ტირაჟმა 300 000-ს მიაღწია.



კრებულებიდან ყველაზე ადრინდელი გამოცემა განხორციელდა 1947 წელს. ეს იყო თხზულებათა კრებულის ორტომეული, რომელიც გამოსცა „ზარია ვოსტოკამ“. მოგვიანებით, 1962-1968 წლებში, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსცა კ. გამსახურდიას რჩეული ნაწარმოებების ექვსტომეული, რომელშიც შევიდა მწერლის ნოველები და აგრეთვე რომანები: „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“, „ვაზის ყვავილობა“, „დიონისოს ღიმილი“ და „გოეთეს ცხოვრების რომანი“. მიუხედავად ასეთი მოცულობისა, თხზულებათა რჩეული მაინც არ ამლევდა რუსულენოვან მკითხველს ქართველი მწერლის შემოქმედებაზე სრულ წარმოდგენას.

კ. გამსახურდიას თხზულებათა სრული კრებული 8 ტომად თბილისში რუსულ ენაზე გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“ 1972-1981 წლებში. იგი დაიბეჭდა 200 000-იანი ტირაჟით და წარმოადგენს ამ მწერლის დღემდე ყველაზე მასშტაბურ და სრულ რუსულენოვან გამოცემას, რომელშიც მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად შევიდა კონსტანტინე გამსახურდიას ნერილები და სიტყვები.

ბიბლიოთეკარის დასახმარებლად

ინგა ფილაური-ლორია

სახელმძვანელო დეზულები კომენტარებით

(რეჟირატი)

2001 წელს საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებული და 2012 წელს ქართული თარგმანის გამოცემაში – „IFLA/ONSCO“-ს სახელმძვანელო მითითებანი საჯარო ბიბლიოთეკებში მომსახურების განვითარების შესახებ, – დიდი ადგილი აქვს დათმობილი მე-4 თავს – „ფონდების დაკომპლექტება“. მასალა დაყოფილია პარაგრაფებად: ფონდების მართვის წესები; წესების შინაარსი; რესურსები; ფონდები ფორმატები; ფონდების დაკომპლექტება; კრიტერიუმები ფონდებისათვის; ფონდების მოპყრობის პრინციპები; ფონდების შევსება და ჩამონერა;

სარეზერვო ფონდები; ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტი; ნორმატივები ნიგნადი ფონდებისათვის; ნორმატივები ინფორმაციის ელექტრონული მატარებლებისათვის; ფონდების დაკომპლექტების პროგრამა ახალი ბიბლიოთეკებისათვის; ფონდების შექმნის ეტაპები; კონსოლიდაციის ეტაპი; სტაბილიზაციის ეტაპი; ფონდების შემადგენლობის განსაზღვრა; ფონდების შევსება და ჩამონერა; მცირე და მოძრავი ბიბლიოთეკები; სპეციალური ფონდები.

სახელმძვანელო, როგორც ყველა ამ ტიპის გამოცემა, სასწავლო მიზნებს უკავშირდება და მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ბიბლიოთეკების

მეთოდური საქმიანობისათვის. როგორც პარაგრაფების დასახელებიდან ვხედავთ, დაკომპლექტების საკითხები თითქმის ამომწურავად, ყოველმხრივად განხილული, თუმცა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შეიძლება გარკვეული დამატებები იქნეს მიღებული მხედველობაში ან სხვა რაიმე კორექტივებიც შევიდეს მასში.

მისაღებია მხედველობაში ის, რომ როცა დაკომპლექტებაზეა ლაპარაკი, ითვალისწინებენ, ერთი მხრივ უკვე მოქმედ, ჩამოყალიბებულ ბიბლიოთეკას და, მეორე მხრივ – ახალ ბიბლიოთეკას. ცხადია, ამგვარ ვითარებაში სავსებით განსხვავებულია წიგნადი ფონდების შევსება – მიმდინარე დაკომპლექტება და თავდაპირველი – სანყისი დაკომპლექტება.

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, თუ რა კონტინგენტთან გვაქვს საქმე: ეროვნული უმცირესობა, უნარშეზღუდულები, პატიმრები და სხვა კატეგორიის მკითხველები. ამასთან „ფონდები და მომსახურება არ უნდა წარმოადგენდეს იდეოლოგიური, პოლიტიკური თუ რელიგიური ცენზურისა და კომერციული ზენონის საგანს“.

როგორც ცნობილია, ზემოთ ნათქვამი ზუსტადაა განსაზღვრული „IFLA/UNSC-ს საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტში, 1994 წ.“

საჯარო ბიბლიოთეკა უნდა ფლობდეს ფართო სპექტრის რესურსებს, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მას უნდა ჰქონდეს წერილობით გაფორმებული და დამტკიცებული ფონდების მართვის წესები, აუცილებელია უწყვეტად მიმდინარეობდეს, ფონდების დაკომპლექტება თანამედროვე პირობებში ბიბლიოთეკამ არა მარტო პირადი ფონდებით უნდა უზრუნველყოს მკითხველი, „არამედ მსოფლიო მასშტაბით ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოპოვების სტრატეგიებიც“.

აღნიშნული წესების მთელი სპექტრი მოიცავს როგორც უნივერსალური ხასიათის საკითხებს, ისე ზოგად და სპეციალურ საკითხებს. პირველი ნაწილი გულისხმობს არსებული სახელმძღვანელო მასალების გათვალისწინებას (ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, „იფლას“ განცხადებები, დებულებები ინფორმაციის თავისუფლებაზე და სხვ.). მეორე ნაწილი მოიცავს: ფონდების მართვის წესების ძირითად მასალას, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრას, ხელმისაწვდომობის სტრატეგიას, ფონდების განვითარების ისტორიას მოცემულ ბიბლიოთეკაში, საკანონმდებლო აქტების მითითებებს.

სპეციალური საკითხები ძირითადად ეხება წმინდა პრაქტიკულ საკითხებს: მოსახლეობის მოთხოვნილებათა ანალიზი; პრიორიტეტები; სპეციალური ფონდების პარამეტრები; ფონდების შერჩევის, შევსებისა და ჩამონერის პრინციპები; საბიუჯეტო ასიგნებანი; ელრესურსების ფორმატში სხვადასხვა წყაროების ხელმისაწვდომობა ონლაინის – რეჟიმში ხელმისაწვდომობის ჩათვლით; თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ფონდების შენახვისა და დაცვის პოლიტიკა; ფონდების გაყიდვის, გაჩუქებისა თუ ჩამონერის აუდიტი; ფინანსური ანგარიშგება; მოთხოვნებზე მუშაობა (აქვე იგულისხმება საჩივრებზე მუშაობა); ფონდების მართვის გეგმა; დაკომპლექტების პოლიტიკის განხილვა და შეფასება.

ეს, ცხადია, არ არის სრული ჩამონათვალი მისი შევსება, და სხვა კორექტივები დამოკიდებულია მოცემულ ბიბლიოთეკაზე, მის საჭიროებებსა და პირობებზე.

საჯარო ბიბლიოთეკა უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს, რაც დაკავშირებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან, საჭიროა ახალი ფორმატებისა და ახალი გზების ძიება და გამოყენება. ხელმისაწვდომობა მაქსიმალურად ოპერატიულ რეჟიმში უნდა ხდებოდეს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი საინფორმაციო წყაროებისა და რესურსების გამოყენებასა და განვითარებას.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ უნდა უგულვებელყოფოთ ტრადიციული მეთოდები, თუკი ეს საჭიროა და სხვა გამოსავალი არ არის. არ შეიძლება ამ მეთოდების უგულვებელყოფა, ვიდრე ბიბლიოთეკა სრულყოფილად არ იქნება აღჭურვილი ახალი ტექნოლოგიური საშუალებებით.

თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში არსებობს სხვადასხვა ტიპის ფონდები. შეიძლება განვსაზღვროთ მათი არასრული ჩამონათვალი: მხატვრული ლიტერატურა მოზარდებისა და ბავშვებისათვის; საცნობარო ლიტერატურა; ელექტრო მონაცემთა ბაზები; ჟურნალ-გაზეთები; სამთავრობო ინფორმაცია; ბიზნესთან დაკავშირებული ინფორმაცია; მხარეთმცოდნეობითი მასალები; გენეოლოგიური მასალები; სანოტო გამოცემები; კომპიუტერული თამაშები; სათამაშოები (თავსატყეხები); სასწავლო თვალსაჩინო მასალები;

„სახელმძღვანელოში“ მოცემული ეს და სხვა სქემები არ გამოირჩევა ლოგიკური თანმიმდევრობით, არც სრულყოფილებით, მაგრამ მთლიანობაში ძირითად საკითხებს სავსებით დამაკმაყოფილებლად მოიცავს. ზოგი უზუსტობაც

შეიმჩნევა, მაგალითად, ფონდების კლასიფიკაციის დროს გამოცემათა სახეობებში არეულია ფონდების დანიშნულებისა და ენობრივი განსხვავებულობის ფაქტორები, მაგრამ ეს არ ქმნის ისეთ სირთულეს, რაც ხელს შეუშლის საქმიანობას. გარდა ამისა, საერთო ანალიზის შემთხვევაში ის შეიძლება გასათვალისწინებელი დარჩეს.

დაახლოებით იგივე ითქმის ფორმატებზე, რასაც აღნიშნული „სახელმძღვანელო“ გვთავაზობს: ნიგნები; ბროშურები და ბუკლეტები; გაზეთები და ჟურნალები თემატური ამონაჭრების ჩათვლით; ინტერნეტით მიღებული ციფრული ინფორმაცია; მონაცემთა ბაზრები ონლაინ-რეჟიმში; მონაცემთა ბაზები CD-ROM-ზე; კომპიუტერული პროგრამები; მიკროფორმები; მაგნიტოფონის კასეტები და კომპაქტდისკები (CD); ციფრული დისკები DVD; ვიდეოკასეტები; ლაზერული დისკები; დიდი ფორმატის ბექედური მასალები; მასალები ბმავლის შრიფტით; აუდიონიგნები; ელექტრონული ნიგნები; პლაკატები.

„კარგი საბიბლიოთეკო ფონდისათვის მოცულობა არ არის განსაზღვრული, განსაკუთრებით, ციფრული ინფორმაციის ახალ სამყაროში“. უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ შეეფერება ეს ფონდი მოსახლეობის მოთხოვნილებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სხვა მონაცემებიც: ფართობი, ფინანსური რესურსები, მკითხველთა კონტინგენტი (უნდა ვიგულისხმოთ მკითხველთა რაოდენობა, მათი სოციალური და საგანმანათლებლო დონე და მოთხოვნილებები), მახლობელი ბიბლიოთეკების არსებობა, ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობა, ფონდების წმენდისა და შევსების პოლიტიკა, ფონდების ურთიერთცვლის მდგომარეობა და სხვა.

„სახელმძღვანელოს“ მიხედვით, ფონდების დაკომპლექტების განმსაზღვრელი კრიტერიუმები უნდა იყოს: საინფორმაციო რესურსების წრე – რამდენად პასუხობს ის საზოგადოების მოთხოვნებს; იმგვარი ფორმატების დანერგვა, რომელიც გამოსაყენებელია მკითხველთა ყველა ფენისათვის; ახალი მასალის (დასახელებათა) გამოჩენა; ახალი ნიგნების შემოსვლა; მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურის ფართო დიაპაზონი; გარე რესურსების ხელმისაწვდომობა; ძველი, გაცვეთილი ან შინაარსობრივად მოძველებული ნიგნებისა და არაბექედური რესურსების ჩამონერა.

„სახელმძღვანელოს“ ერთ-ერთ პარაგრაფში ჩამოყალიბებულია „ფონდებთან მოპყრობის პრინციპები“, რაც, უპირველეს ყოვლისა, გუ-

ლისხმობს ფონდის შინაარსობრივ ხარისხის მხედველობაში მიღებას – ახალი, სანდო ინფორმაციის მქონე მასალის შეგროვებასა და მიწოდებას მომხმარებლებისათვის, „საბიბლიოთეკო ფონდები დინამიკური სისტემაა“. ეს მოითხოვს ახალი მარაგის მუდმივ ჩართვას, რაც თავისთავად იწვევს შეუსაბამო ფონდების სისტემატურ ჩამონერას. ძველი მასალისაგან ფონდის გამოსწორვა ობიექტურად აუცილებელი პირობაა. უმჯობესია ახალი მარაგით ფონდის შევსების ტემპები, ვიდრე მათი მოცულობა.

ყურადღებას იპყრობს ე. წ. „სარეზერვო ფონდები“. ავტორების რეკომენდაციით, წონადი, მაგრამ ძველი მასალა, თუკი ის შეიცავს სასარგებლო ინფორმაციას, დაცულ უნდა იქნას, მაგრამ უმჯობესია გამოცალკევებულად, მით უმეტეს, თუკი ასეთი მასალის სხვა შემცველი არ არსებობს, ან მოსალოდნელი არ არის მისი ხელმეორედ გამოცემა, მაგრამ მოთხოვნადია. სასურველია სარეზერვო ფონდების მართვა სხვა ბიბლიოთეკებთან კოორდინირებულად ელექტრონული ბაზების გამოყენებით. „... ვრცელი ინფორმაციის არსებობა ამცირებს საჯარო ბიბლიოთეკების მიერ დიდი მოცულობის სარეზერვო ფონდების შენახვის აუცილებლობას, რადგანაც არც ერთი საჯარო ბიბლიოთეკა არ შეიძლება იყოს თვითკმარი, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის ეფექტიან სისტემას.

„სახელმძღვანელო“ განიხილავს აგრეთვე ნიგნადი ფონდების ნორმატივებს, რაც საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებისათვის არ წარმოადგენს განსაკუთრებული ყურადღების საგანს, რადგანაც, ფაქტობრივად, ყოველად გამორიცხულია ამ ნორმატივების დაცვა. მაგალითად, ნათქვამია, რომ „ნიგნადი ფონდის ნორმატიული მოცულობა უნდა განისაზღვრებოდეს 1,5–2,5 ნიგნით ერთ სულ მოსახლეზე; ყველაზე მცირე საბიბლიოთეკო სამსახურის ნიგნადი ფონდის მოცულობა არ უნდა იყოს 2500 ნიგნზე ნაკლები. ეს და ამგვარი ნორმატიული მოცულობათა დაცვა ჩვენს პირობებში სავსებით შეუძლებელია. იგივე ითქმის ნორმატივებზე ინფორმაციის ელექტრონული მატარებლებისათვის. დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ დასახელებულ სახელმძღვანელოს.

ცნობილია, რომ ახალი ბიბლიოთეკების დაკომპლექტება განსხვავებულად ხდება. ფონდების დაკომპლექტების პროგრამა ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს იმ რაიონის დემოგრაფიულ მახასიათებლებს,

სადაც მოხდება მომავალი ბიბლიოთეკის მიერ მოსახლეობის მომსახურება. ამისათვის საჭიროა ადგილობრივი რეგიონალური ნორმატივების შემუშავება დამატებით.

ამ შემთხვევაში ფონდების შექმნა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, უპირველესი ამოცანაა, შეიქმნას საბაზო ფონდი. ამ ეტაპზე მთავარია წიგნების რაოდენობა და ხარისხი და არა თემატური მრავალფეროვნება. სასურველია არსებობდეს ფონდების განვითარების მოზომილი გეგმა. ეტაპი უნდა მოიცავდეს ინფორმაციის ელექტრონული წყაროების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

ამას მოსდევს „კონსოლიდაციის“ ეტაპი. ამ ეტაპის ამოცანაა ფონდის მოცულობის, ხარისხისა და თემატური მრავალფეროვნების გაზრდა. უკვე ამოქმედებულია წიგნების ჩამწერის პროცესებიც. ერთ-ერთ ამოცანად უნდა იქნეს დასახული, რომ სამი წლის განმავლობაში ერთ მკითხველზე 2 წიგნი უნდა მოვიდეს.

„კონსოლიდაციის“ ეტაპს მოსდევს „სტაბილიზაციის“ ეტაპი, რაც გულისხმობს რესურსების მაქსიმალურად ფართო სპექტრის ხელმისაწვდომობის სრულ უზრუნველყოფას.

„ბიბლიოთეკამ უნდა განსაზღვროს ფონდების შემადგენლობა და გახდეს ადგილობრივი საზოგადოების რესურსების საცავი...“ ბიბლიოთეკამ სასარგებლო ვებ-გვერდების ბმულების შექმნის გზით შეასრულოს ელექტრონული ქსელთაშორისი ინტერფეისის როლი.

„სახელმძღვანელოში“ ფონდების შევსებასა და ჩამოწერასთან დაკავშირებით უკვე ჩამოყალიბებულია დასაბუთებული ნორმატივები, აგრეთვე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით წიგნადი ფონდის განსაზღვრის 3 ვარიანტი, რომლებიც ჩვენი ბიბლიოთეკებისათვის, ობიექტური მიზეზების გამო, მხედველობაში ვერ იქნება მიღებული. იგივე ითქმის მცირე

ბიბლიოთეკებზე, რომლებსაც, საერთოდ, ვერ პასუხობენ რეალურ მონაცემებს, რაც საჭიროა ნორმატივების დასადგენად. მცირე ბიბლიოთეკების პირობებში უდავოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის ეფექტიანი სისტემა.

საყურადღებოა სპეციალური ფონდების საკითხი.

„ზოგადი დანიშნულების თუ საერთო ფონდების შევსებისა და ჩამოწერის ტემპები შეიძლება არ შეესაბამებოდეს ზოგიერთი კონკრეტული სპეციალური ფონდის მოთხოვნებს ან განსაკუთრებულ ადგილობრივ გარემოებებს. ასეთ შემთხვევაში ფონდების დაკომპლექტების წესები განსხვავებული იქნება“. ეს უკვე დამოკიდებულია ამგვარ ბიბლიოთეკებში დასაქმებულ მუშაკთა პროფესიონალიზმზე.

სპეცფონდების გამოყოფა დამოკიდებულია ბიბლიოთეკის ფონდების თავისებურებაზე. ერთია ძირითადი მოსახლეობის მემკვიდრეობის, მისი შენახვისა და დაცვის ორგანიზება; მეორე – მხარეთმცოდნეობითი მასალები; მესამე – ცალკეული ჯგუფების მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი ფონდები – ბავშვები, პენსიონერები, ახალგაზრდობა, ეთნიკური უმცირესობა, სოციალურად დაუცველნი და სხვა; მეოთხე კატეგორიას განეკუთვნება საცნობო ხასიათის მასალები – ცნობარები, გზამკვლევები, ძველი ლექსიკონები და ენციკლოპედიები. ამ მასალას განიხილავენ როგორც ისტორიული ღირებულების შემცველ წყაროს. მათი შენახვა უნდა ხდებოდეს გარკვეული კვლევითი მიზნით.

ამგვარი მასალის თავმოყრილად წარმოდგენა და მათი კომენტარულად დამუშავება ხელს უწყობს ბიბლიოთეკარების როგორც თეორიულ მომზადებას, ისე მათ პრაქტიკული ცოდნით აღჭურვას.

მეთოდური დამუშავება

ბურამ თაყნიაშვილი

საბიბლიოთეკო ფონდების შევსება

(კონსულტაცია)

საჯარო ბიბლიოთეკის ფონდების შემოწმების ძირითადი ამოცანაა, დადგინდეს ფაქტური მდგომარეობა დოკუმენტებისა, რომლებიც აყვანილია ბიბლიოთეკის ბალანსზე, აღრიცხულია ინვენტარში და წარმოადგენს როგორც სახელმწიფო ქონებას, რომელიც არის მკითხველთა მომსახურების ძირითადი საშუალება.

შემოწმება საერთო მუშაობის შემადგენელი ნაწილია. იგი უზრუნველყოფს ფონდზე ზედამხედველობასა და კონტროლს, ფონდების შემოწმების შედეგად ზუსტდება, რამდენად სწორადაა ის სისტემატიზებული და აღრიცხული, რამდენად ადეკვატურია მომხმარებელთა მოთხოვნებთან, როგორაა ის დაცული, როგო-

რია დანაკლისი, რამდენად ზუსტია ფონდის რაოდენობითი მაჩვენებელი. ამავე დროს ხდება შესწავლა ფონდების ფიზიკური მდგომარეობისა და დოკუმენტაციის მართლწარმოებისა. შემომწება გვეხმარება გავარკვიოთ, როგორია დოკუმენტების მოძრაობის ხარისხი, ამა თუ იმ დოკუმენტზე ან დოკუმენტების მთელ მასივზე მოთხოვნილება. ფაქტობრივად, ის იძლევა საშუალებას, მიზანშეწონილად წარიმართოს მუშაობა ბიბლიოთეკაში და განისაზღვროს მისი დონე, ეს ხელს უწყობს აგრეთვე ბიბლიოთეკის გეგმიურად მართვასა და ორგანიზაციას, განლაგების რედაქტირებას, დავალიანების მდგომარეობაში გარკვევას და ა. შ.

ფონდების შემომწება ხდება გეგმიურად და წინასწარგაუთვალისწინებლად. გეგმიური შემომწება რეგლამენტირებულია და გათვალისწინებულია წინასწარ. წინასწარ განუზრახველად შემომწება ტარდება ცალკეულ შემთხვევაში – ფონდზე პასუხისმგებელი პირის შეცვლა, ფონდის გადაბარება, ექსტრემალური სიტუაცია (ხანძარი, წყლის მოტბორვა, შენობის დაზიანება) ან საინვენტარო წიგნის „დახურვა“ მასში გატარებული დოკუმენტების 80%-ის გარიცხვა, ჩანაწერებში დიდი შეცდომები და ა. შ.

ფონდების შემომწების პროცესი რეგლამენტირებული უნდა იყოს შესაბამისი ინსტრუქციით, რომელსაც ბიბლიოთეკა შეიმუშავებს და რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებს.

შემომწების პერიოდულობა დამოკიდებულია ფონდების მოცულობასა და სტრუქტურაზე, ბიბლიოთეკის მდგომარეობაზე, სიტუაციაზე. იმდენად, რამდენადაც შემომწების პროცესი შრომატევადი საქმიანობაა და დიდ დროს მოითხოვს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბიბლიოთეკის ავტონომიური უფლებები, განსაზღვროს, როდის და როგორი წესით მოახდინოს შემომწება. საერთოდ, რეკომენდებულია შემომწების შემდეგი ვადები:

- ფონდები 100.000 ეგზემპლარამდე – 5 წელიწადში ერთხელ;
- ფონდები 100.000–დან 200.00–მდე – 7 წელიწადში ერთხელ;
- ფონდები 200.000–დან 1 მლნ–მდე – 10 წელიწადში ერთხელ;
- ფონდები 1 მლნ–ზე მეტი მოწმდება ეტაპობრივად, შერჩევით.

ასეთ დიდ ბიბლიოთეკებში უმეტესად ტარდება სახელდახელო, სახელმძღვანელო, გავცვლითი და სხვა ფონდების შემომწება.

საერთოდ, ფონდები შეიძლება შემომწმდეს როგორც მთლიანად, ისე შერჩევით, იმის მიხედვით, როგორადაც ამას საჭიროდ ცნობს

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა.

მუნიციპალიტეტის მთავარი (ცენტრალური) ბიბლიოთეკები თავიანთ ფონდებს გეგმიურად ამომწებენ ყოველ 5–7 წელში ერთხელ, სასოფლო ბიბლიოთეკები – 5 წელში ერთხელ.

ბიბლიოთეკის შემომწების სამი ძირითადი მეთოდი არსებობს. უპირველესი ეს არის, ყველაზე მარტივი და შედარებით მცირე ბიბლიოთეკებისათვის მისაღები – ფონდების პირდაპირ ინვენტართან შეჯერების მეთოდი, როდესაც ორი პირი ერთდროულად ამომწებს შერჩეულ ფონდს. ერთი იღებს თაროდან წიგნს, აცხადებს მის ინვენტარის ნომერს – სვამს ზედ თევს, მეორე ინვენტარში ეძებს ამ წიგნს და შემომწების გრაფაში სვამს პირობით ნიშანს; ამგვარი წესით დიდი ფონდების შემომწება შეუძლებელია საინვენტარო წიგნების დიდი რაოდენობისა და მათში ძიების სირთულის გამო.

ერთ–ერთი მოხერხებული საშუალებაა ტოპოგრაფიული კატალოგით შემომწება, მაგრამ ტოპოგრაფიული კატალოგი ბიბლიოთეკაში არსებული საძიებო საშუალებათა სისტემის შემადგენელი ნაწილია. იგი აიგება პარალელურად სხვა კატალოგებთან ერთად და განკუთვნილია ფონდების დაცვის რეგულირებაზე მეთვალყურეობისათვის. ის შედარებით მოკლე საკატალოგო აღწერილობას მოითხოვს – ინვენტარის ნომერი, განყოფილება, ავტორი, სათაური, ტომი, გამოცემის ადგილი და დრო, მოცულობა, სასურველია – ფასიც. ამგვარი კატალოგი შემომწების დროს ხელს უწყობს შემომწების დაჩქარებას და პროცესიც ეკონომიურია. ამგვარი კატალოგი მთელ მსოფლიოში იშვიათობაა, საქართველოში კი არც ერთ ბიბლიოთეკაში არ გვხვდება (ჩვენთვის უცნობია). თანამედროვე ტექნიკურ პირობებში შეიძლება მისი ელექტრონულინესით წარმოება, მაგრამ საჭიროა ტექნოლოგიის მეთოდიკურად დამუშავება და პროგრამირება. ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც პერსპექტივა.

შემომწება საკონტროლო ტალონებით ანალოგიურია ტოპოგრაფიული კატალოგით შემომწებისა. ტალონი დგება თაროზე წიგნებთან უშუალოდ მისვლით. ტალონის აღწერილობა კიდევ უფრო გამარტივებულია – ინვენტარის ნომერი, ავტორი, სათაური, ტომი; შემდეგ ტალონები დაეწყება ინვენტარის რიგზე და შედარდება ინვენტარის ჩანაწერებს.

ყოველი წიგნის შემომწების დროს მასზე უნდა დაისვას თეგი, რომელიც აღნიშნავს ამ წიგნის ინვენტარიზირებას.

ყოველი წიგნის შედარებისას ინვენტარის შემომწების გრაფაში უნდა დაისვას პირობითი

ნიშანი, რაც გულისხმობს ბიბლიოთეკაში ამ დოკუმენტის არსებობას. თუ ნიგნი გაცემულია, მისი შემონახვა ხდება მკითხველის ფორმულარის ჩანაწერის მიხედვით. ამ ნიგნის დაბრუნების შემთხვევაში მასზე ასევე დაედება შემონახვის თეგი. გაცემული ნიგნები ითვლება ბიბლიოთეკაში არსებულ ნიგნებად. თუ მათ არ გასვლიათ სარგებლობის ვადა.

თუკი ინვენტარში ჩანაწერების შემონახვის დროს რომელიმე ერთეულთან არ არის გაკეთებული შემონახვის პირობითი ნიშანი, ეს ნიშნავს, რომ ამ ნიგნს არ გაუვლია შემონახვა და ხდება მისი ძიება. ესენია ე. წ. უგზოუკვლოდ გაბნეული ეგზემპლარები. კიდევ უნდა გადაიხედოს ასეთი გამოცემების შესაძლო ადგილსამყოფელი, ხომ არ არის ისინი დაზიანებულ ნიგნებში, ირიცხება თუ არა დავალიანების მქონე მკითხველზე. ან შეიძლება, ადრე ჩამოინერა, მაგრამ არ იყო სათანადო აღნიშვნა საინვენტარო ნიგნში. ასეთი ძიების შემდეგ უნდა შედგეს სია დანაკლისი ეგზემპლარებისა, რაოდენობისა და ღირებულების ჩვენებით. ასეთ გამოცემებზე დგება სია და აქტი, იგი წარედგინება ბიბლიოთეკის დამფუძნებელს.

ფონდების შემონახვის საბოლოო შედეგი უნდა გაფორმდეს აქტით.

აქტი №
თარიღი

წინამდებარე აქტი შედგება _____
_____ არსებული

ბიბლიოთეკის დასახელება
საბიბლიოთეკო დოკუმენტების შემონახვის,
შეფასების და ჩამოწერის კომისიის

მიერ, მასზედ, რომ _____
_____ შემონახდა

მიეთითოს შემონახვის ვადები
ბიბლიოთეკაში რეგისტრირებული ფონდები.
შემონახვა ჩატარდა _____

შემონახვის პერიოდისათვის ბიბლიოთეკაში ირიცხებოდა _____ ეგზ. ნიგნი და სხვ. სახის გამოცემა, რომელთა ღირებულება შეადგენდა _____ ლარს _____ თეთრს. შემონახვის შედეგად სახეზე აღმოჩნდა _____ ეგზ. ნიგნი და სხ. სახის გამოცემა, რომელთა ღირებულება შეადგენს _____ ლარს _____ თეთრს.

სია დანაკლისი ნიგნებისა აქტს თან დაერთვის, რაზედაც ხელს ვაწერთ კომისიის წევრები. აქტი დგება ერთ ცალად, სია ორ ცალად, ერთი რჩება ბიბლიოთეკაში, მეორე გადაეცემა


ბულალტერიას.

შემონახვის ნებისმიერი მეთოდი მოითხოვს ყოველი ეგზემპლარის შედარებას საინვენტარო ჩანაწერებთან. ინდივიდუალური აღრიცხვის ამ ფორმას ზოგიერთი ბიბლიოთეკა აწარმოებს ელექტრონული ფორმით, ზოგს ორივე ფორმა გააჩნია.

ფონდების შემონახვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხშირად მოძრავი, ოპერატიული და ე. წ. სახელდახელო ფონდების შემონახვას, იმ ნაწილს, სადაც თავისუფალი დაშვებაა. აქ ხშირია ნიგნების განლაგების შეცვლა; საჭიროა შემონახვის წინ ჩატარდეს ამ ნაწილის რედაქტირება. საცავის თანამშრომელმა – ფონდებზე პასუხისმგებელმა პირმა სამუშაო დღის დაწყების წინ ისედაც უნდა გადახედოს ნიგნების განლაგებას, შეასწოროს, ყურადღება მიაქციოს ანბანურ წყობას.

შემონახვის შედეგად გამოვლენილ დანაკლისზე მსჯელობს კომისია, რომელიც ღებულობს გადამწყვეტილებას მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ. აქ მხედველობაშია მისაღები ფონდების დაცვის სხვადასხვა პირობები: ჩაბარებული ჰქონდა თუ არა მოქმედ ბიბლიოთეკარს აქტით მთლიანი ფონდი, ხშირია შემთხვევები, როდესაც ახლადანიშნულ ბიბლიოთეკარს ჩააბარებენ გასაღებს; ცხადია, ასეთ შემთხვევაში მას ვერ მოვთხოვთ დანაკლისზე პასუხისმგებლობას. ფონდზე პასუხისმგებელი პირის შეცვლისას საჭიროა შემონახვის მთელი ფონდი, განსაკუთრებით სასკოლო, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკაში და მხოლოდ ამის შემდეგ გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. დანაკლისზე პასუხისმგებლობა ეკისრება ყოფილ ბიბლიოთეკარს. ზარალის ანაზღაურების შესახებ კომისია იღებს გადამწყვეტილებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საბიბლიოთეკო პრაქტიკაში გვქონდა შემთხვევები, როდესაც დანაკლისი ანაზღაურდა ბიბლიოთეკისათვის მაპროფილებელი გამოცემების შექმნით. მისაღებია ბიბლიოთეკისათვის აუცილებელი გამოცემების შექმნა.

ერთიმეორისაგან უნდა გავარჩიოთ ფონდების შემონახვა ანუ ინვენტარიზაცია და რეინვენტარიზაცია. შემონახვა ანუ ინვენტარიზაცია ნიშნავს საბიბლიოთეკო დოკუმენტების გადათვლას, თითოეული ეგზემპლარის შედარებას საინვენტარო ჩანაწერებთან, ხოლო რეინვენტარიზაცია ნიშნავს ფონდების ხელახალ რეგისტრაციას, თითოეული ეგზემპლარისათვის ახალი საინვენტარო ნომრის მიკუთვნებას. რეინვენტარიზაციას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც ბიბლიოთეკაში რიცხული დოკუმენტების ნახე-



ვარზე მეტი გაირიცხა, ან ადგილი ჰქონდა ექსტრემალურ სიტუციას; დაზიანდა საინვენტარო ნიგნები და ა. შ. ყოველ შემთხვევაში, რეინვენტარიზაციისათვის აუცილებელია ბიბლიოთეკის დამფუძნებლის ნებართვა, განკარგულება, სადაც დასაბუთებული უნდა იქნეს რეინვენტარიზაციის აუცილებლობის მიზეზი.

საბიბლიოთეკო დოკუმენტების შემონახვის პროცესი შრომატევადი საქმეა. არ შეიძლება

დაგვიანებით ჩატარება. მკითხველთა მომსახურების პროცესში ყოველთვის ადგილი აქვს ცალკეული გამოცემების უადგილოდ თაროზე განლაგებას, – დაკარგვის შემთხვევებს, ქურდობის ფაქტებს და ა. შ. ამიტომ შემონახვის პროცესი ერთადერთი სწორი და მიზანშეწონილია, რომელიც უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო დოკუმენტების, როგორც სახელმწიფო ქონების, მაქსიმალურ დაცვას.


უცხოეთის ბიბლიოთეკები

ჩვენი თანამემამულე ირინა ლორია ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციის დავალებით აფრიკის ერთ-ერთ პატარა ქვეყანაში – რუანდაში მოღვაწეობა. ქვეყნის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მისი თანამშრომლობით ყურადღება ექცევა, საერთოდ, ბიბლიოთეკისა და წიგნის პოპულარიზაციის საქმეს, გთავაზობთ მის მიერ გამოგზავნილ რეპორტაჟს.

ირინა ლორია

წიგნი ყველგან განვითარების საწინდარია

(რეპორტაჟი აფრიკიდან)




ჯენიფერ ტურანცინძე, ქიგალის გაერთიანებული ეროვნული და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ისეთივე ახალგაზრდაა, როგორც ის ბიბლიოთეკა, რომელსაც ხელმძღვანელობს. თავისი კაბინეტის მაგიდასთან მჯდომი ენთუზიაზმით მიყვება ბიბლიოთეკის დაარსების ისტორიას და ბიბლიოთეკის არსებობის მნიშვნელობაზე რუანდის საზოგადოების ინტელექტუალურ განვითარებაში.

რუანდაში ყველაფრის ათვლის წერტილად ჯერ ისევ 1994 წლის გენოციდი რჩება და ახალი ბიბლიოთეკის მშენებლობის იდეაც იქიდან წამოვიდა, რომ გენოციდის ერთ-ერთ მიზეზად რუანდის მოსახლეობის უნიგნურობასა და გაუნათლებლობას ასახელებენ. აქედან გამომდინარე,

პოსტგენოციდის პერიოდში რუანდის განათლების სექტორის გაძლიერებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. სწორედ ამიტომ 2001 წლის მაისში ქიგალის როტარი კლუბმა წამოიწყო ქიგალის პირველი საჯარო ბიბლიოთეკის მშენებლობა, რომელშიც მომდევნო წლებში რუანდის მთავრობაც ჩაერთო და 2012 წლის ოქტომბერში ქიგალის ბიბლიოთეკამ, რომელმაც გააერთიანა საჯარო და ეროვნული ბიბლიოთეკები, ოფიციალურად გაუღო კარი წიგნის მოყვარულებს და მიზნად დაისახა წიგნის გავრცელება რუანდის საზოგადოების ყველა ფენაში.

ჯენიფერი მიყვება, თუ როგორ გროვდებოდა





წიგნები ბიბლიოთეკის მშენებლობის პერიოდში და სიამაყით აღნიშნავს, რომ გახსნის დროს ბიბლიოთეკა უკვე ფლობდა 40,000 წიგნს და რაოდენობა ყოველთვიურად იზრდება. მრავალმა ქვეყნის საელჩომ მიიღო მონაწილეობა ბიბლიოთეკის კოლექციის გამდიდრებაში, მაგრამ განსაკუთრებული წვლილი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის საელჩოებს მიუძღვის და ამის გამოც წიგნთა უდიდესი რაოდენობა ინგლისურსა და ფრანგულ ენებზეა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორივე ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული რუანდაში, ჯენიფერი ძალიან მნიშვნელოვნად თვლის ქინიარუანდაზე გამოცემული წიგნების რაოდენობის გაზრდას და საუბრობს რუანდაში საგამომცემლო საქმის პრობლემატიკაზე.

ბიბლიოთეკის დათვალიერებისას თვალში საცემია ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ახალგაზრდა ასაკი და ჯენიფერს ვეკითხები, თუ როგორ მზადდებიან საბიბლიოთეკო კადრები. ჯენიფერი მიხსნის, რომ საბიბლიოთეკო საქმე რუანდისთვის ახალი და უცხო მეცნიერებაა და მხოლოდ ახალგაზრდა თაობაში მოიძებნება საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტები, მაგრამ ყველა ბიბლიოთეკარს განათლება მეზობელ ქვეყნებში აქვს მიღებული იმის გამო, რომ რუანდის არცერთ უნივერსიტეტში საბიბლიოთეკო საქმის ფაკულტეტი არ არსებობდა. თვითონ მას უგანდის უნივერსიტეტის დიპლომი აქვს. მაგრამ, ისევ სიამაყით აღნიშნავს, რომ 2011 წელს ქიგალიში გაიხსნა კენიის კერძო უნივერსიტეტის ფილიალი, რომელიც

მსურველებს სთავაზობს საბიბლიოთეკო საქმის როგორც ბაკალავრიატს, ასევე მაგისტრატურას. ასე რომ, რამდენიმე წელში რუანდაში განათლებამიღებული ბიბლიოთეკარები შეავსებენ რუანდის ბიბლიოთეკების კადრებს.

ბიბლიოთეკის ერთ-ერთი თანამშრომელი ბიბლიოთეკის კარებთან ზის დიდი დავთრით და გულმოდგინედ იწერს თითოეული შემომსვლელის სახელს, ასაკსა და პროფესიას. ჯენიფერი ხვდება, რომ შეკითხვის დასმას ვაპირებ და პასუხს მასწრებს. „სტატისტიკისთვის გვჭირდება. გვინდა ვიცოდეთ, რამდენი მომხმარებელი სარგებლობს ბიბლიოთეკით დღის განმავლობაში, რა ასაკის არიან და რა პროფესიის. ჯერჯერობით დღეში საშუალოდ 100 ადამიანს ვემსახურებით, რაც ცუდი მონაცემი არ არის ახალი ბიბლიოთეკისთვის და ძალიან ვიმედოვნებთ, რომ ეს რიცხვი დროის მსვლელობასთან ერთად გაიზრდება.“

ვტოვებ ბიბლიოთეკის ლამაზ შენობას და ვფიქრობ, რომ არამარტო ქიგალის ბიბლიოთეკის დამფუძნებლებს, მეც ასევე მჯერა, რომ განათლებას შეუძლია თავიდან აგვაცილოს ისტორიის ისეთი საშინელება, როგორც გენოციდი.



საქმიანი შემოთავაზება

რედაქციამ მიიღო სკოლის, ბავშვთა სახლის და ბაგა-ბაღის ფსიქოლოგთა, ექიმთა და ექთანთა ასოცია „ნერგის“ პრეზიდენტის თამარ შოშიაშვილის წერილი – მიმართვა. დასაწყისში ქალბატონი თამარი უღრმეს პატივისცემას გამოხატავს სარედაქციო ჯგუფის მიმართ და კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ჟურნალი, ეს ერთადერთი პერიოდული ორგანო დარგში, უწყვეტად გამოდის და მეტად საინტერესო მასალებს აქვეყნებს. დასასრულს ის თავის გეგმებზე გვესაუბრება და გვთავაზობს თავის სამსახურს, რაც ჟურნალისათვის დიდად დასაფასებელია. ის გვწერს:

„ვამზადებ წერილს „საქართველოს ბიბლიოთეკის“ შესახებ, თუ როგორ აისახება მასში მასალები საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებით, როგორაა გადმოცემული ის მოვლენები, რომლებიც ისტორიულად განვითარდა, როგორ სათუთად, რუდუნებით, მრავალთა ღვაწლითა და ამაგით იქმნებოდა და შენდებოდა საბიბლიოთეკო საქმე, როგორ შედგა ძლიერი და ერთიანი სისტემა, ახლა კი როგორი ნგრევა განიცადა მან. ისეთი სიტყვების გვერდით, როგორიცაა: ნასათუთარი, ნაამაგარი, ნაჭირნახულები, ნაოფლარი, ასევე ნაალაფევი, ნაყაჩაღარი, ნავენახარი, ნასაყდარალი, ნასოფლარი, ნაქალაქარი და სხვა, არ გაჩნდეს სიტყვა „ნაბიბლიოთეკარი“.

წერილის ავტორი გულისტკივილით გვამცნობს, რომ ძველისა და ახლის სიმბიოზის ნაცვლად ვღებულობთ ტრადიციულის სრულ უგულუბელყოფას, რის წინააღმდეგაც აშკარად იმალლებს ხმას ჟურნალი. ეს აქტი მასში გრიშაშვილის ძველ თბილისთან გამოთხოვების სტრიქონების ასოციაციას იწვევს: „სიძველისადმი გრძნობა-პატივი, თუ შენში ოდნავ მაინც ელვარებს, მიხვდები, ასე ანდამატივით, რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს“. შემდეგ განაგრძობს: „მიმდინარე მედიათეკების გახსნამ და დეკემბერში ისევ ბიბლიოთეკების დახურვის თემამ გამახსენა ჩოხელი: „ოლონდ ნუ იქნება ხევი ნახევარი, ფხოვი – ნაფხოვარი, კაცის ნასახლარს ნუ მანახებ და ნუ გახდება საქართველო ნახევრის ნახევარი!“.. მეც მინდა, ნულარ გაჩნდება „ნაბიბლიოთეკარები!“

წერილის ავტორი თავის იდეასაც გვიმჟღავნებს: მიაჩნია, რომ ჟურნალის ყველა ნომერი უამრავ შემეცნებით, სამეცნიერო მასალას შეიცავს; კვირეულების გაშუქება და რეპორტა-

ჟები ბიბლიოთეკებიდან შთაგონების წყარო იქნება პედაგოგებისათვის და, საერთოდ, სკოლებისათვის, ამიტომაც სასარგებლო იქნება „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის“ საიტი მეგობარი საიტი, თუ გახდება და მასში თუ იქნება განყოფილება „არქივი“, რომელშიც ავტორთული იქნება ჟურნალის ყველა ნომრის სკანირებული ვარიანტი.

ქალბატონი თამარი ამავე წერილში გვთავაზობს რუბრიკების მთელ წყებას, რომელთა შემოღება მას სასურველად მიაჩნია. ზოგი მათგანი ჩვენ კარგა ხანია გვაქვს, მაგრამ სხვაგვარი ფორმულირებით. მაგალითად: „ნიგნიერი დედები“, ასეთი რუბრიკა ჩვენ არ გავაჩნია, მაგრამ გვაქვს რუბრიკა – „სკოლა, ბიბლიოთეკა – ოჯახი“, „ბავშვთა კითხვა“, „ნიგნი და ბავშვი“, რომლებშიც შუქდება მშობლების ნიგნიერების საკითხები. თუ შემოდის იდენტური წერილები, ჩვენ მათ აქცენტირების მიხედვით ამა თუ იმ რუბრიკაში ვათავსებთ. ასეთი მაგალითი მრავალია. ამდენად, ჩვენმა ავტორებმა თამამად მოგვანოდონ წერილები და მათ ჟურნალი შესაბამისად მოათავსებს სათანადო რუბრიკის ქვეშ.

ქალბატონი თამარის შემოთავაზებებში არის ისეთი რუბრიკებიც, რომლებიც ცალკე არ გვაქვს გამოყოფილი, მაგრამ მასალის შემოსავლის მიხედვით შეიძლება გავხსნათ. ასეთებია, მაგალითად: „ბიბლიოფილი“, „ბუკინისტი“, „საოჯახო ბიბლიოთეკა“, „წარწერა ნიგნზე“, „ნიგნი ქართულ პოეზიაში“, „ქინდლი – მომავლის ნიგნი“ და სხვ. ბევრი რამ, რაც ამ რუბრიკების შესაფერისია, სხვადასხვა რუბრიკებშია მიმოფანტული. საერთოდ, რუბრიკები იქმნება შემოსული მასალის მიხედვით და არა – პირიქით.

ამიტომაც ვთხოვთ ყველა მსურველს, მოგანოდონ საინტერესო მასალები და თუ რაიმე სიახლეს შემოგვთავაზებენ ჩვენი ჟურნალის გაცხადებულ პროგრამის ფარგლებში, დიდი მადლიერებით მივიღებთ.

გვინდა სწორედ დიდი მადლობა მოგახსენოთ თამარ შოშიაშვილს ჩვენთან ამგვარი კონტაქტისათვის და მოველით მისგან თამამ ინიციატივებს.

გურამ თაყნიაშვილი

ლ. ბ. ხავკინას წვლილი ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებაში

ლ. ბ. ხავკინას სახელი საქართველოს საბიბლიოთეკო პრაქტიკაში და ქართულ ბიბლიოთეკათმცოდნეობაში უკავშირდება საავტორო ცხრილებს (ე. წ. ხავკინას ცხრილები, საავტორო ტაბულები); სინამდვილეში მისმა შრომებმა განუზომელი როლი შეასრულა რუსეთში საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საფუძვლების მეცნიერულ დონეზე ჩამოყალიბებაში.

ლ. ბ. ხავკინა დაიბადა 1871 წელს ქ. ხარკოვში. აქვე დაასრულა ქალთა გიმნაზია. 1888–1890 წ. ლ. ბ. ხავკინა ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას ხ. აღჩევსკაიას მიერ დაარსებულ საკვირაო სკოლაში. 1891 წელს იგი აქტიურად მონაწილეობდა ხარკოვში პირველი უფასო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებაში. ამავე ბიბლიოთეკაში იგი მუშაობდა 1918 წლამდე. 1898–1901 წ. წ. ხავკინა სწავლობდა საბიბლიოთეკო საქმეს საზღვარგარეთის ქვეყნებში. კერძოდ, ბერლინის უნივერსიტეტში იგი ეცნობოდა ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარებას ბერლინში. 1900 წელს ხავკინა ახლოს გაეცნო აშშ-ს საბიბლიოთეკო ასოციაციის საქმიანობას და მისი დამფუძნებლის მ. დუის იდეებს. პარალელურად ხავკინამ დაამთავრა ხარკოვის მუსიკალური სასწავლებელი. მუსიკალურმა განათლებამ მას საშუალება მისცა 1903 წელს რუსეთის საბიბლიოთეკო პრაქტიკაში პირველად გაეხსნა მუსიკალური ლიტერატურის განყოფილებები საჯარო ბიბლიოთეკებთან.

ლ. ბ. ხავკინას პირველი ბიბლიოთეკათმცოდნეობითი ნაშრომი – „ბიბლიოთეკები, მათი ორგანიზაცია და ტექნიკა“ გამოქვეყნდა 1904 წელს. ამ ნაშრომმა დიდი აღიარება მოუპოვა მის ავტორს რუსეთის საბიბლიოთეკო წრეებში. 1900–1910 წ. წ. ხავკინა აქტიურად



თანამშრომლობდა რუსულ ჟურნალებში: „Русская школа“, „Просвещение“, „Вестник воспитания“ და სხვ., რომლებშიც აქვეყნებდა სტატიებს წიგნისა და ბიბლიოთეკების დანიშნულების შესახებ; აქვე მან მეთოდოლოგიურ დონეზე ჩამოაყალიბა ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურებისა და რუსეთში საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის ორგანიზაციული საკითხები. 1911 წელს გამოიცა ხავკინას წიგნი „Руководство для небольших библиотек“; ეს წიგნი 1930 წლამდე ექვსჯერ გამოიცა. აღნიშნული ნაშრომის საფუძველზე მისი ავტორი აირჩიეს რუსეთის ბიბლიოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრად.

1907 წელს ხავკინამ გამოსცა ორი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი „ინდოეთი“ და „როგორ ისწავლეს ადამიანებმა წიგნების წერა და კითხვა“. 1913 წელს ხავკინას პროექტით და ინიციატივით შანიავსკის სახალხო უნივერსიტეტთან გაიხსნა ბიბლიოთეკართა გადამზადების პირველი კურსები რუსეთში. 1914 წლიდან ხავკინა აშშ-სა და იაპონიას ეცნობა. აშშ-ს საბიბლიოთეკო პრაქტიკის მოწინავე გამოცდილების შესახებ მან გამოსცა ნაშრომი „ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკა“. ამავე პერიოდში იგი ახლოს გაეცნო გერმანიის, პოლანდიის, სკანდინავიის ქვეყნების, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და ევროპის სხვა ქვეყნების მოწინავე საბიბლიოთეკო პრაქტიკას. ხავკინა არჩეული იყო ჩეხოსლოვაკიისა და აშშ-ს საბიბლიოთეკო ასოციაციების ნამდვილ წევრად. სწორედ აშშ-ს საბიბლიოთეკო პრაქტიკის ახლო გაცნობის შემდეგ შექმნა მან კეტერის საავტორო ცხრილები რუსეთის ბიბლიოთეკებისათვის“. ცხრილები პირველად გამოიცა 1916 წელს. ცხრილი წარმატებით გამოიყენებოდა თაროებზე წიგნებისა და ანბანურ



ლ. ბ. ხაჩიკიანა თბილისში, 1928 წ.

კატალოგებში ბარათების განლაგებისათვის. ეს ცხრილები დღესაც გამოიყენება და მოიხსენიება როგორც „ხაჩიკიანის ცხრილები“. 1916 წელს ხაჩიკიანა აქტიურად მონაწილეობდა რუსეთში საბიბლიოთეკო საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობის მოწვევის საქმეში. ყრილობაზე იგი აირჩიეს ამ საზოგადოების მმართველი ორგანოს თავმჯდომარედ. საზოგადოებას იგი ხელმძღვანელობდა 1921 წლამდე. 1918 წელს ხაჩიკიანამ გამოსცა ნაშრომი „ნიგნი და ბიბლიოთეკა“. ამ ნაშრომში ავტორმა ნათლად ჩამოაყალიბა ნიგნისა და ბიბლიოთეკის როლი ახალი იდეოლოგიური ცხოვრების პირობებში. ავტორის აზრით, ბიბლიოთეკა საფუძველს უყრის ზოგადასაკაცობრიო კულტურას, ამიტომ მასზე სახელმწიფო პოლიტიკის გატარება აკნინებს მის ამოცანებსა და ფუნქციებს, აძლევს მის საქმიანობას ტენდენციურ და ცალმხრივ ხასიათს. ასეთ შემთხვევაში ბიბლიოთეკა გვევლინება პარტიული საქმიანობის იარაღად, რომელიც უცხო უნდა იყოს საჯარო ბიბლიოთეკისათვის. ასეთი მიდგომების გამო ხაჩიკიანას აკრიტიკებდა ნ. კ. კრუჰსკაია. ახასიათებდა რა ნაშრომს „ნიგნი და ბიბლიოთეკა“, იგი ნიგნის ღირსებებთან ერთად, მიაჩნებდა მის ტენდენციურობაზე. ნ. კ. კრუჰსკაია წერდა: „ნაშრომი გამსჭვალულია საბჭოთა ხელისუფლებისადმი არაკეთილმოსურნეობით. ახასიათებს „კადეტური გადახრა“. ცხადია, ხაჩიკიანას შეხედულებები ეფუძნებოდა მოწინავე საზღვარგარეთის ქვეყნების საბიბლიოთეკო პოლიტიკას.

1918 წელს დაიხურა შანიავსკის სახალხო უნივერსიტეტი; შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ საბიბლიოთეკო განყოფილება ხაჩიკიანას ხელმძღვანელობით. შემდგომში ეს განყოფილება საფუძველად დაედო მოსკოვის საბიბლიოთეკო ინსტიტუტს (თანამედროვე მოსკოვის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი). იმავე დროს ხაჩიკიანა ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის ინსტიტუტს, სადაც შემდგომში ჩამოყალიბდა უნიკალური ბიბლიოთეკების მუზეუმი. 1928 წლიდან ხაჩიკიანა წყვეტს აქტიურ საბიბლიოთეკო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და ეწევა კონსულტაციურ მუშაობას. იგი შესანიშნავად ფლობდა ათამდე უცხო ენას. 1943 წელს გამოსცა ნაშრომი „შეერთებული კატალოგები“.

ლ. ბ. ხაჩიკიანა იყო პირველი დოქტორი ქალი ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში. დიდი სამამულო ომის პერიოდში მას მოსკოვი არ მიუტოვებია, ქმნიდა სპეციალურ ნაშრომებს. 1945 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. მან შექმნა და გამოსცა 75-ზე მეტი ნაშრომი ნიგნის სახით, უამრავი სტატია, რეცენზია და ანოტაცია საბიბლიოთეკო დარგში გამოცემული ნაშრომების შესახებ. დიდი სამამულო ომის შემდეგ ხაჩიკიანა დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით, მას მიენიჭა რსფსრ-ს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1949 წელს - პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტო-

რის ხარისხი ნაშრომისათვის „შეერთებული კატალოგები“. ლ. ბ. ხავკინა გარდაიცვალა 1949 წელს.

ქართული საბიბლიოთეკო საზოგადოება ახლოს იცნობდა ლ. ბ. ხავკინას ნაშრომებს. მისი ცხრილების მეთოდის მიხედვით შედგენილი „კეტერის საავტორო ცხრილები“ ქართულ ენაზე გამოიცა 1926 წელს. 1936 წელს დაიბეჭდა „ქართული სამნიშნა საავტორო ტაბულები“; ხოლო 1941 წელს „ორნიშნა საავტორო ცხრილები“. მეორედ სამნიშნა საავტორო ცხრილები გამოიცა 1954 წელს.

ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი აზრის განვითარებაში უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი ნაშრომის „ბიბლიოთეკის სახელმძღვანელოს“ ქართულ ენაზე თარგმანსა და გამოცემას. (თბ., 1930). თარგმანი შესრულებულია ნიგნის მე-5 რუსული გამოცემიდან. ნიგნში მეთოდოლოგიურ დონეზე განხილულია ბიბლიოთეკის მუშაობის ყველა ასპექტი და მიმართულება, განსაკუთრებით საყურადღებოა მკითხველებთან მუშაობის მეთოდები და ფორმები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავს პრაქტიკული ღირებულება. 1928 წელს ხავკინა თბილისის საბიბლიოთეკო საზოგადოების მოწვევით იმყოფებოდა საქართველოში. თბილისში მან ლექციები წაიკითხა საბიბლიოთეკო მუშაობის საკითხებზე, კონსულტაციები გამართა თბილისში იმ დროს მოქმედი სკოლისგარეშე განათლების სახლის (დაიხურა 1929 წელს)

მუშაკებთან, სადაც იმ დროს ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტი ივანე ციციშვილის ხელმძღვანელობით. ლ. ბ. ხავკინას თბილისში ჩამოსვლის შესახებ ვრცელი ინფორმაცია გამოაქვეყნა ჟურნალმა „განათლების მუშაკმა“ (№8, 1928).

ლ. ბ. ხავკინას ძირითადი ნაშრომები:

Книга и библиотека. – М., 1918;
 Руководство для небольших библиотек. – М., 1925;
 Нью-Йоркская публичная библиотека. – М., 1914;
 Авторские таблицы Кеттера.– М., 1918;
 Библиотеки, их организация и техника – М., 1911;
 Трехзначные авторские таблицы по методике кеттера, согласованные с двухзначными. – М – Л. – 1932; 1956, 1961;
 Эластичные таблицы авторских знаков для кириллицы и латиницы. – М., 1993;
 ბიბლიოთეკის სახელმძღვანელო (თარგმ. მე-5 რუსული გამოცემიდან). – თბ., 1930;
 ლ. ბ. ხავკინას შესახებ დანვრილებითაა მოცემული ნიგნში:
 Григорьев, Ю, В. Л.Б. Хавкина: Монография. – М., 1973.

ინფორმაცია

**წრფელი გულით ნათქვამი
სტრიქონები**

ჩვენი დარგის უხუცესმა ოთარ ოსაძემ გამოაქვეყნა ერთი პატარა ნიგნი, რომელიც განკუთვნილია ავტორის ახლობლებისა და ამხანაგ-მეგობრებისათვის, მაგრამ თავისი თემატიკით, გულწრფელი აღიარებებით და პოეტური სულისკვეთებით, უდავოდ მრავალ მკითხველს დააინტერესებს (ოსაძე ოთარ, მინიატურული მოზაიკა: II; (2009–2012). – თბ., 2012. – 77 გვ.). ნიგნში მცირე ზომის ლექსებთან ერთად, შესულია ავტორისეული ნააზრევები და რამდენიმე მოგონება – ადრე გამოქვეყნებული თუ ახალი; ბოლოში. დაერთვის ავტორის ვაჟის – ან განსვენებული გივი ოსაძის აქამდე გაუმხელელი ლექსები, რომლებიც პირველად ქვეყნდება.

ოთარ ოსაძე

მინიატურული
მოზაიკა


წიგნი საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებისათვის

საბიბლიოთეკო საზოგადოება დიდხანს ელოდა ამ წიგნის ქართულ ენაზე გამოცემას – IFLA/UNESCO-ს სახელმძღვანელო მითითებანი საჯარო ბიბლიოთეკებში მომსახურების განვითარების შესახებ / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. – თბ., 2012. – 141 გვ. სქემებით.

წიგნი გამოცემულია საბიბლიოთეკო ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციის მიერ 2001 წელს, და მხოლოდ 2012 წელს მოხერხდა მისი თარგმნა და ქართულ ენაზე გამოქვეყნება. თარგმანი ეკუთვნის მზია ხოსიტაშვილს.

წიგნს წინ უძღვის წინასიტყვაობა, რომლითაც ვგებულობთ, რომ პუბლიკაციის მომზადებამდე ტექსტი თავდაპირველად განხილულ იქნა 1998 წელს სპეციალურ სემინარზე. მუშა პროექტები განხილული იყო ამსტერდამსა, ბანკოგსა და იერუსალიმში ჩატარებულ „იფლას“ კონფერენციებზე, ასევე „იფლას“ საჯარო ბიბლიოთეკების სექციის კომიტეტის, „იფლას“ კონფერენციებზე, ასევე „იფლას“ საჯარო ბიბლიოთეკების სექციის კომიტეტის, „იფლას“ ფართო წრის მომსახურე ბიბლიოთეკების მე-3 განყოფილების საკოორდინაციო საბჭოს და „იფლას“ პროფესიული საბჭოს წარმომადგენლების მიერ, ასევე მის შედგენასა და რეკომენდაციების შემუშავებაში მონაწილეობდა სპეციალისტთა ფართო წრე.

ძირითად ტექსტს წამძღვარებული აქვს შესავალი, რასაც თან მოსდევს თემატურად დაჯგუფებული მასალა თავების მიხედვით: 1. საჯარო ბიბლიოთეკების როლი და მიზანი; 2. იურიდი-



ული და ფინანსური ასპექტები; 3. მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება; 4. ფონდების დაკომპლექტება; 5. ადამიანური რესურსები; 6. საჯარო ბიბლიოთეკის მენეჯმენტი და მარკეტინგი; წიგნს ბოლოში დართული აქვს დანართები: 1. IFLA/UNESCO – საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი (ადრე გამოცემულია ქართულად); 2. ფინეთის კანონი ბიბლიოთეკების შესახებ; 3. ბუკინჰემშირის საგრაფოს ბიბლიოთეკა; 4. ნორმატივები საბიბლიოთეკო შენობებისათვის – ონტარიო (კანადა) და ბარსელონა (ესპანეთი).

სახელმძღვანელოს აგრეთვე ბოლოს ერთვის ე. წ. „რჩეული ბიბლიოგრაფია“, რომელიც მრავალ ინგლისურენოვან ლიტერატურას შეიცავს.

როგორც წინასიტყვაობაშია ნათქვამი, „ამ პუბლიკაციის მიმართ გამოვლენილი ინტერესი იმას მოწმობს, რომ საჯარო ბიბლიოთეკებს ესაჭიროებათ ახალი სახელმძღვანელო, რომელიც გაითვალისწინებს ცვლილებებს იმ ინფორმაციულ სივრცეში, რომელშიც ისინი ამჟამად მუშაობენ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოს მითითებები გამოადგებათ საჯარო ბიბლიოთეკებს მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე XXI საუკუნის დასაწყისში და რომ მას შეუძლია დაეხმაროს ბიბლიოთეკარებს, წარმატებით გაუმკლავდნენ იმ რთულ პრობლემებს, რომლებსაც ისინი ყოველდღიურად აწყდებიან. ჩენ სწორედ ამ იმედით ვთავაზობთ წინამდებარე პუბლიკაციას ყველას, ვისაც აქვს კავშირი საჯარო ბიბლიოთეკების განვითარებასთან მთელ მსოფლიოში.

დაუღალავი შრომის შედეგი



2013 წლის 29 იანვარს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტსა (ხელმძღვანელი პროფ. რ. ქურდაძე)

და მასთან არსებულ ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში (ხელმძღვანელი პროფ. პ. ცხადია) გაიმართა პროფ. ალექსანდრე ლლონტის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა.

ალექსანდრე ლლონტი განეკუთვნება იმ ღირსეულ პლეადას, რომელიც ქართველი უნივერსიტეტის დამაარსებლების მომდევნო თაობას წარმოადგენს. ამ ჯგუფმა დიდი ღვაწლი გასწია მეცნიერუ-

ლი აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარების საქმეში. მათ შორის ალექსანდრე ლლონტი ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწეა. ის აკადემიკოს აკაკი შანიძის მონაფე და შემდეგ მისი ერთგული კოლეგა იყო, დიდი ნიკო მარის მეცნიერული პრინციპებისა და პიროვნული ღირსების თავდადებული თავყვანისმცემელი. სწორედ მისი რეკომენდაციით ჩაირიცხა ასპირანტურაში. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა გორისა და ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ბოლოს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ნაყოფიერად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. შექმნილი აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი-მონოგრაფიები, სამეცნიერო თუ პუბლიცისტური სტატიები; მისი ღვაწლის შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა იქნა განხორციელებული.

მისი ნაშრომებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ 1964 წელს გამოქვეყნებული „ქართული ლექსიკოლოგია“, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოში ლექსიკოლოგია-ონომასტიკას. ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე სახელმძღვანელო „ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები“, ასევე ქართული საკუთარ სახელთა პირველი ლექსიკონი – „ქართული საკუთარი სახელები“, სერიებად გამოქვეყნებული „ონომასტიკური ძიებანი“, რომლისთვისაც ავტორმა სახელმწიფო პრემია მიიღო; „ქართული წინადადება“, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, „გურული ფოლკლორი“, „ქართული ნოველა“, „ქართული შაირები“, „ქართული ზღაპრები“, რომელიც თავის პატარა შვილიშვილებს მიუძღვნა, „ოსური ზღაპრები“ და სხვ.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი გასწია მან ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონის“ მოძიებასა და გამოცემაში.

პროფ. ალ. ლლონტის ნაშრომებმა თავის დროს დიდი ინტერესი გამოიწვია უცხოელ მეცნიერთა შორისაც. მან ნარუმლევი კვალი დატოვა ქართულ მეცნიერებაში.

საჯარო სხდომა, ფაქტობრივად, ორი მიმართულებით წარიმართა, ერთი – ეს იყო პროფ. ალექსანდრე ლლონტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი, მეორე – ქეთევან გოდერძიშვილის ახლახან გამოცემული წიგნის – „ქართული ანთროპონომიკის ძირითადი საკითხების“ წარდგენა, რაც

სწორედ ამ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. ქალბატონი ქეთევანი ალექსანდრე ლლონტის დიდი ოჯახის წევრია, მისი შვილიშვილების დედა, მნიშვნელოვანი შრომების მკვლევარი, და მან კეთილშობილურად გადაწყვიტა, მამამთილის ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, ამგვარი საჩუქარი ეძღვნა დიდებული წინაპრის ხსოვნისათვის. ამგვარი წიგნის გამოჩენამ საჯარო სხდომის მონაწილეთა შორის დიდი ინტერესი და კეთილგანწყობა გამოიწვია.

საჯარო სხდომაზე მეცნიერული მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები: ზურაბ ჭუმბურიძე, თედო უთურგაიძე, მარიკა ჯიქია.

დასასრულ ალექსანდრე ლლონტის შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ: პროფესორები: შ. ქურდაძე, მ. ბერიძე, თ. ხუფუნია, ო. ქაჯაია, ალ. ფოცხიშვილი, ალ. ლორია, ხ. პაჭკორია.

ქეთევან გოდერძიშვილის მიერ წარმოდგენილი წიგნი მონოგრაფიული ნაშრომია. შედგება ხუთი თავისა და პარაგრაფებისაგან, შეიცავს 450 გვერდს, ახლავს რეზიუმე და გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი სია. მასალის სირთულე და მრავალწახნაგოვნება მოითხოვდა ნაშრომის სერიოზულ განხილვა-დამუშავებას. პრეზენტაციის დროს ავტორის მიერ ითქვა, თუ რამდენად შეუწყვეს მას ხელი ნაშრომის გამოქვეყნებაში მისმა რეცენზენტებმა – პროფესორებმა: შუქია აფრიდონიძემ, დამანა მელიქიშვილმა და მარიკა ჯიქიამ. წიგნის რედაქტორებია პროფესორები ზურაბ

ჭუმბურიძე და პაატა ცხადაია.

ანოტაციაში ნათქვამია: „მონოგრაფია ეძღვნება ქართველური ანთროპონომიკის (მეცნიერება პირთა საკუთარი სახელების შესახებ) ძირითად საკითხებს, რომლებიც ეყრდნობა ქართულ მწერლობასა და რეალურ ყოფაში მოძიებულ მდიდარ ანთროპონიმურ მასალას. მისი ანალიზის საფუძველზე შესწავლილია ონომასტიკურ პროცესთა სხვადასხვა ასპექტი; გამოვლინდა სახელდების ზოგადი ტენდენციები; გამოიკვეთა არაერთი სიახლე როგორც თეორიული, ისე ტერმინოლოგიური თვალსაზრისით; ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია სტრუქტურული და სემანტიკური კლასიფიკაციები, თვალსაჩინოებისთვის – სქემები.

ვფიქრობთ, ნაშრომი დაინტერესებს სპეციალისტებს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებსა და მკითხველ საზოგადოებას“.

ქეთევან გოდერძიშვილი

ქართველური ანთროპონომიკის ძირითადი საკითხები

მრავალხრივ ინტერესთა ნიჟნით

ნიგნი, რომელიც გვინდა გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს, გამოირჩევა თავისი მრავალ-ნახნაგოვნებით, ავტორის ღრმა განცდებით, ემოციებით, ცხოვრებისეული დაკვირვებითა და მიგნებებით, აზრების გამოხატვის სისადავით, პოლიტიკური სითამამითა და პოეტურობით. ავტორს სათაურშივე გამოუხატავს ის სირთულეები, რომელთა შორის უწევს ცხოვრება – „საბედისწერო ლაბირინთებში“.

მისი ვინაობა კარგადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის – მაღალი პროფესიული ცოდნისა და დიდი გამოცდილების სპეციალისტი საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ დარგში – ქალბატონი გულნარა სტურუა, რამდენიმე ათეული წელია მუშაობს ჯერ უცხო ენების სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო რეფორმის შემდეგ ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

დიდხანს ხელმძღვანელობდა უცხო ენების უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, აქტიურად მონაწილეობდა ყურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ და იყო ამ ყურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. იგი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ყურნალის-

ტია, რომლის პუბლიცისტური შემოქმედება ყოველთვის მძაფრ, აქტუალურ და საყურადღებო საკითხებთან არის დაკავშირებული – იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული თუ უბრალო ყოფაცხოვრებითი.

გასული წლის დასასრულს (2012) „გლობალ-პრინტის“ გამომცემლობამ გამოაქვეყნა გ. სტურუას ნიგნი „საბედისწერო ლაბირინთებში“, რომელიც 562 გვერდს შეიცავს; რედაქტორია გურამ გოგიაშვილი. როგორც ავტორმა აღნიშნა ქალაქ თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში გამართულ ნიგნის წარდგენაზე, რედაქტორმა მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა მას მასალის გამოსაცემად გამზადებაში. ნიგ-

ნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული და მიმზიდველობით გამოირჩევა, რაც თავისთავად ხელს უწყობს ამ ნიგნის მიმართ ინტერესის აღძვრას. წარდგენის დროს დამსწრეთა შორის მან დიდი ინტერესი გამოიწვია და ერთხმად იქნა აღიარებული მისი ღირსებები.

გულნარა სტურუა არაერთი ნიგნისა და მრავალი სტატიის ავტორია. ის არა მარტო შემოქმედებითი და პროფესიონალური თვალსაზრისითაა საყურადღებო ადამიანი, არამედ პიროვნული თავისებურებებით. აღნიშნული ნიგნის წინასიტყვაობაში ის გულწრფელად აფასებს თავის შესაძლებლობებსა და თვისებებს. ამ თვალსაზრისით, შეიძლება მისივე სიტყვები მოვიშველიოთ: „მე ერთი იმათგანი ვარ, რომელიც ადვილად ვექცევი შთაბეჭდილებების ქვეშ, ემოციებით ვივსები და ყოველივე ეს სამოქმედოდ მიწვევს“. ეს წინასიტყვაობა, შეიძლება ითქვას, მის სულიერ ავტობიოგრაფიულ წარმოადგენს.

ნიგნი შეიძლება ოთხ ძირითად შემდაგენლად დავყოთ – პირადი ცხოვრების ასახვა დღიურების სახით, ნარკვევები, პუბლიცისტური წერილები და მხატვრული შემოქმედება, ოფიციალურად ნიგნი სამ ნაწილდაა დაყოფილი: ერთი წარმოადგენს ნარკვევასა და პუბლიცისტურ წერილებს, მეორე – ლექსებს („ჩემი ბილიკი“), მესამე – „ორი ზღაპარი“.

ფაქტობრივად, ეს გამოცემა მრავალხანრობრივი კრებულია, რომელშიც ავტორის მიერ თავმოყრილია მისი შემოქმედების ძირითადი, მნიშვნელოვანი ნიმუშები, რომელთაგან დიდი ნაწილი ადრეა გამოქვეყნებული, ზოგიც ახალია.

ნარკვევი „ქართული სუფრა“ შედეგია ავტორის დაკვირვების, მისი პირადი გამოცდილებისა და შესაბამისი ლიტერატურის ფართე სპექტრის გაცნობისა, რომელიც მოცემულია



ნაშრომის ბოლოს (64 დასახელება). მოცემული მასალა შედგება პარაგრაფებისაგან, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეულ თემატიკას – ქართული სუფრის შექმნას, ჭურჭელს ქართულ სუფრაზე, ავეჯსა და მონყობილობას, სასმელ–საჭმელს, ეკონომიურობასა და მომჭირვეობის საკითხს. სუფრის ეთიკასა და კულტურას, სუფრის გაძღოლასა (თამადა) და მოლხენას.

ამ მონაკვეთს მოსდევს ამონაწერები ძველი დღიურებიდან, რომლებიც მოიცავს 1992–1993 წლებს. ამის შემდეგ იწყება პუბლიცისტური წერილები. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულ თემატიკას მოიცავენ: მოგონებებს, პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ანალიზს, საზოგადოებრივ მოვლენათა ასახვას, არსებული ვითარების შეფასებას, გასაუბრებას მკითხველებთან, ზნეობისა და მორალის საკითხებს, კულტურას, ეროვნების დაცვას, მოქალაქეობრიობას, ხელისუფლების კრიტიკას, ახალ ტექნოლოგიებს, გამოჩენილ მოღვაწეთა და მწერალთა ცხოვრებას, უკეთესი გზებისა და გამოსავლის ძიებას, საკუთარი განცდებისა და ფიქრების, პროფესიული ინტერესებისა და სხვა მნიშვნელოვანი თემების დამუშავება..

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პოეზიას – ლექსებს, რომლებიც ავტორს ერთი რუბრიკის ქვეშ გაუერთიანებია – „ჩემი ბილიკი“. ყველასათვის ცნობილია, ვინც დაინტერესებულია ქალბატონ გულნარა სტურუას ლირიკით, რაოდენ მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით არის აღსავსე პოეტი, სამშობლოს სიყვარული – მისი ყველაზე დიდი გრძნობაა, საქართველოს ვერაფერი შეუცვლის მას. თითქოს ყველაფერია კონცენტრირებული მის ერთ პატარა ფრაზაში:

„ახლა მივხვდი, რა ყოფილა...

ჩემო თბილო აკვნის ძირო,

ამ ევროპულ მიწის პირზე,

მე დავეძებ ქართულ სიტბოს“

(„შენი ფრთების ფრინველი ვარ“)

პატრიოტული მოტივები უხვადაა მიმოფანტული მის ლირიკულ ნაწარმოებებში. არც სხვა მოტივებია გამონაკლისი – პოეტის ფიქრისა და ნუხილის საგანია უღმობელი დრო. ამიტომაც რამდენიმე ლექსი აქვს მიძღვნილი დროზე და მას სხვადასხვა ასპექტით იხილავს. მთავარი მაინც ჩვენი სიფხიზლისა და გამოღვიძების დროა, რაზედაც გულანთებით მოგვიწოდებს:

„გამოფხიზლდით, დრო წასულა

მორჩილება – მონობის“.

(„დრო“)

აქ შეხვდებით ჰიმნს ჩვენი ცის, მიწისა და წყლის („ცა, მიწა, წყალი“).

არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცეს ისეთ თემებს, როგორცაა ღირსება, ზნეობა, ბედისწერა, მშობლიური ენის სიყვარული, ფიქრები და ნუხილი, ბუნების მოვლენები, ყოფითი სურათები, სევდა და ნაღველი, იღბალი და ბედისწერა, გლოვა და ზარი, მიძღვნა სხვადასხვა პირისადმი და სხვ. პოეტისათვის განსაკუთრებული კრძალვის საგანია სიყვარული. ამ განცდას ავტორი ხშირად ბუნების მოვლენებში პოულობს თითქოს. არასოდეს უხეში პირდაპირობით არ გამოთქვამს მას, საოცარი სიფაქტიზით ეხება და, როგორც ქართველ ქალს შეეფერება, არასოდეს არ ახდენს მის აფიშირებას. აქ უნდა იგრძნო, შეიცნო, რას გამოხატავს მისი მღელვარება და ფიქრები:

„ეს გაზაფხული, ვარდებჩაწნული,
იღუმალ გრძნობის არის დამნთები“. („გაზაფხული“)

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია უზადრო უშუალობა, როდესაც პოეტი ამაზე ლაპარაკობს, ნათლად იგრძნობა მორიდებულობა, ქალური კდემამოსილება და ღირსების დაცვა:

„თუ აღარ გენდე მაშინ,

ვერ შეგითანხმე სიტყვა,

ახლა მზად ვარ, ფრთაგაშლილს,

შენთან მოფრენა მიწა“ („შენთან მოფრენა მიწა“)

ბევრი ლექსი ელეგიური ხასიათისაა, რაც მეტყველებს ქ–ნი გულნარას ნუხილიან ფიქრებს სამშობლოზე, ახალგაზრდებზე, მეგობრებზე, განვლილ დროსა და წუთისოფლის სიავეზე. მიუხედავად ამისა, გულნარა სტურუას პოეზია აღსავსეა ოპტიმიზმით, რწმენით, მომავლის იმედით. მისი ყველა ლექსი ამღერებული ფიქრია, გამოირჩევა სილალით, მუსიკალურობით, პოეტური მეტყველებით, განცდათა სიღრმით, რაც უეჭველად დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მოგვრის მკითხველს. ასევე ინტერესებით წაიკითხავენ ლექსებს პატარებიც, რომელთათვის ავტორს ცალკე გამოუყვია ლექსების ერთი წყება და ორი მშვენიერი ზღაპარი.

იმედია, ჩვენი მკითხველები უეჭველად დაინტერესდებიან ამ დიდებული გამოცემით.

დავით გიბინეიშვილი

„ფავორიტი ქალის“ პრემიერა პარიზის ოპერაში



პარიზში სულ ცოტა სამი სრულფასოვნად მოქმედი საოპერო თეატრია, რომელიც ყოველ სეზონზე წარმოადგენს ახალ დადგმებს. პომპეზური და ცნობილი „ოპერა დე პარის“ ორივე თეატრის („გარნიეს“ და „ბასტილიის“) გარდა არის ერთი პატარა თეატრიც ელისეის მინდვრებზე (Theatre des Champs Elysees). წელს ბაროკო ოპერების გარდა, ამ თეატრში დასახული იყო რამდენიმე პრემიერა, რომელთა შორის საინტერესოდ მივიჩნე დონიცეტის „ფავორიტი ქალი/La Favorite“, რაზედაც კიდევ მივიღე აკრედიტაცია. ოპერამ, რომელიც დონიცეტიმ საგანგებოდ პარიზისთვის დაწერა, დიდი ტრიუმფით ჩაიარა 1840 წლის დეკემბერში. თავდაპირველად დონიცეტის სხვა სიუჟეტი და ოპერის სხვა სახელწოდება ჰქონდა შერჩეული პარიზის სცენისათვის, მაგრამ მთავარ როლში იმ დროისათვის ცნობილი პრიმადონა მეცო-სოპრანოს როზინა შტოლცის შეთავაზებამ კომპოზიტორის გეგმები შეცვალა და საბოლოოდ ოპერამ სახელწოდებით „ფავორიტი ქალი“ იხილა სცენა. XIX საუკუნის მიწურულს ოპერა პარიზში ხუთასზე მეტჯერ შედგა. ამჟამად ოპერა თავისი იტალიური ვერსიით (რომელიც ჩახლართული სიუჟეტური ხაზით საგრძნობლად განსხვავდება უფრო გამართული ფრანგული ვარიანტისაგან) არის ცნობილი და იშვიათად იდგმება, მაგრამ მუდამ ინვესს ინტერესს, რადგან მიეკუთვნება კომპოზიტორის შედევრებს.

პარიზის სცენაზე ნახვამდე და მოსმენამდე ოპერა ჩანაწერებში მქონდა მოსმენილი, როგორც იტალიური ვერსიები, ასევე ერთი ფრანგული ვერსიაც — ვესელინა კაზაროვასა და რამონ ვარგასის შესრულებით. მინდა აღვნიშნო, რომ ფერნანდოს არია ოპერის მეოთხე აქტიდან „Spirto gentil“ წარმოადგენს ყველა ცნობილი ტენორის რეპერტუარის აუცილებელ ნაწილს.

შვიდ თებერვალს ამ ოპერის ფრანგულენოვანი ვერსიის პრემიერა იყო დაგეგმილი თეატრში

„ელისეის მინდვრებზე“. მას ფრანგული საზოგადოება მოუთმენლად ელოდა. გამოცხადებულ შემსრულებელთა სიაში მეტად უცნობი გვარები შევნიშნე, მაგრამ ეს ოპერა იმდენად გამორჩეული იყო ჩემთვის, რომ მისი, თან სრული ფრანგულენოვანი ვერსიის მოსმენისაგან უარს ვერ ვიტყვოდი. ამ სპექტაკლისათვის საგულდაგულოდ ორი ბუკლეტი იყო მომზადებული: ერთი ოპერაზე და შემსრულებლებზე ინფორმაციით და სრული ფრანგული ლიბრეტოთი. მეორე კი შედგებოდა მხოლოდ შავ-თეთრი ფოტოებისაგან, რომელზედაც აღბეჭდილი იყო ოპერის რეპეტიციების სცენები და მომზადების პროცესი. იმ დღეს ოპერის ფოიეში განსაკუთრებული მოძრაობა იგრძნობოდა, პრეს-ცენტრის თანამშრომლებიც იყვნენ, რომლებიც გამომეცნობენ და პირადად მთხოვეს რეცენზია აუცილებლად მიმეწოდებინა მათთვის.

ოპერის სიუჟეტი XIX საუკუნის რომანტიკული დრამის შესატყვისია: მოქმედება კასტილიაში მიმდინარეობს, ეკლესიის ახალგაზრდა მორჩილი ფერნანდი უარს ამბობს აღიკვეცოს ბერად, რადგან უყვარს უცნობი ქალბატონი. ეს უკანასკნელი საპასუხოდ ასევე აღივსება გრძნობებით მის მიმართ, მაგრამ რადგან იგი კასტილიის მეფის ალფონს XI-ს ფავორიტი ქალია, ვერ ამჟღავნებს თავის სიყვარულს. ფერნანდს უცნობი მანდილოსნის პროტეჟირების შედეგად მიანიჭებენ ოფიცრის ჩინს და იგი სიმამაცით თავს გამოიჩენს სამხედრო მანევრებში.

პარალელურად სამეფო კარზე დაძაბულობა — პაპი აპირებს გაკიცხოს მეფის არალეგალური სიყვარული, ამიტომ თავისი წარგზავნილის (ბალთაზარი) მეშვეობით ცდილობს შეაწყვეტინოს ალფონსს დანაშაულებრივი კავშირი. მეფე უარზეა.

ბრძოლებიდან დაბრუნებულ ფერნანდს მეფე ჰპირდება ნებისმიერ ჯილდოს, და შეეყვარებული, რომელმაც არ იცის ლეონორას ნამდვილი ადგილი მეფის კარზე, თავგანწირვით ითხოვს მის ხელს. მეფეს ეძლევა საშუალება გაანელოს



პაპთან შექმნილი დაძაბულობა და თანხმდება ამ ქორწინებას. მიდის მზადება ჯვრისწერისათვის, ფერნანდი შეხვდება ბალთაზარს, რომელიც მეფის პასუხის მოლოდინში დარჩა სამეფო კარზე. სამეფო კარი ჭორებითა და ქილიკით არის დაკავებული, ფერნანდი მხოლოდ ბოლო მომენტში გაიგებს საშინელ სიმართლეს, განრისხებული იცილებს კარის მიერ ბოძებულ ტიტულის ნიშნებს და ბალთაზართან ერთად უბრუნდება მონასტერს. ბოლო აქტში, რომელიც წარმოადგენს ბელ-კანტოს სტილის საოპერო შედეგს, მოქმედება მონასტერში გადადის. ფერნანდი ემზადება აღკვეცისათვის, მაგრამ ამ დროს, ჯერ კიდევ გრძნობებით შეპყრობილი, ახალგაზრდა ბერის ტანისამოსში გადაცმული ლეონორა მოახერხებს შეხვდეს ფერნანდს და თხოვს მას პატიებას. ფერნანდს უჩნდება იმედის ნაპერწკალი, რომ მათი მომავალი შესაძლებელია, მაგრამ ამაოდ. დასუსტებული ლეონორა დალევს სულს ფერნანდის ხელებში. ფერნანდი საბოლოოდ იკეტება მონასტერში.

სპექტაკლში შემდეგი მომღერლები იყვნენ დაკავებულნი: ელის ქუთი (ლეონორა), მარკ ლაო (ფერნანდი), ლუდოვიკ ტეზიე (მეფე ალფონსი), კარლო კოლომბარა (ბალთაზარი) და ჟუდიო გოთიე (ინესი). ბარიტონი ტეზიესა და ბანი კოლომბარას გარდა, სხვა გვარები ჩემთვის უცნობი იყო. საფრანგეთის ნაციონალურ ორკესტრსა და საფრანგეთის რადიოს გუნდს ხელმძღვანელობდა ცნობილი იტალიელი დირიჟორი პაოლო არივაბენი. სპექტაკლი დაგვიანებით დაიწყო. საორკესტრო სათავესოდან ორკესტრი ისმოდა ყრუდ და ძალზე დახშულად. ტემპი, რომელიც დირიჟორმა წარმოადგინა, არ იყო სწრაფი, რაც პირველ რიგში ასახავდა მის კონცეფციას რომანტიკული დრამის მიმართ და, მეორე მხრივ, მომღერლების ვოკალური ხარვეზების დაფარვას უწყობდა ხელს. ფრანგულენოვანი ოპერის ამგვარი შესრულება, ჩემი აზრით, გამართლებულიც იყო. დასაწყისიდანვე გამოჩნდა ფერნანდი და ბალთაზარი. აუდიტორია მათ შედარებით გულცივად შეხვდა და ეს იმაზეც მეტყველებდა, რომ მომღერლები ჯერ „გახურებულნი“ არ იყვნენ. ტენორ მარკ ლაოს არ ჰქონდა ცუდი ტემპრი, რომელიც თანაბარი იყო მთელ რეგისტრში, თუმცა აშკარად არა-იტალიური ელფერი დაჰკრავდა, და ეს ფრანგულ ოპერას მეტად შეეფერებოდა. მისი საშუალო სიძლიერისა და მოყრუებულ ხმას მაინც აკლდა კანტილენა და ის რომანტიკული გამოხატვა, რაც დონიცეტის ოპერაში აუცილებელია (მაგალითად, არიაში „Qui, ta voix m'inspire“). კოლომბარა 'საშტატო' ბანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც არც თუ ურიგოდ მოერგო როლს. ინესის ულამაზესი სცენა პირველ აქტში (Silence! Silence!) სრულიად ჩავარდა. ჟუდიო გოთიეს ხმა

და ტექნიკა შორს იყო ბელ-კანტოს სტილისაგან, ამავე დროს, ოპერისათვის შეუსაბამო და აბსურდული ცეკვები (დამდგმელი – სოფი ტელიე) გულცივად მიიღო მაყურებელმა. ლეონორას პირველმა გამოსვლამ (დუეტი ფერნანდთან) არც ისე გამამხნევა, მაგრამ ელის ქუთის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მესამე აქტიდან (მისი პერსონაჟის ცენტრალური არია „O mon Fernand!“) ის გაცილებით უკეთესი იყო, როლს შესძინა დიდი არტისტიზმი და დრამატულობა (არა მხოლოდ თამაშში, არამედ ტემპრალურ გამოსახვაში) და მისმა ინტერპრეტაციამ, მსმენელებთან ერთად, მეც საბოლოოდ მომხიბლა. ეს ის იშვიათი შესრულება იყო, როდესაც მომღერალი სრულიად გარდაისახა მის პერსონაჟში. მას ღრმა მეცო-სოპრანოს (კაზაროვას მსგავსი) ტემპრი ჰქონდა, საჭიროებისას ექსპრესიას მატებდა, რითაც მისი ხმა მტკიცე და ჟღერადი ხდებოდა.

თავიდანვე კარგად ჟღერდა ლუდოვიკ ტეზიეს დიდი და ლამაზი ბარიტონალური ხმა. საოპერო სცენაზე მამაკაცის ხმა, ასეთი სიდიდის, მე ჯერ არ მომისმენია. მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მისი ხმის სიძლიერეს საზღვარი არ გააჩნდა. მაშინვე გავავლე პარალელი ეტორე ბასტიანინის ხვერდოვან ხმასთან და მეფე ალფონსის შთაბეჭდავ ინტერპრეტაციასთან (სტუდია Decca, 1955 წელი). მეორე აქტში (არია „Léonor, viens, j'abandonne“) იგი აშკარად ბაძავდა სახელგანთქმულ იტალიელ ბარიტონს. რატომღაც არიის მეორე, სწრაფი ნაწილი (კაბალეტა „Léonor, mon amour brave“) მან იმღერა მხოლოდ ერთხელ და არ გაიმეორა. მას წკრიალა და მკვრივი ტემპრი ჰქონდა. აქვე უნდა ითქვას, რომ შემდგომმა აქტებმა უკვე ნათლად აჩვენა მისი დაშორება ბასტიანინის ინტერპრეტაციასთან: ტეზიეს აკლდა ზუსტად ის დიდებულება და არისტოკრატიზმი, რაც დიდ იტალიელ ბარიტონს ახასიათებდა. თუმცა მისეული ინტერპრეტაცია და ვოკალური ნიჭი ამით არ დაკნინებულა და მესამე აქტი, თავისი დრამატული დაძაბულობით, კარგი გამოვიდა. აღსანიშნავია ტრიო (Fernand! Devant lui paraître infâme! / Pour tant d'amour) და გრანდიოზული ფინალი.

რაც შეეხება დადგმას, კოსტიუმები იყო ეპოქის შესაბამისად, თუმცა დეკორაციები მწირე და უფრო თანამედროვედ გამოიყურებოდა. საბალეტო სცენები დადგმული იყო ოპერისა და ეპოქის სრულიად შეუსაბამოდ, რამაც სპექტაკლის დასრულებისას მაყურებლის ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. თავად მომღერლები მსმენელმა კარგად მიიღო და ოვაციების ხანგრძლივობა და ინტენსიობა დაემთხვა ჩემს შეფასებასაც. ზოგადად სპექტაკლი უდავოდ შედგა და ვფიქრობ, ფრანგმა მაყურებელმა, რომელიც ელის ახალ საოპერო დადგმებს, არ უნდა გამოტოვოს აღნიშნული წარმოდგენა.

ჟურნალი

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს, პასუხისმგებელ მდივანს გურამ თაყნიაშვილს 75 წელი შეუსრულდა. ბატონი გურამი ბიბლიოთეკატმცოდენობისა და საბიბლიოთეკო პრაქტიკის დიდი პროფესიონალია. იგი ეფექტურად უძღვება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკატმცოდენობისა და შრომითი პროცესების უზრუნველყოფის დარგს. საყოველთაოდ ცნობილია მისი მეთოდური მუშაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ათეულ წლობით ატარებდა ლექცია-სემინარებს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკატმცოდენობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტდუნტებთან; მუდამ ეწევა სასწავლო პროცესებს დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. მისი ავტორობით არაერთი წიგნი და ბროშურაა გამოცემული, როგორც მონოგრაფია, ისე მცირე ნარკვევი და მეთოდური შრომა, უამრავი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატია, არის ორგანიზატორი ბიბლიოთეკებში სხვადასხვა ნოვაციის დანერგვისა, რეცენზენტი და რედაქტორი, მაღალი დონის მენეჯმენტი.

სისიხარულო ფაქტი იყო ჩვენთვის მისი პო-

ეტური კრებულის გამოცემა, რომელშიც ნათლად ჩანს ავტორის პატრიოტული განცდა, მშობლიური კუთხის სიყვარული, მეგობრობისა და ურთიერთგატანისადმი მისწრაფება, ღირსეული ჟღერადობა...

ბატონი გურამი უბადლო მოქალაქეა, დიდი მეოჯახე, კეთილშობილი ადამიანი, წუნდაუდებელი პიროვნება, დაუზარელი და ენერგიული მუშაკი. ჩვენს ჟურნალში მისი საქმიანობა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. აქ მისი მოღვაწეობა ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს ჟურნალის გამოცემაში. მისი სტატიები, შეკრებილი მასალა, სარედაქტორო საქმიანობა, ტექსტების დამუშავება უდავოდ უმაღლესი ნიშნითაა აღბეჭდილი.

ჟურნალის რედაქცია გულწრფელად ულოცავს ბატონ გურამ თაყნიაშვილს ამ მნიშვნელოვან ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს, კვლავაც ასეთი ენერგიულობით, სწრაფვითა და შემართებით გააგრძელოს შრომა! ყოველი სიკეთე იყოს მისი ცხოვრების თანამდევ!

*ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“
რედაქცია; საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაცია; საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა.*

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

1 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ლიტერატურული კონკურსი „მე მიყვარს წიგნი“, ორგანიზატორები: ბიბლიოთეკის ინტერნეტტელევიზია, ლიტერატურული ფორუმი „ებლიფტო“ და ჟურნალი „არტ-ხომლი“.

11 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა საქართველოში ყველაზე დიდი თურქული ბიბლიოთეკა.

12 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა ოკუპირებული ზონიდან ჩამოსულ მოსწავლეებს. ღონისძიების ორგანიზატორები „ჰელფინგ ჰანდი“ და ქალთა გლობალური ფონდი.

21 თებერვალს ექვთიმე თაყნიაშვილის დაბადებიდან 150-ე წლისთავთან დაკავშირებით ვერის ბაღიდან მთაწმინდის პანთეონამდე გაიმართა მსვლელობა. ღონისძიება ორგანიზებული იყო საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული

ცენტრის, ექვთიმე თაყნიაშვილის საქველმოქმედო ფონდის მიერ. მონაწილეობდნენ; თსუ – ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მკითხველები, მოსწავლეები, სტუდენტები, სასულიერო პირები, სასულიერო სემინარიის მოსწავლეები.

18–20 თებერვალს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარდა მენეჯმენტის ზოგადი კურსი ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის.

25 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ორგანიზაცია „წიგნების განვითარების ცენტრის“ საჯარო დისკუსია.

27 თებერვალს აღინიშნა ქ. ბათუმის საქალაქო ბიბლიოთეკის დაარსებიდან 100 წლისთავი. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის, კულტურისა და განათლების სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირები.

დამატება - უნიუზნებით



მიმდინარე წლის კალენდრებში ხშირად ერთი და იმავე მოვლენასა თუ ფაქტზე ერთგვაროვანი მონაცემები არ არსებობს, რის გამოც ჩვენს კალენდარში, რომელიც გასული წლის მე-4 ნომერში გამოვაქვეყნეთ, გაიპარა შეცდომები, არის ზოგი გაუგებრობაც და დაუდევრობის ფაქტებიც, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ჩვენს მკითხველებს.

დამატებით ვთავაზობთ რამდენიმე ღირსშესანიშნავ თარიღს, რომელიც არ იყო აღნიშნული ან შეცდომით გამოქვეყნდა 2013 წლის საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღები ჩვენს მიერ შემოთავაზებულ კალენდარში.

იანვარი

12-385 წლის წინათ (1628) დაიბადა შარლ პერო - ფრანგი მწერალი. (გარდაიცვალა 1703).

თებერვალი

15-90 წლის წინათ (1923) დაიბადა ილია რურუა - მწერალი. (გარდაიცვალა 1997).

28-90 წლის წინათ (1923) დაიბადა ალექსანდრე ჩხაიძე - მწერალი, დრამატურგი. (გარდაიცვალა 1998).

მარტი

15-145 წლის წინათ (1868) დაიბადა თედო სახოკია - ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი. (გარდაიცვალა 1956).

31 - 75 წლის წინათ (1938) დაიბადა ზვიად გამ-

სახურდია - საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მეცნიერი, მწერალი (გარდაიცვალა 1991).

აპრილი

4-195 წლის წინათ (1818) დაიბადა თომას მაკარტი - ინგლისელი მწერალი. (გარდაიცვალა 1883).

მაისი

5 - აღდგომა

9 - ფაშიზმზე გამარჯვების დღე.

31 - 100 წლის წინათ (1913) დაიბადა სევერიან ისიანი - პოეტი. (გარდაიცვალა 1943).

ივნისი

15 - 120 წლის წინათ (1893) დაიბადა ჰაიდარ აბაშიძე - მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. (გარდაიცვალა 1966).

სექტემბერი

23 - 210 წლის წინათ (1803) დაიბადა პროსპერ მერიმე - ფრანგი მწერალი. (გარდაიცვალა 1870).

ოქტომბერი

6 - 120 წლის წინათ (1893) დაიბადა სერგო კლდიაშვილი - მწერალი. (გარდაიცვალა 1986).

დეკემბერი

21-125 წლის წინათ (1888) დაიბადა ვალერიან გაფრინდაშვილი - მწერალი. (გარდაიცვალა 1941).

ბიბლიოთეკების საყურადრებოდ!

**სამართლმცოდნე
ბიბლიოთეკების
კვირეული - 2013**

ჩატარდება 10-18 მაისს.

სამართლმცოდნე

ნ. 83/13

14 აპრილი - ღელა ენის დღე

